

ISSN 1987-5789

# ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS AND BUSINESS  
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

მარტი-აპრილი  
MARCH-APRIL  
МАРТ-АПРЕЛЬ

2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და პიზნის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი  
და რევენგირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса  
Тбилисского государственного университета имени Ив.  
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ  
Published since January, 2008 once in two month  
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,  
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.  
e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარედაქციო კოლეგია

**რევაზ გოგოხია** – მთავარი რედაქტორი,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლეო ჩიკავა**.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიაშვილი, რამაზ აბესაძე, თემურ ბერიძე, გიორგი ღვინძიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვსანაძე, ნათელა ლაცაბიძე, ეკა ლეკაშვილი, მურთაზ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, იაკობ მესხია, დავით ნარმანია, ნუგზარ პაიჩაძე, სერგო სანაძე, ირაკლი საღარეიშვილი, დემურ სიჭინავა, მირიან სიჭინავა, ეთერ ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, რომან ხარბედია, ნოდარ ხაღურა, აკაკი ხელაძე, თემურ შენგელია, ემზარ ჯგერენაია**.

## EDITORIAL BOARD

**Revaz Gogokhia** – Editor-in-chief, Doctor of Economic sciences, professor.

Academicians of National Academy of Sciences of Georgia, Doctors Of Economics Sciences, professors: **Vladimir Papava, Avtandil Silagadze**, corresponding member of Georgian National Academy of Sciences, doctor of Economic Sciences, professor **Leo Chikava**.

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze, Temur Beridze, Giorgi Gaganidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Natela Latsabidze, Eka Lekashvili, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili, Iakob Meskhia, David Narmania, Nugzar Paichadze, Sergo Sanadze, Irakli Sagareishvili, Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Eter Kharaiashvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Akaki Kheladze, Temur Shengelia, Emzar Jgerenaia**.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**Реваз Гогохия** – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Академики Национальной Академии наук Грузии, доктора экономических наук, профессора: **Владимир Папав, Автандил Силагадзе**, член-корреспондент Национальной Академии наук Грузии, доктор экономических наук, профессор **Лео Чикава**.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили, Рамаз Абесадзе, Темур Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Нугзар Тодуа, Ираклий Ковсанадзе, Натела Лацабидзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван Маршава, Злгуджа Меквабишвили, Якоб Месхия, Давид Нармания, Нугзар Пайчадзе, Серго Санадзе, Иракли Сагареишвили, Демур Сичинава, Мирян Тухашвили, Етер Хараишвили, Элене Харабадзе, Роман Харбедия, Нодар Хадური, Акаки Хеладзе, Темур Шенгелия, Эмзар Джгеренаия**.

---

---

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, პილიპენკო ე.ვ. ემდ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ეკონომიკის ინსტიტუტის კურგანის ფილიალის დირექტორი. კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

### **FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:**

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Pilipenko E.V. Economical doctor in science, economic branch in Kurgan unstitute, region of Ural, Russia. Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

### **ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Пилипенко Е.В. Д.Э.Н. - Директор Курганского филиала ИЭ УрО РАН, Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

---

---

## სარჩევი

### ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

<b>ელგუჩა მუჟაბიშვილი.</b> ანტიკრიზისული მართვის მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები (2008 წლის გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მაგალითზე) .....	11
<b>ამია ჭუგუაძე, პაატა კოლუაშვილი.</b> კოოპერაცია: რეტროსპექტივა და პერსპექტივა .....	27
<b>ნინო რუხაია.</b> საქართველოში გონივრული აგრარული პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების საკითხისათვის .....	55

### მიკრო-მაკროეკონომიკა

<b>გიორგი ბაქრაძე.</b> საწარმოო ჯაჭვში ჩაბმა და მისი გავლენა ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე .....	69
<b>თამილა არნანიძე-ქვიციანი.</b> გერმანიის შრომის ბაზრის ფორმირებისა და განვითარების ტენდენციები .....	83

### ბენეფიციანი. მარკეტინგი. ტურიზმი

<b>პაპ სეფაშვილი.</b> კლასტერების როლი ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში .....	97
--	----

---

<b>ბიორგი სიმბოვანი.</b> საქართველოში ჯანდაცვის 2006-2013 წლების რეფორმის ფინანსური გავლენის პროგნოზი კერძო სადაზღვევო კომპანიებზე („აღდაგი-ბისიაი“-ს შემთხვევა) .....	115
<b>ასმათ გულორღაძე.</b> არასამეწარმეო იურიდიული პირების მართვის თავისებურებები .....	139
<b>ბიორგი ქუთათელაძე.</b> იაპონური მენეჯმენტის ინტერნაციონალური ტრანსფერის მახასიათებლები .....	145

### **ფინანსური ეკონომიკა**

<b>მაია გოგონია.</b> საერთაშორისო ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები .....	155
<b>სიური ოქრუაშვილი.</b> საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის გზები .....	167
<b>სალომე ბაქრაძე.</b> ინფლაციისა და ფასების დონის თარგეთირების საკითხისათვის .....	183

ჟურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიების წარმოდგენისა და გამოქვეყნების წესი ...198

---

---

## CONTENTS

### ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

- E. MEKVABISHVILI.** World experience and perspectives of antirecessionary management (In terms of 2008 global financial – economic crisis)m.....11
- M. CHUMBURIDZE, P. KOGHUASHVILI.** Cooperation: Retrospective and Perspective .....27
- N.RUKHAIA.** A reasonable agricultural policy formation and implementation issues in Georgia ..... 55

### MICRO – MACROECONOMICS

- G. BAKRADZE.** Involvement in the production chain and its impact on the social situation of the country .....69.
- T. ARNANIA-KEPULADZE.** The German Labour Market Between Past and Future.....83

### MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

- E. SEPASHVILI.** The Role of Clusters in Rising the Global Competitiveness of the Country.....97

---

<b>G. KHISHTOVANI.</b> Predicted Financial Impact of the Health Care Reforms on Private Insurance Companies between 2006-2013 in Georgia (The Case of „Aldagi-BCI“ Abstract) .....	115
<b>A.GULORDAVA.</b> Characteristics of management in non-profit organizations .....	139
<b>G. KUTATELADZE.</b> characteristics of Japan management international transfer .....	145

## FINANCIAL ECONOMICS

<b>M. GOGOKHIA.</b> Characteristics of Functioning of International Financial Market.....	155
<b>C. OQRUASHVILI.</b> Improvement ways of Georgian National Bank money-credit police .....	167
<b>S.BAKRADZE.</b> Inflation and price-level targeting Issue .....	183

In magazine “Economic and Business” , Presentation of scientific articles and submission rule .....	198
---	-----



---

---

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

<b>ЭЛГУДЖА МЕКВАБИШВИЛИ.</b> Мировой опыт антикризисного управления и перспективы ( на примере глобального финансово-экономического кризиса 2008 года) .....	11
<b>МАМИЯ ЧУМБУРИДZE.</b> Паата Когуашвили. Кооперация: Ретроспектива и перспективы .....	25
<b>НИНО РУХАЯ.</b> К вопросу формирования и осуществления разумной аграрной политики в Грузии.....	55

### МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

<b>ГЕОРГИЙ БАКРАДZE.</b> Включение в производственной цепи и его влияние на социальное положение страны.....	69
<b>ТАМИЛА АРНАНИЯ-КЕПУЛАДZE.</b> Тенденции формирования и развития рынка труда Германии.....	83

### МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

<b>ЭКА СЕПАШВИЛИ.</b> Роль кластеров в повышении глобальной конкурентоспособности страны.....	97
---	----

---

---

<b>ГЕОРГИЙ ХИШТОВАНИ.</b> Прогноз финансового влияния реформы здравоохранения на частных страховых компаний (на примере “Алдаги-Бисаи”) 2006-2013 гг. в Грузии .....	115
<b>АСМАТ ГУЛОРДАВА.</b> Особенности управления непроизводственных юридических лиц.....	139
<b>ГЕОРГИЙ КУТАТЕЛАДЗЕ.</b> Характерные черты интернационального трансфера японского менеджмента.....	145

## **ФИНАНСОВАЯ ЭКОНОМИКА**

<b>МАЙЯ ГОГОХИЯ.</b> Особенности функционирования международного финансового рынка.....	155
<b>ЦИУРИ ОКРУАШВИЛИ.</b> Пути совершенствования денежно-кредитной политики Национального банка Грузии.....	167
<b>САЛОМЕ БАКРАДЗЕ.</b> К вопросу таргетирования инфляции и цен .....	183
Правила представления и опубликования научных статей в журнале «Экономика и бизнес».....	198

**ანტიკრიზისული მართვის მსოფლიო  
ბამონდილება და პერსპექტივები  
(2008 წლის გლობალური ფინანსურ-  
ეკონომიკური კრიზისის მახალითგე)**

*ელგუჯა მამავაბიშვილი*

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის პროფესორი*

პოსტკრიზისულ პერიოდში მეტად აქტუალურია კითხვა – გაგრძელება თუ არა რეგულირების ის ღონისძიებები, რომლებიც ინტენსიურად გამოიყენებოდა კრიზისის დროს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ, რომ კრიზისის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ფინანსური სექტორის სუსტი რეგულირება. როგორც პოლონელი პროფესორი **გ.ჟ. კოლოდკო** სამართლიანად შენიშნავს, “სახელმწიფო ინსტიტუტების თანმიმდევრულმა შესუსტებამ და არაკონტროლირებადმა დესტრუქციულმა დერეგულირებამ განაპირობა მზარდი ირაციონალურობა მსოფლიო მეურნეობაში, რომლის შედეგიც თანამედროვე კრიზისია” [3, გვ. 63].

როგორც ცნობილია, კრიზისისწინა პერიოდში ადგილი ჰქონდა ფინანსური ბაზრების უსწრაფეს განვითარებას. მრავალრიცხოვანი ფინანსური ინსტიტუტები – საინვესტიციო, საპენსიო, სადაზღვევო კომპანიები, ჰეჯ-ფონდები, რომლებიც ახორციელებდნენ ფართო მასშტაბის სეკურიტიზაციას, ფუნქციონირებდნენ რეგულირების მიღმა, რაც მათი გიგანტური

შემოსავლების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენდა. ხშირ შემთხვევაში, არსებული მარეგულირებელი ინსტიტუტები სისუსტესა და უუნარობას ამჟღავნებდნენ კრიზისების პროგნოზირებასა და პრევენციასთან მიმართებით. ნათლად გამოჩნდა, რომ მათ არ გააჩნდათ სათანადო მექანიზმები და საკმარისი რესურსები, რაც უზრუნველყოფდა როგორც ეროვნული მეურნეობების, ასევე მსოფლიო ეკონომიკის ადაპტირებას სხვადასხვა შოკის მიმართ.

პარადოქსულად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გლობალური ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლი მისი ფინანსური სექტორი აღმოჩნდა 1970-1980-იანი წლების განსხვავებით, როდესაც ენერგეტიკული სექტორი მოექცა კრიზისის ქვეშ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 1997 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ პოლიტიკოსებს, ექსპერტებს და მეცნიერებს შორის თითქოსდა ჩამოყალიბდა კონსენსუსი იმ საკითხში, რომ უპირველესი ამოცანაა ფინანსური რეგულირების ინსტიტუტების გაძლიერება, მათი სათანადო ბერკეტებით, რესურსებით აღჭურვა და საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს იყო მხოლოდ სურვილი და ამ მიმართულებით პრაქტიკულად თითქმის არაფერი გაკეთებულა.

აშშ-ის იპოთეკურ ბაზარზე დაწეებული სირთულეების გადაზრდამ თავდაპირველად ფინანსურ, შემდეგ კი სისტემურ ეკონომიკურ კრიზისში და მისმა გლობალურმა ხასიათმა წარმოქმნა კრიზისის დასაძლევად სხვადასხვა ქვეყნისა და საფინანსო ეკონომიკური ორგანიზაციების ძალების გაერთიანების, მათი ანტიკრიზისული საქმიანობის კოორდინირების აუცილებლობა. საინტერესოა ის ძვრებიც, რასაც ამ პრობლემასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა მსოფლიოს

## **===== *ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა***

გავლენიანი პოლიტიკური ღონისძიებებისა და ფინანსისტების აზროვნებაში. დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გ. ბრაუნმა წამოაყენა საერთაშორისო ორგანოს – ფინანსური სტაბილურობის საბჭოს შექმნის იდეა და განაცხადა: “აუცილებელია რეგულირების სისტემის ისე შეცვლა, რომ საფინანსო ხელისუფლებამ შეძლოს რისკების იდენტიფიცირება და მათი თავიდან აცილება... საბჭომ უნდა გააუმჯობესოს ყველა სისტემურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტის, ინსტრუმენტის და ბაზრის რეგულირება და კონტროლი” [5, გვ.14].

2010 წლის 30 იანვარს დავოსში (შვეიცარია) მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პლენარულ სხდომაზე გერმანიის კანცლერმა ა. მერკელმა აღნიშნა: “ჩვენ არ გაგვაჩნია დამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებადი გლობალური არქიტექტურა” და დღის წესრიგში დააყენა “სამართლიანი და ეფექტიანი მსოფლიო ფინანსური არქიტექტურის კონსტრუირების ამოცანა” [6, გვ. 9]. ცნობილმა ფინანსისტმა, მილიარდელმა და ფილანტროპმა, ჯ. სოროსმა პირდაპირ განაცხადა: “საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებს აუცილებლად სჭირდება საერთაშორისო რეგულირება” [7, გვ. 3].

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, ე.წ. “ჯგუფი-20”-ის (G20) ღონისძიებები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და მსჯელობდნენ როგორც კრიზისიდან გამოსვლის გზების, ასევე პოსტკრიზისული განვითარების მთავარი ორიენტირების შესახებ. 2009 წლის აპრილში დიდი ოცეულის ლონდონის სამიტზე მიღებული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება:

- საერთაშორისო დონეზე ანტიკრიზისული რეგულირების კოორდინირების შესახებ;
- ცალკეული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო

საფინანსო ორგანიზაციებისათვის დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფის შესახებ. გადაწყდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს (სსფ) გამოყოფოდა 1 ტრლნ დოლარი, რომელსაც გამოიყენებდა საკუთარი რეზერვის შესავსებად და ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად. 250 მლრდ დოლარი გამოიყო საერთაშორისო ვაჭრობის სტიმულირებისათვის.

მიზანშეწონილად ჩაითვადა ფინანსური სექტორის გამჭვირვალობის ამაღლება და ე.წ. “საგადასახადო ოაზისებზე”, “ოფშორებზე”, “ფულის გათეთრებაში” შემჩნეულ ქვეყნებზე კონტროლის დაწესება. შემუშავდა სპეკულაციის წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული ღონისძიებები. აშშ-ის მთავრობამ აიღო ვალდებულება, რომ 2009 წლის ბოლოდან ნავთობპროდუქტების ბაზარზე ფასების მანიპულირებაზე დააწესებდა დღეში 1 მილიონიან ჯარიმას, რითაც ნაკლებად საინტერესოს გახდიდა ამ ბაზარს სხვადასხვა ჰეჯ-ფონდისათვის და ხელს შეუწყობდა ნავთობის ფასების გარკვეულ შემცირებას [8]. G20-ის პიტსბურგის (აშშ) სამიტზე 2009 წლის 11 სექტემბერს დაკონკრეტდა ლონდონის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები და ჩამოყალიბდა ფინანსური სექტორის მარეგულირებელი შემდეგი ინსტიტუციონალური ელემენტები:

- კაპიტალის საკმარისობის ნორმატივები;
- შეზღუდვები კაპიტალის მოცულობაზე;
- ჰეჯ-ფონდების საქმიანობის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი გამჭვირვალობის ამაღლებას;
- სარეგულირებელი მარეგულირებელი ნორმატივები;
- შემზღუდავი ნორმები ტოპმენეჯერების ბონუსებსა

და აქციონერთა დივიდენდებზე.\*

სამიტზე ასევე დიდი ყურადღება დაეთმო ე.წ. “ტობინის გადასახადის” პრობლემას. სსფ-ის, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა წამოჭრეს საკითხი ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადების დაწესების შესახებ. მათი აზრით, ამოღებული თანხები უნდა გადარიცხულიყო სპეციალურ ფონდში და მოხმარებოდა პრობლემური საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსურ მხარდაჭერას. ტობინის გადასახადს ასევე ხელი უნდა შეეწყო მაღალი რისკის შემცველი ფინანსური ოპერაციების მიმზიდველობის შემცირებისათვის.

“დიდი ოცეულის” შეხვედრებზე დღის წესრიგში მუდმივად იდგა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, განსაკუთრებით სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის როლის მოდიფიცირების პრობლემა. აღინიშნა, რომ კრიზისისწინა პერიოდში სსფ-ის განკარგვაში არსებული 255 მლრდ აშშ დოლარი ნაკლებად შეესაბამებოდა ამ ორგანიზაციის მიერ გლობალური მარეგულირებელი ფუნქციის ეფექტიანად შესრულების ამოცანას და გადაწყდა მისი რეზერვების მნიშვნელოვანი გაზრდა. სსფ-ს როლის ცვლილებას მჭიდროდ უკავშირდება მსოფლიო სარეზერვო ვალუტის პერსპექტივის საკითხი. ეკონომისტთა სულ უფრო დიდი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას მსოფლიო სარეზერვო ვალუტის ახალი კონფიგურაციის ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ. განიხილება რამდენიმე ვარიანტი. პირველის მიხედვით, დოლარი შეინარჩუნებს მთავარი სარეზერვო ვალუტის

---

\* G20-ის პიტსბურგის სამიტის რეკომენდაციით, დიდ ბრიტანეთში 2009 წლის ნოემბრიდან შემოღებული იქნა 50%-იანი ერთჯერადი გადასახადი ბონუსებზე, რომელთა სიდიდე აღემატებოდა 25 ათას გირვანჯა სტერლინგს. ბონუსების შეზღუდვის რეკომენდაცია მიეცა აშშ-ის მთავრობასაც, რომელმაც იგი სწრაფად გაითვალისწინა.

როლს და მასთან ერთად წინა პლანზე წამოიწევს ევრო და რამდენიმე რეგიონული ვალუტა. მეორე ვარიანტის თანახმად, გაიზრდება ხელოვნური ვალუტის-SDR-ის როლი. მესამე ვარიანტის მიხედვით, წარმოიშობა ახალი სარეზერვო ვალუტა, რომელიც თანდათანობით ჩაანაცვლებს დოლარს. ასეთ ვალუტად სპეციალისტები მიიჩნევენ ჩინურ იუანს. მეოთხე ვარიანტის თანახმად კი გაჩნდება რამდენიმე ძლიერი რეგიონული ვალუტა, რომლებსაც შეეძლებათ ჩაანაცვლონ აშშ დოლარი, როგორც საერთაშორისო სარეზერვო ვალუტა.

ზემოაღნიშნული ახალი კონფიგურაციის შექმნა არ მოხდება სწრაფად და ვინმეს მიერ რომელიმე ეროვნული ვალუტის სარეზერვო ვალუტად “დანიშნვის” გზით. ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ევოლუციურად და პროცესს საფუძვლად დაედოს ეროვნული ვალუტის მიმზიდველობის ამადლება, რაც, თავის მხრივ, იქნება სახელმწიფოს მიერ სწორი საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გატარების კანონზომიერი შედეგი.

გლობალური მასშტაბით ფინანსური სისტემის რეგულირების გაუმჯობესებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა რეგიონული გაერთიანების დონეზეც, რომლის ნათელი მაგალითია ევროკავშირი. მასში ფინანსური რეგულირებისა და ზედამხედველობის ინსტიტუტების ჩამოყალიბება დაიწყო 1998 წლიდან ევროპული ცენტრალური ბანკის შექმნით, რომელიც ამჟამად ახორციელებს ემიტენტისა და საბანკო სისტემის ზედამხედველობის ფუნქციებს. თუმცა, მას არ აქვს ევროკავშირის მზარდად ინტეგრირებულ საფინანსო ბაზრებზე ზედამხედველობის უფლებამოსილება, რომელიც რჩება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობათა ხელში. ევროპის ცენტრალურ ბანკს ასევე არ გააჩნია ისეთი



ინსტრუმენტი, როგორცაა “ევროპული სახაზინო ბილეთი”, რომელიც შეიძლება გამოყენებულიყო ყოფილიყო ევროკავშირის დანახარჯების დასაფინანსებლად. ამჟამად ევროკავშირის ქვეყნების მთავრობებს დამოუკიდებლად შეუძლიათ ევროში ნომინირებული სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვება. მეტად მნიშვნელოვანია “ფინანსური სტაბილურობის ევროპული ფონდის” (EFSF) როლი, რომელიც 2010 წლის ივნისში შეიქმნა და მისი მთავარი მიზანია კრიზისში მყოფი ევროკავშირის ქვეყნების დახმარება. 2012 წელს აღნიშნული ფონდის ბიუჯეტი განისაზღვრა 2 ტრლნ ევროს მოცულობით [1, გვ. 125]. 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მძლავრი ბიძგი მისცა ევროკავშირში რეგულირების ახალი ინსტიტუციონალური ფორმების ჩამოყალიბებას. კერძოდ:

- შეიქმნა სისტემური რისკების შეფასების ევროპული საბჭო (European Systemic Risk Board-ESRB), რომლის მთავარი ამოცანაა როგორც სისტემური რისკების პრევენცია, ასევე წარმოქმნილი რისკების დაძლევის ღონისძიებათა შემუშავება. ეს ახალი ორგანო მუშაობს ევროპის ცენტრალურ ბანკთან მჭიდრო კოორდინაციაში;

- შეიქმნა ფინანსური ზედამხედველობის ევროპული სისტემა (European System Of Financial Supervisors-ESFS), რითაც ფინანსური ზედამხედველები ახორციელებენ ფინანსური ინსტიტუტების კონტროლს, ანუ მიკროპრუდენციულ ზედამხედველობას.

ზემოაღნიშნული ორი ორგანოს შექმნის იდეის არსია ფინანსურ ბაზრებზე ზეეროვნული კონტროლის გაძლიერების უზრუნველყოფაში.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ფინანსური ზედამხედველობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანოები საქმის კურსში არ აყენებდნენ შესაბამის საერთოევროპულ

სტრუქტურებს ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაში წარმოქმნილი სიძნელეების შესახებ, რაც ხელს უწყობდა ნეგატიური პროცესების გადრმავებას. პოსტკრიზისულ პერიოდში ევროზონაში შექმნილმა სირთულეებმა ასევე აჩვენა, რომ ევროსა და მასთან ერთად მთელი ევროკავშირის ფინანსურ-ეკონომიკური სტაბილურობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მონეტარულ სფეროში ინტეგრირება და მსგავსი პროცესი აუცილებლად უნდა განხორციელდეს ფისკალურ სფეროშიც. რა თქმა უნდა, ეს ძალიან რთულად მისაღწევი ამოცანაა, რადგანაც გაერთიანებაში შემავალი სახელწიფოების მთავრობებს არ სურთ სუვერენული ეკონომიკური პოლიტიკის ძლიერი ინსტრუმენტის დათმობა და მისი ევროპულ სტრუქტურებზე დელეგირება. აღნიშნულის მიუხედავად, ევრონული ფინანსური სისტემების მარეგულირებელი ორგანოების ინტეგრირება საერთო ევროპულ სტრუქტურებში, ამ უკანასკნელისა კი გლობალურ სისტემაში - დროის მოთხოვნაა, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა შესრულდეს.

გლობალური ეკონომიკის ფინანსური მდგენელის რეგულირების სრულყოფის ღონისძიებათა კონტექსტით უადრესად მნიშვნელოვანია საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ 2009 წლის ბოლოს შემუშავებული საკრედიტო ორგანიზაციების ახალი მარეგულირებელი წესების პაკეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ წინადადებებს:

- პირველი ღონის კაპიტალის მიმართ გაზრდილი მოთხოვნების დაწესება;
- ბანკების მიერ კრედიტების სახით გაცემული ახალი სახსრების მოცულობის შეზღუდვა;
- ბანკების განკარგულებაში არსებული ყველაზე მაღალი რისკის მქონე აქტივების მიმართ ახალი გაზრდილი

ნორმატივების დაწესება;

- კაპიტალის საკმარისობისა და ლიკვიდობის დამატებითი მაჩვენებლების შემოღება.

საერთაშორისო დონეზე ანტიკრიზისულ ღონისძიებებსა და პოსტკრიზისული განვითარების ორიენტირებზე მსჯელობისას ხშირად წარმოიშობოდა განსხვავებული მოსაზრებები დისკუსიის მონაწილეთა შორის. როგორც ცნობილია, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა გაცილებით უფრო მეტადაა დამოკიდებული ფინანსურ ბაზრებზე, ვიდრე გერმანიის, ჩინეთისა და იაპონიის. ამიტომ, ამერიკელები და დიდი ბრიტანელები პრიორიტეტულად მიიჩნევენ მთავრობის მხარდაჭერის კონცენტრირებას საკუთრივ ფინანსურ სექტორზე, სხვები კი უპირატესობას ანიჭებდნენ ბანკებისათვის დამატებითი ლიკვიდობის შექმნას, რომელსაც უნდა უზრუნველყო “საკრედიტო შეკუმშვის” დაძლევა, ფირმებისა და მოქალაქეების დაკრედიტების გაზრდა. ამერიკელები და დიდი ბრიტანელები ასევე თვლიდნენ, რომ მთავარ ანტიკრიზისულ ღონისძიებას წარმოადგენდა ცალკეული ბანკებისთვის და სხვა საფინანსო ინსტიტუტებისათვის დახმარების გაწევა, კონტინენტური ევროპის წარმომადგენლები კი ხაზს უსვამდნენ ფინანსური ბაზრების რეგულირების პრიორიტეტულობას.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო ანტიკრიზისული რეგულირების სისტემას მაკროეკონომიკურ დონეზეც. 1929-1933 წლების დიდი დეპრესიის ზეგავლენით, აშშ-ში 1933 წელს მიღებული იქნა ე.წ. Glass-Steagall-ის კანონი, რომელიც ცნობილია “საბანკო აქტის” სახელწოდებით [2, გვ. 37]. კანონი ითვალისწინებდა კომერციული ბანკების საკუთრივ - საბანკო და საინვესტიციო საქმიანობის გამიჯვნას. 1993 წელს ეს კანონი გაუქმდა და კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს სა-

ბანკო და ინვესტიციური ფუნქციების ერთდროულად განხორციელება, რასაც სწრაფად მოჰყვა რთული სავალო პირამიდების შექმნა, რომელთა სიმყარე საერთოდ უცნობი იყო. ვალების ზრდა თოვლის ზვავს დაემსაგვსა და მისმა მოცულობამ 2008 წლის სექტემბრისათვის ეკონომიკის რეალური ღირებულების 600% შეადგინა. ეს სეგმენტი, პრაქტიკულად, უმართავი გახდა. ამჟამად, სისტემური რისკების შემცირებისათვის აუცილებელია 1933 წლის კანონთან დაბრუნება. მაგალითად, შემოდებული უნდა იქნეს კომერციული ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მკაცრად შემზღუდავი ნორმატივი. მნიშვნელოვანია ფინანსური გიგანტების რამდენიმე დამოუკიდებელი კომპანიად დანაწევრების პროცედურაც, რომლის აუცილებლობა პრაქტიკამ დაადასტურა. კრიზისის დროს სახელწიფო იძულებული გახდა ბიუჯეტის ხარჯზე მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია უმსხვილესი ფინანსური კომპანიებისათვის, ვინაიდან მათი გაკოტრება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მთელი ეკონომიკური სისტემის სტაბილურობას.

აშშ-ში ფინანსური სექტორის გაკონტროლებისა და სისტემური რისკების შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება:

- ფედერალურ სარეზერვო სისტემას უფლება ეძლევა გააკონტროლოს არა მხოლოდ კომერციული ბანკები, არამედ საინვესტიციო კომპანიები და ჰეჯ-ფონდები;

- შემოდებული იქნება სპეციალური მოთხოვნები სისტემურად მნიშვნელოვანი საფინანსო ინსტიტუტების კაპიტალის საკმარისობისა და ლიკვიდობისადმი;

- დაკრედიტების პრაქტიკის უწყვეტი მონიტორინგის მიზნით შეიქმნება მომხმარებელთა ფინანსური დაცვის სააგენტო (Consumer Financial Protection Agency);

## **===== *აკონომიკური თეორია და აკონომიკური პოლიტიკა***

- ჩამოყალიბდება ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაზე ზედამხედველობის ფედერალური ორგანო-Financial Service Oversight Council, რომლის შემადგენლობაში შევლენ აშშ-ის ფინანსთა მინისტრი და ზედამხედველობის ყველა ორგანოს ხელმძღვანელები;

- საბირჟო პრაქტიკაში აიკრძალება ე.წ. “წამიერი შეკვეთების” (flash orders) ინსტრუმენტი;

- აშშ-ის ფინანსურ ბაზარზე შეიზღუდება იმ ფინანსური კომპანიების დაშვება, რომელთა სათავე ოფისები განლაგებულია ქვეყნებში, სადაც არ მოქმედებს რეგულირების მკაცრი წესები;

- ფასიანი ქაღალდებისა და დერივატივების საბირჟო ვაჭრობაზე დაწესდება გადასახადი.

- მკაცრად შეიზღუდება ფინანსური კორპორაციების საბაზრო წილი და მაღალრისკიანი ოპერაციების მოცულობა;

- ბანკებს და ბანკების შემცველ სტრუქტურებს აკრძალებათ ჰეჯ-ფონდების ან პირდაპირი ინვესტიციების განმახორციელებელი ფონდების ფლობა;

- უმსხვილესი ფინანსური კორპორაციებისათვის დაწესდება ე.წ. “ფინანსურ კრიზისზე პასუხისმგებლობის გადასახადი”, რომელიც გახდება კრიზისის პერიოდში სახელმწიფოს მიერ ცალკეულ კომპანიაზე გაწეული დახმარების ანაზღაურების მნიშვნელოვანი წყარო;

- ერთჯერადი 50%-იანი გადასახადი დაწესდება იმ ბანკების თანამშრომელთა ბონუსებზე, რომელთა შემოსავალი აღემატება 400 ათას დოლარს და რომელ ბანკებსაც ფინანსური სექტორისათვის სახელწიფო დახმარების პროგრამის (TARP) ფარგლებში მიეწოდათ 5 მლრდ აშშ დოლარზე მეტი.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების მნიშვნელობის მიუხედავად, ჩვენი აზრით, უმთავრესი არის ეკონომიკის განვითარების ისეთ მოდელზე გადასვლა, რომელიც ითვალისწინებს დაზოგვის, ინვესტიციების, ინოვაციების სტიმულირებას და არა - ვალების დაგროვებას და სპეკულაციური ფინანსური ბუშტების გაბერვას.

გლობალურ და მაკროეკონომიკურ დონეებზე პრევენციული ანტიკრიზისული ღონისძიებები უნდა შემუშავდეს უნდა მოხდეს რედუცირების საფუძველზე, ანუ სიღრმისეულად უნდა იქნეს შესწავლილი გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიკროეკონომიკური და ნანოეკონომიკური ასპექტები. პოსტკრიზისულ პერიოდში ფირმების მხრიდან ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნა მჭიდროდ უნდა “მიებას” მათი ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღების ვალდებულებას. ეს შექმნის ახალ, უფრო პროგრესულ ტექნოლოგიურ საფუძველზე ეკონომიკური ზრდის დაჩქარების შესაძლებლობას, საგრძნობლად შეარბილებს დისბალანსს ეკონომიკის რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის, რომელიც, როგორც აღინიშნა, ფინანსური კრიზისების წარმოქმნის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია.

თვალსაჩინო ამერიკელი მეცნიერი **პ. სამუელსონი** 2009 წელს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში აღშფოთებას გამოთქვამდა “უსინდისოდ მაღალანაზღაურებადი მენეჯერების მიმართ”, რომელთა “გასამრჯელო საშუალოდ 400-ჯერ აღემატება ჩვეულებრივი მუშაკის გასამრჯელოს, როცა 20 წლის წინ განსხვავება 20-ჯერადი იყო” [4, გვ. 10-11]. აღნიშნულმა პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავეით იჩინა თავი გლობალური ფინანსური კრიზისის დროს. პრობლემის არსია მენეჯერთა საქმიანობის შეფასების და ანაზღაურების არსებულ წესი, რომელიც ორიენტირებულია არა კომპანიის

## **კომერციული თეორია და კომერციული პოლიტიკა**

გრძელვადიანი განვითარების ამოცანებზე, საქმიანი რეპუტაციის შენარჩუნება-ამაღლებაზე, არამედ მოკლევადიან პერიოდში კაპიტალიზაციის მაღალ დონესა და ყოველკვარტალურ მოგებაზე, რაც მაშინაც კი შეიძლება არსებობდეს, როდესაც მენეჯერთა საქმიანობა სხვადასხვა მიზეზის გამო, დაბალეფექტიანია. შედეგად იზღუდება შრომის მწარმოებლურობის ზრდა და წარმოების განვითარების შესაძლებლობა, ფერხდება ინოვაციური აქტიურობა, რომელიც განახლებისა და პროგრესის მთავარი წყაროა. ამიტომ, აუცილებელია მენეჯერთა ანაზღაურება და სტიმულირება უშუალოდ დაუკავშირდეს ფირმის ფუნქციონირების გრძელვადიანი ამოცანების გადაჭრას. მაღალ ბონუსებს მხოლოდ ის მენეჯერები უნდა იღებდნენ, რომელთა მართვის ქვეშ მყოფი კომპანიები ხანგრძლივი დროის მანძილზე იღებენ მაღალ შემოსავლებს, აქციონერები კი - სოლიდურ დივიდენდებს. ამასთანავე, მენეჯერებს უნდა ეკისრებოდეს ფინანსურ-მატერიალური პასუხისმგებლობა ფირმის იმ ზარალზე, რომელიც განაპირობა მათმა შეცდომებმა, ან საქმიანი ეთიკის ნორმების დარღვევამ. ეფექტიანი კონტროლი უნდა დამყარდეს ფირმებში ინტერესთა კონფლიქტებზე. დაუშვებელია ერთი და იგივე კომპანია კონსალტინგსაც ახორციელებდეს და აუდიტსაც; ერთი კომპანიის მენეჯერი არ უნდა შედიოდეს მეორე კომპანიის დირექტორთა საბჭოში და არ უნდა იღებდეს ფულად ანაზღაურებას.

სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ე.წ. “საკრედიტო მხარის” (Leverage) გონივრულ გამოყენებას. ამ მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს პრუდენციული ზედამხედველობის მოქმედი სისტემა, მკვეთრად გამოხატული ანტიციკლური შინაარსით - რეგულირების ნორმების გამკაცრებით “ბაზრის გადახურების” და “ფინანსური ბუშტების გაბერვის” დროს

და შერბილებით ფინანსური კრიზისის საწყის პერიოდში. საკრედიტო მხარის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფინანსური ინსტიტუტებისათვის (საინვესტიციო კომპანიები, ჰეჯ-ფონდები და სხვ.), რომლებიც, ბანკებისაგან განსხვავებით, ნაკლებად არიან მოქცეული მაკონტროლებელ ორგანოთა თვალთახედვის არეში. ვალების დაგროვებაში სწორედ ისინი წარმოქმნიან მულტიპლიკაციურ ეფექტს.

რეალური დროის რეჟიმით ფუნქციონირებადი თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით უზარმაზარი მოცულობის კაპიტალების უსწრაფესი და დაუბრკოლებელი გადაადგილება ხორციელდება, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნული ეკონომიკების სტაბილურობას. აუცილებელია შეიქმნას ფინანსური ოპერაციების და კაპიტალის მოძრაობის ისეთი “შემაყოვნებელი” ინსტრუმენტები, როგორცაა კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული ვალუტის სავალდებულო რეზერვირება და არარეზიდენტების მიერ აქტივების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახადი. დაწესებული ნორმატივები უნდა იყოს მოქნილი - მინიმალური ბაზრის ნორმალური კონიუნქტურის და მაქსიმალური ფინანსური არასტაბილურობის პირობებში.

თანამედროვე პოსტკრიზისულ პერიოდში გამოიკვეთა გლობალური ფინანსური არქიტექტურის პირველი კონტურები, რასაც საკუთარი ობიექტური წინაპირობები გააჩნია. ის ფაქტი, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის დროს მსოფლიო ეკონომიკის დაცემის სიღრმე კიდევ უფრო მეტი არ აღმოჩნდა, განპირობებული იყო ჩინეთსა და ინდოეთში ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებით მაღალ დონეზე შენარჩუნებით. კერძოდ, 2008 წელს აშშ-სა და სხვა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, მტკივნეული ეკონომი-



## **=====             **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა****

კური დაცემის ფონზე, ჩინეთმა მოახერხა 8,7%-იანი, ხოლო ინდოეთმა - 5,6%-იანი ზრდის შენარჩუნება. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ქვეყნები უფრო სწრაფად შეძლებდნენ ფინანსური კრიზისის უარყოფითი შედეგების დაძლევას და კრიზისისწინა მაჩვენებლების მიღწევას.

მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებიდან გამომდინარე, ამ ქვეყნებში ხელსაყრელი პირობები ჩამოყალიბდება ფინანსური სექტორის სწრაფი განვითარებისათვის და დიდი ალბათობით, მომავალ 10-15 წლის მანძილზე მივიღებთ მრავალპოლუსიან გლობალურ ბაზარს, სადაც ინვესტიციების ნაკადები ყველა ქვეყნისათვის ხელმისაწვდომი გახდება. წარმოიქმნება გლობალური ფინანსური სისტემის თვისებრივად ახალი არქიტექტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება პოლიცენტრულობა და გლობალური ეკონომიკის ფინანსური სექტორის რეგულირების გაძლიერება იმ დრმა ტრანსფორმაციული ცვლილებების გათვალისწინებით, რაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურებში განხორციელდა.

ამ სისტემის ძირითადი მიზანი მარეგულირებელი ინსტიტუტების პასუხისმგებლობის ამაღლებაა, მთავარი ამოცანა კი - გლობალური ფინანსური კრიზისების პრევენცია. გლობალური საფინანსო სისტემის მარეგულირებელი სტრუქტურის შექმნა რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მიიღწევა მასში მონაწილე ქვეყნების კონსენსუსის საფუძველზე.

**World experience and perspectives of  
antirecessionary management  
(In terms of 2008 global financial – economic crisis)**

*E. Mekvabishvili*

One of the major causes of the 2008 global financial - economic crisis seems weak regulation of the economics financial sector. Well-founded arguments of need for regulation of financial component on the global and national state level and analyzed the experience in this field. It is emphasized the anti-crisis measures should not have taken temporary and palliative character. It is necessary to develop an integrated ruling system of financial economics, builded on a new paradigm. There are given some concrete proposals and recommendations in this regard.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ვ. ჭარაია. ევრო: რეალობა და პერსპექტივები. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2012, №1;
2. **Krugman P.** The Return of Depression Economics and Crisis of 2008. NY, Lond.: W.W. Norton, 2009;
3. **Колодки Гж.** Неолиберализм и мировой экономический кризис. «Вопросы экономики», 2010, №3;
4. Мир перемен. 2009, №1;
5. Мировая экономика. 2009, №2;
6. Мировая экономика. 2010, №1;
7. **Сорос Дж.** Прогнозы: Будущее в форме W. «Ведомости», 2010, 15 января;
8. [www.g20.org/documents/2009communicue](http://www.g20.org/documents/2009communicue)

**კოოპერაცია:  
რეზროსკეპტივიზა და პერსკეპტივიზა**

*გამია ზუბეზურიძე,  
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,  
ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე,  
პირველი მოადგილე, 1987-2002 წლებში,  
პაატა კოლუაშვილი,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი*

“კოოპერაცია” ლათინური ტერმინია და ქართულად “თანამშრომლობას” ნიშნავს. გამოყოფენ კოოპერაციის თეორიისა და პრაქტიკის ანალიზის ორ მიდგომას: **პირველი** მიდგომით, კოოპერაცია განიხილება როგორც შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ფორმა, რომლის დროსაც ადამიანები ერთობლივად მონაწილეობენ ერთნაირი ან სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული შრომის პროცესში. **მეორე მიდგომით**, კოოპერაცია განიხილება როგორც ორგანიზაციულად გაფორმებული წვრილ მწარმოებელთა ნეპაყოფლობითი გაერთიანება (ასოციაცია), რომლის წევრებს აერთიანებთ საერთო ინტერესი – დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები საქონელსა და მომსახურებაზე. აქ კოოპერაციის შინაარსი უკავშირდება არა მარტო შრომისა და წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ მხარეს, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, დემოკრატიულ მმართველობას, წევრთა საერთო ძალისხმევას მყარად დაიმკვიდრონ ადგილი სამეწარმეო საქმიანობის კონკურენტულ გარემოში. ასეთი მიდგომის მაგალითებია მომხმარებელთა საზოგადოების (კოოპერატივის) დაფუძნება 1769 წელს შოტ-

ლანდიაში (შვრიის ფქვილის გასადების კოოპერატივი) და პირველი კლასიკური ფორმის, ნამდვილი სამომხმარებლო კოოპერატივის დაარსება 1844 წელს ინგლისში, როზდეილში (“როზდეილის სამართლიან პიონერთა საზოგადოება”). კოოპერატივის დუქანში იყიდებოდა პურისა და შვრიის ფქვილი, შაქარი, ცხიმი. შემდგომში კოოპერატივში დაიწვეს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვა, შეკეთება. დააარსეს სკოლები, ბიბლიოთეკები, რაც კოოპერატივის წევრთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობდა ხელს. კოოპერატივს შემუშავებული ჰქონდა წესდება, რომელიც სანიმუშო გახდა სხვა კოოპერატივებისთვისაც. კოოპერატივები სწრაფად ვრცელდებოდა სხვა ქვეყნებშიც.

ცნობილია როზდეილის კოოპერატორების 8 პრინციპი, რომელიც დღემდე, ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებით, კოოპერატივების საწესდებო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველია. ამიტომ, სრულიად დამსახურებულად, როზდეილის საზოგადოების დაფუძნება მსოფლიო კოოპერაციული მოძრაობის დასაწყისადაა მიჩნეული. ეს პრინციპებია: 1. კოოპერატივების საქმიანობისათვის აუცილებელი კაპიტალი იქმნება თითოეული წევრის შენატანებისაგან, რომელსაც დაერიცხება გარკვეული (მცირე განაკვეთის) პროცენტი; 2. მომწოდებლებისაგან საქონლის შექნა და მომხმარებლებზე მათი რეალიზაცია ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით და არა კრედიტით; 3. საქონელი იყიდება საშუალო საბაზრო ფასებით; 4. დუქანში საქონელი იყიდება კარგი ხარისხის, ზუსტი წონით და ზომით; 5. კოოპერატივის მოგების ძირითადი მასა ნაწილდება წევრებს შორის მათ მიერ შესყიდული საქონლის რაოდენობის პროპორციულად; 6. მოგების გარკვეული ნაწილი წარიმართება წევრთა კულტურული ღონის ასამაღლებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად; 7. კოოპერატივის მართვისას თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა; 8. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა, უარი პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაზე.

ინგლისის მსგავსად, პირველი კოოპერაციული მომხმარებელთა საზოგადოებები (კოოპერატივები) აღმოცენდა და მათი რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა, აგრეთვე, საფრანგეთში – 1848 წლიდან, იტალიაში – 1853 წლიდან, გერმანიაში – 1854 წლიდან, რუსეთში – 1864 წლიდან. პირველ ხანებში კოოპერაცია ვითარდებოდა დარგობრივი მიმართულებით: სამომხმარებლო (საქონლის ბითუმად შემქმენი და საცალო ქსელით რეაღზაციის); სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო, საკრედიტო, სადაზღვევო და სხვა. შემდგომ ეტაპზე დაფუძნდა რეგიონული კოოპერატივები: საუბნო, სასოფლო, რაიონული, საოლქო (სამხარეო) და ქვეყნის მასშტაბით, ანუ ეროვნული ასოციაციები, კავშირები, ლიგა. ამავ პერიოდს ემთხვევა ყველა დონის დარგობრივი კავშირების (გაერთიანებების, ასოციაციების) დაფუძნებაც, როგორცაა: რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელთა და გამსაღებელთა, მევენახეობისა და მეღვინეობის, ხილის წარმოება-გადამუშავება-გასაღების, ხაბაზთა, საბინაო და სხვა.

საქართველოში პირველი კოოპერატივი შეიქმნა 1869 წელს თბილისში „ბერეკლივოსტის“ (ქართულად „მომჭირნეობა“, „ყაირათიანობა“) სახელწოდებით. თავისი არსით ეს იყო სამომხმარებლო კოოპერატივი, რომლის წესდება შეადგინა დიდმა ილია ჭავჭავაძემ, სადამფუძნებლო დოკუმენტებს ხელს აწერდა თავადი ალექსანდრო ჩოლოყაშვილიც. კოოპერატივი გამართულად მხოლოდ 1870 წლის ოქტომბრიდან შეუდგა მუშაობას. ილია ჭავჭავაძემ შეადგინა აგრეთვე თელავისა და სოფელ კონდოლის დამზოგველ-გამანაწილებელი ამხანაგობების (კოოპერატივების) წესდებებიც [1]. ამ პერიოდში თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივ „მომჭირნეობის“ საქმიანობა სამაგალითო გახდა და ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საგარეჯოს „დეპო“ – „დამზოგველ-მომხმარებელთა საზოგადოება“, რომელიც ცნობილმა პედაგოგმა აღ. ცხვედაძემ დააარსა 1877 წელს. სახელწოდება „დეპო“ რუსული - „Добровольное

единое потребительское общество“ – „ნებაყოფილობითი ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოება“ - შემოკლებული სახელწოდებაა. 1895 წელს დაარსდა სოფ. ქვემო მანხანის კოოპერატივი „დეპო“, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი მანხანელის (ნადირაძე) სახლთან არის დაკავშირებული. ამ პერიოდიდან კოოპერაციულმა მოძრაობამ საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო. იმდროინდელი პრესა (გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „Кавказ“, „სასოფლო გაზეთი“, ჟურნალები: „კავშირი“, „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია“ და სხვა), აგრეთვე საარქივო მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ პროცესზე.

ამიერკავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის ყოველკვირეული გაზეთ „კავშირის“ 1917 წლის ოქტომბრის ნომერში ვკითხულობთ: „... სოფელ ავლევეში აკურთხეს ადგილობრივი საკრედიტო და მომხმარებელი კოოპერატივების მიერ საკუთრად აგებული შენობა. საჭირო მამული დაუთმო თავადმა კ. ამირეჯიბმა... აღსანიშნავია ის ერთსულოვნება, რაც გამოიჩინეს შენობის აგებისას. მშენებლობას ხელმძღვანელობდა თვითონ თავადი კ. ამირეჯიბი. მას გვერდში ამოუდგა ყველა ოსტატი. ნაკლებ ქირას დასჯერდნენ, რაკი შენობა კოოპერატივების არისო, არჩილ ჯახველაძე ქვიშას ნაკლებ ფასში უზიდავდა, ი. ამაშუკელი ხე-ტყეს ეზიდებოდა, ავლევის სამეურნეო სასწავლებლის შეგირდები და ოსტატები შრომას არ ზოგავდნენ საჭირო დახმარებისათვის, ერთი სიტყვით, ყველა ვალად სთვლიდა თავისი წვლილის შეტანას საერთო საქმისათვის. შენობა შედგება ოთხი თვალისაგან, შიგ თავსდება მომხმარებელითა და საკრედიტო კოოპერატივები და სამკითხველო. კურთხევას დაესწრნენ სხვა კოოპერატივების წარმომადგენლები. ითქვა ბევრი მხურვალე სიტყვა“. ასეთი ბევრი ღონისძიების მაგალითის მოყვანა შეიძლება, იმდროინდელ პრესაზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სამომხმარებლო კოოპერატივების ეროვნული კავშირის ჩამოყალიბებამდე, 1916 წელს დაფუძნდა ამიერკავკასიის ქვეყნების: საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის კოოპერაციული საზოგადოებების კავშირი – “ზაკსოუზი”. 1919 წელს აღნიშნული კავშირი დაიშალა და დაფუძნდა საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოებების ცენტრალური კავშირი – “ცეკავშირი”. ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ევგენი დარჩია, რომელიც უფრო ადრე “ზაკსოუზის” თავმჯდომარე იყო [2, გვ. 81]. საქართველოს ეროვნული სამომხმარებლო კოოპერაციის ამოცანა იმთავითვე განისაზღვრა: მეპაიეთა და საერთოდ მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება თავისუფალი ვაჭრობისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის, ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებისა და ჩარჩ-ვაჭრებისაგან გლეხობის ინტერესების დაცვის გზით.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელიც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, რთული და სახელოვანი გზა განვლო. 1920-1927 წლებში იგი საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის წევრი იყო (სკა დაფუძნდა 1895 წელს ალიანსის I კონგრესზე ლონდონში). ალიანსიდან ცეკავშირი, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების კავშირები, გამოიწვიეს საბჭოთა კავშირის “ცენტროსოუზის” ალიანსის წევრად მიღების გამო. შემდგომში ცეკავშირი ალიანსის დონოსიძეებებში მონაწილეობდა როგორც “ცენტროსოუზის” წევრი. ცეკავშირის აღდგენა საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსში მოხდა 1992 წლის ოქტომბერში ალიანსის XXX კონგრესზე ტოკიოში, რაც დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო აღიარების კიდევ ერთი დადასტურება იყო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1919-1920 წლებში რუსეთის „ცენტროსოუზის“ თავმჯდომარე იყო ჩვენნი თანამემამულე ანდრო ლეჟავა (1870-1937) გამოჩენილი პარტიული

და სახელმწიფო მოღვაწე. შემდგომში, 1921-1924 წლებში იგი იყო რუსეთის ჯერ საგარეო, შემდგომ საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე, 1924 წლიდან რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო – საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე. ა. ლეჟავა წარმოშობით სიღნაღიდან იყო.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია – ცეკავშირი ახლო წარსულში ქვეყნის მოსახლეობის 52 %-ს უწევდა სავაჭრო და კვებით მომსახურებას, მ.შ. საწარმოებსა და დაწესებულებებში, მშენებლობებზე, მინდვრად, პლანტაციებში და საძოვრებზე. მისი წილი ქვეყნის მთლიან საქონელობრუნვაში 33%-ს შეადგენდა (2,5 მლრდ მანეთი). სისტემას გააჩნდა სამრეწველო, დამზადების, სასწავლო და სამეცნიერო მომსახურების საწარმოები და დაწესებულებები, ტურიზმისა და დასვენების საუკეთესო ობიექტები. სისტემაში დასაქმებული იყო 80 ათასზე მეტი მუშაკი.

თავისი დაარსების პირველსავე წლებიდან სამომხმარებლო კოოპერატივებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ სოფლად სოციალურ-კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებაში.

ცეკავშირი სოლიდურ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. ასე, მაგალითად: მნიშვნელოვანი თანხები გამოუყო ახლადდაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჭიათურის დრამატულ საზოგადოებას, ზუბალოვის სახალხო სახლს, დააფინანსა უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტების სტიპენდიების და საზაფხულო პრაქტიკის ხარჯები, რექტორის ივ. ჯავახიშვილის თხოვნით. ასევე, კოოპერაციის ფულადი სახსრებით დაარსდა საოპერო სტუდია, შექმნილი იქნა კინოატელიე ბელგიელი კომერსანტისგან, გაეწია დახმარება გ. ჯაბადარის დრამატულ სტუდიას, სადაც ფეხი აიდგეს ვერიკო ანჯაფარიძემ, აკაკი ვასაძემ და სხვებმა. ცეკავშირის “კოოპეტატრის” ბაზაზე (ხელმძღვანელი მ. ჭიაურელი) 30-იან წლებში დაარსდა მუსიკალური



კომედის თეატრი, ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ოსური დასის პირველი კოლექტივი ძირითადად ცეკავშირთან არსებული მოძრავი თეატრის ოსური ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა (მოძრავ თეატრში გაერთიანებული იყო ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური და ოსური დასები). პირველი ქართული მხატვრული ფილმი “ქრისტიანე” ეკრანზე ცეკავშირის მარკით გამოვიდა და სხვა. ცეკავშირი ტრადიციულად შეფობდა სკოლებს, ბაგა-ბაღებს, კოჯრის, მარტყოფის, წყნეთის მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს, კასპის უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლს და სხვა. აჭარაში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის ცეკავშირმა თავისი სახსრებით დააფუძნა სოფელი აზმანა (ახალქალაქის რაიონი), სოლიდური თანხები გაიღო ზემო იმერეთსა და რაჭაში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად, შიგა დაპირისპირების შედეგად გადაშვარი რუსთაველის პროსპექტის განახლებისთვის, ტელერადიო ცენტრის შენობის აღსადგენად, თავდაცვის ფონდში გადარიცხა რამდენიმე მლნ მან. ამ ღონისძიებებისათვის ბევრმა კოოპერატორმა საკუთარი დანაზოგების სახსრებიც გაიღო. შეიძლება სხვა მრავალი მაგალითის დასახელებაც.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია კოოპერაციის როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა, რადგან სოფლად სასოფლო-სამეურნეო სამეწარმეო საქმიანობის დაბალი ღონის გამო მოსახლეობის ძირითადად მასამ საარსებო შემოსავლის მიღების მიზნით ქალაქებს, განსაკუთრებით დედაქალაქს – თბილისს მიაშურა. აქ ისინი ეწევიან სავაჭრო, სამშენებლო, სახელოსნო, სარემონტო და სხვა სამუშაოებს. შედეგად სოფელი დარჩა რეალური მუშაძალის გარეშე, აღარ იქმნება პოტენციური ოდენობის მატერიალური დოვლათი. სახეზეა სოფლის მოსახლეობის მწარმოებლიდან მომხმარებლად გადაქცევის ტენდენცია.

ბევრგან, განსაკუთრებით მთიან და მთაგორიან სოფლებში, მოსახლეობა მოკლებულია ელემენტარულ კულ-

ტურულ, საყოფაცხოვრებო და საგანმანათლებლო პირობებს. არ ფუნქციონირებს თანამედროვე პირობების შესატყვისი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საწარმოები, ვაჭრობისა და კვების ობიექტები. სათანადო ყურადღება არ ექცევა პირველადი მოხმარების საგნების, საწვავისა და სხვა აუცილებელი საქონლის შეზიდვას და ზამთრის პერიოდისათვის მარაგების შექმნას, არ მუშაობს კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, სპორტული დარბაზები, საოჯახო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტექნიკის სარემონტო პუნქტები და სოფლად ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი სხვა ინფრასტრუქტურა. ახალგაზრდობის სოფლად დამაგრება გართულებულია სათანადო სამუშაო ადგილებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების არარსებობის გამო.

ვითარებას ართულებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის დროებით, კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში შრომით საქმიანობაში ჩაბმის აუცილებლობა და მათ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების შეუძლებლობა, იქ ცხოვრების ნორმალური პირობების აღდგენისათვის ზრუნვა. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ე.წ. თურქი მესხების დაბრუნებისა და მათი სოფლებში ჩასახლების (განთესვის) და დასაქმების, საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის პრობლემაც;

ყურადსადებია, აგრეთვე, სოფლის ტრადიციული როლი ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების საქმეში, რაც საბოლოოდ ისევ და ისევ სოფლის აღორძინებას, იქ ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას უკავშირდება. ასეთ პირობებში სამწუხაროა, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია მწვავე კრიზისშია და პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით. ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ მიზეზებს მიუკერძოებელი ანალიზი გაუკეთდეს და სათანადო შე-

ფასება მიეცეს, რაც ალბათ, გაკეთდება კიდევ. აქ მოკლედ შევნიშნავთ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სამომხმარებლო კოოპერაციას მეტ-ნაკლებად ყველგან უჭირს, უკიდურესად დაქვეითებულია მისი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. ასეთი ვითარება ობიექტურად გამოიწვია საბჭოთა ტოტალიტარულ-გეგმიანი ეკონომიკისა და სამეურნეო კავშირების რღვევამ, ერთიანი ეკონომიკური სივრცის მოშლამ, ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისადმი ადევკვატური ეკონომიკური პოლიტიკის უქონლობამ. ჩვენი მდგომარეობა, პოსტსაბჭოთა სხვა ქვეყნებთან შედარებით განსაკუთრებით დაამძიმა და გააუარესა შინა აშლილობამ, სამოქალაქო დაპირისპირებამ, წესრიგის მოშლამ ყველგან და ყველაფერში.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ცეკავშირის ხელმძღვანელობა მაინც ახერხებდა კოოპერაციის სახის შენარჩუნებას, დაისახა რეფორმების განხორციელების მიმართულეები, კოოპერაციული ქანების მართვის, კოოპერაციის როგორც ძირეული რგოლის განმტკიცების, კოოპერაციული დემოკრატიის განმტკიცების და სხვა სახის ღონისძიებები.

სპეციალურად უნდა შევჩერდეთ როგორც საერთოდ კოოპერაციის, ასევე - კერძოდ სამომხმარებლო კოოპერაციის საკანონმდებლო, სამართლებრივ ბაზაზე. პირველი კოოპერაციული კანონი მსოფლიოში მიღებული იქნა ინგლისში 1852 წელს (რომლის გაუმჯობესებული ვარიანტი შეიქმნა 10 წლის შემდეგ); საფრანგეთსა და გერმანიაში კი - 1867 წელს. მეფის რუსეთში კოოპერაციების რეგისტრაცია და საქმიანობის რეგულირება მთავრობის დადგენილების საფუძველზე ხორციელდებოდა. თითოეული კოოპერაციის წესდებას 1897 წლამდე ამტკიცებდა მთავრობა, შემდგომში, ეს ფუნქცია გუბერნატორებს გადაეცა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლიდან, ყველა სახეობის კოოპერაციის, მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციების საქმიანობას, რომლებსაც წამყვანი ადგილი ეკავა, სახ-

აღხო კომისართა საბჭოს დეკრეტებით ხორციელდებოდა. შემდგომში, კოოპერაციის გასახელმწიფოებრივებისა და კომუნისტური დიქტატის პირობებში, კოოპერატივები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების საფუძველზე აგრძელებდა საქმიანობას. მხოლოდ 1988 წლის, მაისში ე.წ. პერესტროიკის პერიოდში მიიღეს კანონი „კოოპერაციის შესახებ სსრ კავშირში“. მას შემდეგ, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს და სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ, რასაც ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი სფეროებისა და დარგების ნგრევა-ლიკვიდაცია მოყვა, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ეკონომიკის კოოპერაციული სექტორი, განსაკუთრებით სამომხმარებლო კოოპერაცია – ცეკავშირის სისტემა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა შინააშლილობა, სამოქალაქო ომი, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების კრიმინალური საქმიანობა, ქონების მიტაცებაშისაკუთრება და ა.შ. უფრო მეტიც, დღის წესრიგში სამომხმარებლო კოოპერაციის გაუქმების საკითხიც კი დაისვა, და ეს განხორციელდებოდა, რომ არა სახელისუფლო ორგანოების პროფესიონალი, გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკების მხარდაჭერა. ცეკავშირის ხელმძღვანელობა (გამგეობის თავმჯდომარეები: რ. კონცელიძე, ნ. ჟღენტი, გ. ქათამაძე) გამგეობის აპარატი, კოოპერაციული ორგანიზაციები – რაიონული კოოპერაციული ორგანიზაციები ცდილობდნენ რეფორმების განხორციელების გზით სისტემის შენარჩუნებას, საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტაციის გზით. ეჭვს არ იწვევდა, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე სისტემის შენარჩუნება წარმოუდგენელი იყო. ამიტომ ცეკავშირის ხელმძღვანელობამ შეძლო დაერწმუნებინა ხელისუფლება ასეთი მხარდაჭერის აუცილებლობაში, რასაც მოყვა სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 27 დეკემბრის №270 ბრძანებულება – „საქართველოს რესპუბლიკაში სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“. ბრძანებულებამ დიდი პოზიტიური

როლი შეასრულა სამომხმარებლო კოოპერატივების ქონებისა და საქმიანობის სამართლებრივად დაცვის საქმეში. მაგრამ, მდგომარეობა სულ მალე გართულდა, 1994 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ეს კანონი შეესაბამებოდა ევროპულ სტანდარტებს, მის მომზადებაში გერმანელ იურისტებთან ერთად (რ. კნიპერი, ხ. ფრომი) მონაწილეობას ღებულობდნენ ცნობილი ქართველი იურისტები – ლ. ჭანტურია და თ. ნინიძე. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, კანონში ასახვა ვერ ჰპოვა საქართველოში ისტორიულად არსებულმა თავისებურებებმა და რეალობამ, მ.შ. სამომხმარებლო კოოპერაციასთან მიმართებითაც. ასე, მაგალითად, კანონის თანახმად განისაზღვრა საწარმოთა (ორგანიზაციათა) შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები: 1. ინდივიდუალური საწარმო; 2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; 3. კომანდიტური საზოგადოება; 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; 5. აქციონერული საზოგადოება; 6. კოოპერატივი. მოგვიანებით, 1997 წლის 27 ივნისს მიღებულ სამოქალაქო კოდექსით საწარმოთა (ორგანიზაციათა) ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს დაემატა „ფონდი“ და „კავშირი“, რომლებიც მიკუთვნებულია არაკომერციულ იურიდიულ პირებს და მხოლოდ დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის უფლება აქვთ. კანონით - „მეწარმეთა შესახებ“, კოოპერატივი განმარტებულია შემდეგნაირად: „კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე“ (მუხლი 60). ზედმიწევნით, კვლავ ვიმეორებთ, ევროპული სტანდარტების თანახმად, იყო განსაზღვრული კოოპერატივის სახეობები: ა) ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისათვის;

ბ) სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის; გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები; დ) მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემქენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები-სამომხმარებლო კოოპერატივები; ე) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწაო-სათვის აუცილებელი მატერიალტექნიკური რესურსების შექმნა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები; შემდგომში ამ ჩამონათვალს დაემატა სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები და საკრედიტო კავშირები.

დაგუბრუნდეთ საკითხს სამომხმარებლო კოოპერატივების შესახებ. პროფესიონალის თვალს არ გამოეპარება და ადვილი შესამჩნევია, რომ კანონით - „მეწარმეთა შესახებ“, სამომხმარებლო კოოპერატივის სამეწარმეო საქმიანობა შეიზღუდა მხოლოდ საბითუმო და საცალო ვაჭრობით, მაშინ როცა იგი საქართველოში ტრადიციულად ჩამოყალიბდა როგორც მრავალდარგოვანი. ასე, რომ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის – ცეკავშირის ისეთი დარგები, როგორც იყო: საწარმოო-სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, საგანმანათლებლო, ტურისტულსამკურნალო, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება-გადამუშავება-რეალიზაციის და სხვა კანონგარეშე ცხადდებოდა. ასეთ პრობლემას წააწყდნენ პოსტსაბჭოთა სხვა ქვეყნებიც, სადაც საკანონმდებლო კონფლიქტი შეიქმნა სამომხმარებლო კოოპერაციასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსთან, საერთაშორისო კოოპერაციული საბჭოსთან, კოოპერაციის თეორიისა და პრაქტიკის გამოჩენილ მეცნიერებსა და პრაქტიკოსებთან სათანადო კონსულტაციების შემდეგ, ცეკავშირის ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ დამოუკიდებელი, სპე-

## **საქართველოს კანონი და საქართველოს პოლიცია**

ციალური კანონის მიღება. სათანადო მუშაობის შემდეგ ცეკავშირის სპეციალისტების ჯგუფმა მოამზადა კანონის პროექტი, რომელმაც ექსპერტიზა გაიარა საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის, საერთაშორისო კოოპერაციული საბჭოს სპეციალისტებთან, რომლებიც სპეციალურად იმყოფებოდნენ საქართველოში (ს. ობერგი, გ. ალტშული, გ. უგლევი). კანონის მხარდაჭერა ოფიციალურად დაადასტურეს ქართველმა მეცნიერებმაც (ა. სილაგაძე, მ. ჯიბუტი, ვ. ვეფხვაძე, გ. შუბლაძე, ე. ბოლოკაძე და სხვები). კანონპროექტი სათანადო განხილვების შემდეგ წარედგინა პარლამენტს, რომელმაც მიღო კიდევ იგი 1997 წლის 15 მაისს.

კანონით სამომხმარებლო კოოპერატივები განისაზღვრა, როგორც მრავალდარგოვანი კოოპერატივები, ანუ გაფართოვდა მისი საქმიანობის არეალი და ამით, კანონმდებლობით აღიარებულ იქნა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციისათვის დამახასიათებელი ისეთი დარგებიც, რომლებსაც სისტემა საბითუმო და საცალო ვაჭრობასთან ერთად ახორციელებდა (სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, საგანმანათლებლო, ტურიზმისა და დასვენების კომპლექსები და სხვა).

აქედან გამომდინარე, სათანადო ცვლილება შევიდა კანონში - „მეწარმეთა შესახებ“. კერძოდ, 60.1 ქვეპუნქტის „დ“ პუნქტიდან ამოღებული იქნა ტერმინი „სამომხმარებლო კოოპერატივები“. სამაგიეროდ დაემატა „ზ“ პუნქტი - „სამომხმარებლო მრავალდარგოვანი კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

გარდა იმისა, რომ კანონის მიღებით მოიხსნა საკანონმდებლო კაზუსი, აღიარებულ იქნა სამომხმარებლო კოოპერაციის სოციალურ-ეკონომიკური როლი მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებაში, კოოპერაციული საკუთრება გაცხადდა როგორც კერძო საკუთრება, ხაზი

გაეხსიან ხელისუფლებასთან პარტნიორული თანამშრომლობის აუცილებლობას, დაკანონდა ამ თანამშრომლობის დემოკრატიული ფორმები დიქტატისა და ზეწოლის ნაცვლად, დარეგულირდა სხვა საკითხებიც. კანონი - „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ მიიღეს: ყაზახეთმა - 1991 წლის იანვარში, თურქმენეთმა - 1991 წლის ნოემბერში, უკრაინამ - 1992 წლის აპრილში, რუსეთმა - 1992 წლის ივნისში, ტაჯიკეთმა - 1992 წლის მარტში, სომხეთმა - 1993 წლის დეკემბერში და ა.შ.

ასე დაწვრილებითი ანალიზი ზემოთაღნიშნულ კანონთან დაკავშირებით იმიტომ არის აუცილებელი, რომ თავის დროზეც და ამჟამადაც, აქაიქ კიდევ გეგმვება საქმეში ჩაუხედავი, არაპროფესიონალი, ამბიციური, სხვადასხვა მიზეზით დაინტერესებული პირებისაგან კანონის დაუსაბუთებელი კრიტიკა. უფრო მეტიც, წინა, ნაციონალური ხელისუფლების პარლამენტში 2007 წლის სექტემბერში საკომიტეტო მოსმენებიც კი დაინიშნა „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე. საბედნიეროდ, სალადმოაზროვნე პარლამენტარების ერთი ნაწილის წყალობით იდეა არ განხორციელდა. რაც შეეხება ნეგატიურ დამოკიდებულებას კანონის მიმართ, იგი პირადი ინტერესებითაც იყო გამოწვეული, რაც ადრე თუ გვიან ცნობილი გახდება.

კიდევ ერთი, ახალი კანონი, რომელსაც უშუალოდ, პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოში კოოპერატივების საქმიანობასთან, არის 2013 წლის 12 ივლისს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“.

ფაქტი კანონის მიღების შესახებ უთუოდ დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს. იგი პირდაპირ უკავშირდება სოფლის აღორძინების სამთავრობო პროგრამის განხორციელებას, რასაც უდიდესი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. წმინდა სამართლებრივი, იურიდიული თვალსაზრისით ყველა სახეობის კოოპერატივის, მ.შ.



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა ადრეც არსებობდა. მიტომ, ჩვენი აზრით, უფრო გამართლებული იქნებოდა სპეციალური კანონის მიღება „კოოპერატივების მხარდაჭერის სამთავრობო ღონისძიებათა შესახებ“, სადაც აისახებოდა საგადასახადო და სხვა შეღავათები ყველა სახეობის კოოპერატივზე, რაც არსებობს და რომლებიც აუცილებელია გატარდეს დამატებით. ყველა სახეობის კოოპერატივზე გავრცელება კი თანაბარ, კონკურენტულ გარემოს შექმნიდა მათი საქმიანობის აღორძინება-გაფართოებისათვის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გამართული საქმიანობა წარმოდგენელია ისეთ კოოპერატივებთან თანამშრომლობის გარეშე, როგორცაა: სამომხმარებლო, საწარმოო, საკრედიტო, სერვისული მომსახურებისა და სხვ. გარდა ამისა, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება ეწინააღმდეგება გაეროს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის რეზოლუციებს და გადაწყვეტილებებს კოოპერატივების იდენტიფიკაციის შესახებ. არის საკითხები, რომლებიც აუცილებელია გატარდეს კანონის დომკრატიულობის ხარისხის ამაღლების მიმართულებითაც. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო მოკლე ვადაში უნდა გადაიქცეს არასამთავრობო ორგანიზაციად – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ეროვნულ ასოციაციად, ალიანსად, კავშირად ან ლიგად, რომელსაც ნებაყოფლობითობის საფუძველზე დააფუძნებს თვით კოოპერატივები. ასეთი წესით დაფუძნებული ორგანიზაცია შემდეგ ადვილად გაწევრიანდება საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსში და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში, რაც მას საშუალებას მისცემს ჩაერთოს საერთაშორისო კოოპერაციულ პროექტებში, მიიღოს მეთოდური ხასიათის დახმარება – რეკომენდაციები და ფინანსური მხარდაჭერა.

კოოპერაციული დემოკრატიის ჩარჩოებში არ ჯდება კანონის მოთხოვნა, რომლის თანახმად სამეწარმეო რეესტრში უკვე გატარებულმა კოოპერატივებმა – სააგენტოში უნდა მოიპოვონ სტატუსი, იგივე ეხება კონტროლისა და მონიტორინგის მოთხოვნებსაც, რაც აუცილებლად შესწორებას ან სხვაგვარად ფორმულირებას საჭიროებს.

დაუფრუდეთ სამომხმარებლო კოოპერაციას. აქ მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა ცეკავშირის ხელმძღვანელობაში არაპროფესიონალების მოსვლამ, პირებისა, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება, შეხება არ ჰქონიათ კოოპერაციასთან. ზოგიერთი მათგანი აქ მოხვდა პარტიული კუთვნილებით (მოქალაქეთა კავშირი – ნაციონალური მოძრაობა), ზოგიც ხელისუფლებისა და მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ლობირებით. პარალელურად სისტემას, გამგეობას და აპარატს სხვადასხვა მოტივით ჩამოცილდა არაერთი პროფესიონალი, განუხორციელებელი დარჩა სისტემის რეფორმირების ბევრი ღონისძიება. კიდევ უფრო გაძლიერდა ხელისუფლებასა და სახელისუფლო პარტიასთან აშკარა და ფარული კარტელი, თანამშრომლობა. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ მრავალი ობიექტი რაიკოოპერატივებიდან და რაიკავშირებიდან, საკუთარი მეურნეობიდან სიმბოლურ ფასად ან მუქთად, სხვადასხვა მოტივით უფასოდ გადაეცა სახელმწიფოს. 2006 წელს ცეკავშირის გამგეობამ, ეკონომიკის სამინისტროს კანონდარღვევით, ზეწოლით უფასოდ გადასცა და ამ უკანსკნელმა კერძო პირებზე გაასხვისა სისტემის ისეთი ცნობილი სტრატეგიული ობიექტები, როგორცაა კურორტ საირმის ცნობილი დასასვენებელი სახლის 2 კორპუსი, 16 - სართულიანი დასასვენებელი სახლი სათანადო ინფრასტრუქტურით ქობულეთში, შესანიშნავი კოტეჯი “შინო 2” გუდაურში; მარნეულის საკონსერვო ქარხანა, რომლითაც ამჟამად მისი დღევანდელი მფლობელები., საქართველოს კოოპერაციული ინსტიტუტის

შენობა მეტრო “დელისთან”; შილდისა და წნორის ღვინის ქარხნები; ამბროლაურის, თელავის, სენაკის სასურსათო კომბინატები; გლდანის, ზუგდიდის, ქსნის, საწარმო - კომბინატები და სხვა მრავალი. პრაქტიკულად განიავდა სისტემის სავაჭრო, საწარმოო, სასწავლო და სერვისულ-საკურორტო-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი.

გონივრულ ეჭვს იწვევს ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობის გასხვისების მართლზომიერებაც თავისუფლების მოედანზე (შენობა აიგო 1971 წელს, არქიტექტორები გ. მელქაძე და ნ. ქვარცხავა. იმ დროს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე იყო ნ. ჯავახაძე). ამ შენობას ანალოგი არ გააჩნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. იგი 2-ჯერ გადაურჩა განადგურება-მიტაცებას. პირველად, ე.წ. თბილისის ომის დროს, შენობაც და მიმდებარე საცხოვრებელი სახლიც რუსთაველის პროსპექტზე რამდენჯერმე გადავარჩინეთ ხანძარს გამგეობის თავმჯდომარის ბატონ რ. კონცელიძის განკარგულებით შექმნილმა შტაბმა (შტაბის წევრები: მ. ჭუმბურიძე, გ. ჭილაძე, ბ. კახიძე, თ. გაგნიძე, ნ. ლელაშვილი, ა. მგალობლიშვილი, ბ. რაზმაძე, ნ. ცხვარაძე, ს. სუსუნიაშვილი, ლ. ხორავა, ნ. ჯავახაშვილი, ა. მსხილაძე და სხვები). მეორედ, გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი ნ. უღენტი თავგადასდებულად წინ აღუდგა შენობის ჩალის ფასად გასხვისება - მისაკუთრებას.

თუ როგორ ხდებოდა სამომხმარებლო კოოპერაციის ქონების მიტაცება წინა ხელისუფლების მხრიდან, ამის ნათელი მაგალითია მარტვილის მომხმარებელთა საზოგადოების ერთ-ერთი მეპაიეს წერილი (წერილი ხელმოწერილია, გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ - ავტ.): „მარტვილის სამომხმარებლო კოოპერატივი 2006 წლის მაისამდე ფლობდა 93 ობიექტს. ამ ქონებას თვალი დაადგა იმჟამინდელმა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ და ფინანსური პოლიციის მხრიდან შანტაჟით, დაპატიმრებისა და ფიზიკური

ანგარიშსწორების მუქართ მარტვილის სამომხმარებლო კოლოპერაციის 2006 წლის 15 მაისს ჩატარებული მეპაიეთა კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სამეგრელო–ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორი..., სენაკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი..., მარტვილის შ.ს. რაიონული სამმართველოს უფროსი..., მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარე .... და სხვა პასუხისმგებელი პირები, კრების ჩატარების ადგილის პერიმეტრი კი დაცული იყო 20–ზე მეტი პოლიციელით, სახელმწიფოს „ნებაყოფილებით ვაჩუქეთ“ 61 ობიექტი. სწორედ საფინანსო პოლიციაში დაბარებებს, ზეწოლასა და მუქარებს შეეწირა მარტვილის მომხმარებელთა კოლოპერაციის ყოფილი თავმჯდომარე დემურ ხუნწელია, რომელმაც საფინანსო პოლიციაში ერთ–ერთი დაბარებისას ინსულტი მიიღო“. როგორც წერილიდან ირკვევა, აგრეთვე, კოლოპერაციი ვერ ისაკუთრებს და სამეწარმეო რეესტრში ვერ ატარებს 21 ობიექტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახურის ბიუროკრატიული ქცევის გამო.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამომხმარებლო კოლოპერაციის – ცეკავშირის ერთგული, პროფესიონალი მუშაკების ერთმა ჯგუფმა სისტემაში შექმნილი მძიმე სიტუაციის შესახებ წერილით აცნობა სკა-ს ხელმძღვანელობას ქვენევაში. სკა-ს პრეზიდენტმა ბატონმა ივანო ბარბერინმა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 27 თებერვალს გამოგზავნილ წერილში ჩვენთან კოლოპერაციული ქონების ხელყოფის გამო გამოთქმულ წუხილთან ერთად, პრობლემის მოსაგვარებლად დახმარების სურვილიც გამოხატა ადგილზე, საქართველოში ჩამოსვლით. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, სკა-ს პრეზიდენტის წერილი სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა.

დღეს, როდესაც ქვეყნის მართვას, საბედნიეროდ, შეუდგა დემოკრატიული გზით არჩეული ეროვნული ხელისუფლება

– პარლამენტი, მთავრობა, სოფლის აღორძინება კი სამთავრობო პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული, კოოპერაციას, მ.შ. სამომხმარებლო კოოპერაციას უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში.

აქვე, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ დღევანდელ სამომხმარებლო კოოპერაციას სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღდგენა-განვითარების გზით სოფლის აღორძინების, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-კულტურული დონის ამაღლების სამთავრობო პროგრამაში ჩართვა და მისი შესრულება არ შეუძლია. მიზეზებიდან გამოვყოფდით მთავარს: 1. წინა, ყველა ხელისუფლების მხრიდან სისტემისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, დახმარების ნაცვლად დიქტატი და ზეწოლა, რასაც კოოპერაციული ქონების მიტაცება, კანონმდებლობის დარღვევით გასახელმწიფოებრივება და კერძო პირებზე მიყიდვა-ჩუქება მოყვა; 2. ბოლო პერიოდის ცეკავშირის მესვეურთა კოლაბორაციონისტული, მოღალატეობრივი დამოკიდებულება სისტემისადმი, აშკარა და ფარული კარტელი (თანამშრომლობა–გარიგება) ხელისუფლებასთან; 3. უაღრესად სუსტი (უსუსური) მენეჯმენტი, კოოპერაციის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა, რომლის მაგალითია წინა ხელისუფლების სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2012-2020წ.წ.)”. ასეთი მიდგომა სამართლიანად იქნა ჩვენს მიერ გაკრიტიკებული [4]; 4. შელახული რეპუტაცია და დაცემული იმიჯი; 5. სისტემის გულშემატკივარ, კვალიფიციურ, პატრიოტ კოოპერატორთა შორის უპერსპექტივობისა და ნიჰილიზმის გრძნობის გაჩენა.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია საწყის ეტაპზე სასწრაფოდ შეუდგეს მისთვის დამახასიათებელი ფუნქციის შესრულებას და აქტიურად ჩაებას

სოფლის აღორძინების სამთავრობო პროგრამაში, არ აღმოჩნდეს არა თუ გარეშე მაყურებლის როლში, არამედ საკუთარი ხელით წერტილი არ დაუსვას სამომხმარებლო კოოპერაციის თითქმის 150-წლიან ისტორიას საქართველოში?

1. ცეკავშირის გამგეობას, მართვისა და კონტროლის სხვა ორგანოებს უნდა ხელმძღვანელობდეს არა კრეატიუბი, არამედ დემოკრატიული პრინციპების დაცვით აირჩეული პროფესიონალი, ერთგული მეპაიე-წევრები. ორგანიზაციის წესდება უნდა გათავისუფლდეს ანტიდემოკრატიული პუნქტებისაგან და მოყვანილი იქნეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, ზუსტად განისაზღვროს დამფუძნებელი კოოპერატივებისაგან ცეკავშირისთვის დელეგირებული უფლებამოსილებები, ურთიერთთანამშრომლობის პირობები, შეწყდეს კავშირის ჩარევა დამფუძნებელი კოოპერატივების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში, კავშირი არ უნდა აკონტროლებდეს მათ. კავშირის მთავარი ფუნქცია უნდა იყოს: კოოპერატივების ინტერესების დაცვა სხვადასხვა სახელმწიფო, სამართალდამცავ, სასამართლო, საერთაშორისო ორგანოებსა და ორგანიზაციებში; დახმარების გაწევა პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში, სპეციალისტების მომზადებასა და გადამზადებაში, სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებაში, ფერმერული, გლეხური მეურნეობების, დამზადება-გადამუშავებარეალიზაციის საწარმოებისა და სხვა ინფრასტრუქტურის შექმნაში; 2. სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა მოახდინოს ძირითადი საქმიანობის პერეპროფილირება იმგვარად, რომ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვროს მრავალდარგოვანი, მ.შ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფუძნება, წამყვან საქმიანობად კი-სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მაქსიმალურად ადგილზე გადამამუშავება და ქალაქის მოსახლეობაზე მიწოდება უნდა გახდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურით; 3. უნდა აღდგეს

და გაფართოვდეს პირველადი მოთხოვნილების საქონლით სოფლის მოსახლეობის მომარაგება, კვებითი მომსახურება, მ.შ. საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, მაღალმთიან რაიონებში- “სახლში მაღაზიების”, მინი სასაწყობო, სამაცივრო, სატრანსპორტო, სატრაქტორო, სარემონტო და სხვა საწარმოებით; 4. კავშირი უნდა დაეხმაროს თავის რეგიონულ წევრებს (რაიონისა და სოფლის კოოპერატივები) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფუძნებასა და განვითარებაში, შეიმუშაოს კოოპერატივის სანიმუშო წესდება, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით კი კოოპერაციული სამეწარმეო საქმიანობის (სოფლის მეურნეობის მაპროფიტებელი დარგები, არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და სრულყოფის ღონისძიებები და სხვა) პროგრამა-პროექტი. ეს პროგრამა-პროექტი სათანადო განხილვის შემდეგ უნდა დაამტკიცოს მართვის ორგანოებმა. პროგრამა-პროექტი კონკრეტული ვადებით და ფინანსური უზრუნველყოფით უნდა იყოს გაწერილი; 5. კოოპერატივებმა უნდა აღწერონ ქონება, მოახდინონ მისი ინვენტარიზაცია, ის, რაც საჭიროა, უნდა დაიტოვონ, ზედმეტი-გაასხვისონ და ამოღებული თანხა მოახმარონ საჭირო ინვესტიციებს; 6. პარალელურად სასწრაფოდ უნდა დაიწყოს სახელმწიფოს მიერ კანონდარდვევით მითვისებული ქონების დაბრუნების პროცესი. იმის გათვალისწინებით, რომ უაღრესად რთული იქნება პრობლემის გადაწყვეტა, არაა გამორიცხული პროცესის დროში გაწველვაც, შეიძლება მივმართოთ მარტივ გზას – მხარეთა შორის მორიგებას: კომისიურად გადაწყდეს და ყველა მესაკუთრემ, რომლებმაც სახელმწიფოსგან მიტაცებული ქონება მუქთად შეიძინა და ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, კოოპერაციას განუსაზღვროს თავისი წილი საწესდებო კაპიტალში, ანუ კოოპერაცია გახდეს საწარმოს ერთ-ერთი მეწილე, თანამესაკუთრე. ასეთი მექანიზმი ლოგიკური, ობიექტური და პრაქტიკულადაც გამა-

რთლებულია; ეს წესი აპრობირებულია სხვა ქვეყნებშიც; 7. სასწრაფოდ უნდა განახლდეს კოოპერატივებში მუშაობის ქონების განაწილება—დამკვიდრების პროცესი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით; 8. კოოპერატივების საქმიანობაში უნდა ჩაერთონ ახალგაზრდა სპეციალისტები, ვიზრუნოთ პერსონალის მომზადებაზე, სწავლებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე. განათლების სამინისტროს უნდა ვთხოვოთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში, განსაკუთრებით სოფლად, შემოიღოს “კოოპერატიული ბიზნესის” კურსის (საგნის) სწავლება პრაქტიკული გაძლიერებული მეცადინეობით. სასურველია დაფუძნდეს სასკოლო (მასწავლებელთა და მოსწავლეთა) კოოპერატივები. კოოპერატივებს უნდა გამოეყოს სათანადო მიწის ნაკვეთი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა; 9. ფინანსური უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ მიმართულებით კოოპერაციისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული სესხები (სათანადო პროგრამებისა და პროექტების რეალობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით), გამოყენებული უნდა იქნეს ერთობლივი კოოპერაციული საწარმოების დაფუძნების (მ.შ. უცხოელ პარტნიორებთან), კოოპერატიული ბანკისა და სოფლად საკრედიტო კავშირების დაფუძნების შესაძლებლობები; 10. ნაწილობრივ უნდა გადაიხედოს საკანონმდებლო ბაზაც. ამ კანონებში პრაქტიკულად გათვალისწინებული არ არის კოოპერაციისადმი და საერთოდ სამეწარმეო საქმიანობისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარებისა და მხარდაჭერის კონკრეტული ღონისძიებები (იაფი კრედიტები, საგადასახადო შეღავათები და ამინისტია და სხვა). ამიტომ, საჭიროა პარლამენტმა მიიღოს ყველა სახეობის კოოპერატივზე დახმარებისა და მხარდაჭერის ღონისძიებათა სპეციალური კანონი. უნდა გადაისინჯოს მთაგორიანი რეგიონების შესახებ კანონიც (“მთის კანონი”); 11. სხვადასხვა



## **საქონლიანი თერაპია და საქონლიანი პოლიტიკა**

კოოპერატივის საქმიანობის გაფართოებას ხელს უშლის შეტანილი ცვლილება კანონში „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“. ამ ცვლილების თანახმად, 2012 წლის 1 იანვრიდან კერძო სამართლის იურიდიული პირი კარგავს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, ასევე თვითნებურად დაკარგულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას და იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, ანუ გამოსყიდვით. ეს ცვლილება განხორციელდა ისე, რომ საზოგადოება პრაქტიკულად წინასწარ ინფორმირებული არ იყო საკმარისად და, ამიტომ, იგი ფაქტობრივად სხვისი ქონების სახელმწიფოს მიერ მიტაცების შენიღბული ფორმაა. ახალმა ხელისუფლებამ მიზანშეწონილია გამოასწოროს წინა ხელისუფლების ეს „შეცდომა“ და 1 წლით მაინც უნდა გააგრძელოს საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ადრე მიღებული კანონის მოთხოვნა, ნორმა. 12. ფართოდ უნდა გაიშალოს საინფორმაციო და განმარტებითი მუშაობა მრავალდარგოვანი სასოფლო, სამომხმარებლო, სერვისული, საკრედიტო და სხვა სახეობის კოოპერატივების საკითხზე. სათანადო პროპაგანდა უნდა გაეწიოს მოწინავე ადგილობრივ და უცხოურ გამოცდილებას. რეგულარული უნდა გახდეს საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციები, რადიო და სატელევიზიო გადაცემები, სამეცნიერო დაწესებულებებს უნდა მიეცეს დაკვეთა სათანადო გამოკვლევებზე, ჩატარდეს კონფერენციები, დისკუსიები. ამ მხრივ მისასაღებელია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კარგად ორგანიზებული ღონისძიება – კონფერენცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საკითხზე, რომელიც 2014 წლის 6 თებერვალს გაიმართა; 13. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ თი-

თოეული მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი სოფლების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამები (პროექტები), სადაც სხვა საკითხებთან ერთად ასახული უნდა იყოს კოოპერატივების დაფუძნება-აღდგენა-განვითარების საკითხები. ასეთი სამუშაოების ჩატარების კარგი გამოცდილება აქვს და ადრინდელი გამოკვლევებიც გააჩნია ვ. მელქაძის სახელობის ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტს. ეს ინსტიტუტი, სამწუხაროდ, აღარ ფუნქციონირებს, მაგრამ გამოკვლევები შემონახული იქნება. ისინი სულ მცირე, გზამკვლევად მაინც გამოდგება.

ვართოდ უნდა გამოვიყენოთ უცხოეთის ქვეყნების აპრობირებული და დამკვიდრებული გამოცდილება კოოპერატივების ორგანიზების საქმეში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის საქმიანობას პირადად გაცნობილი ვართ. მაგალითად, სლოვაკეთში ლუჩენეცის რაიონის მაღალმთიანი მიტოვებული, დაცლილი სოფელ ლატკის აღორძინება სოფლის მკვიდრმა ახალგაზრდა ენთუზიასტმა ბიზნესმენმა აქ მრავალდარგოვანი სასოფლო კოოპერატივის დაფუძნებით დაიწყო. იაფი კრედიტის გამოყენებით, პირველ რიგში, ადადგინა საცხოვრებელი სახლები, სკოლა და ბაგა-ბაღი, ეკლესია. კოოპერატივში გააწვერიანა მოსახლეობა, შექმნა სამუშაო ადგილები და დღეს ეს კოოპერატივი საუკეთესოდ ითვლება მთელ ქვეყანაში. დიდი გამოცდილება გააჩნია სასოფლო კოოპერატივების ორგანიზაციების საქმეში იტალიას, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ XV საუკუნიდან იღებს. თანამედროვე მაგალითისათვის საინტერესოა ფლორენციის ახლომდებარე მევნახეობისა და მელვინეობის კოოპერატივი-“პონტასეიო”.

ქ სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ქალაქური ყოფა-ცხოვრების პირობებით, კოოპერატივის წევრებს სოლიდური შემოსავლები გააჩნიათ ხელფასების, დივიდენდებისა და პენსიების სახით, სტუდენტებს უხდიან სტიპენდიებს, რომლებიც შემდეგ კოოპერატივს უბრუნდებიან, როგორც

კვალიფიციური სპეციალისტები. სკოლის მასწავლებლებს და კულტურის სახლის მუშაკებს, სოფლის საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმებს, სპორტის მესვეურით აძლევენ წამახალისებელ გასამრჯელოს, წევრებს კრედიტით უშენებენ საცხოვრებელ ბინებს და ა.შ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სოფლის კოოპერატივების ორგანიზების სახელმწიფოს მხრიდან დახმარებისა და მხარდაჭერის იაპონური გამოცდილება, რაც გეგმიანი გრძელვადიანი პერიოდისათვის შემუშავებული ქვეყნის აგრარული პოლიტიკით არის განსაზღვრული. იაპონია სასოფლო-სამეურნეო წარმოება-გადამუშავება-რეალიზაციის სახელმწიფო სუბსიდირების მასშტაბებით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ეს დახმარება ბიუჯეტისა და წარმოქმნის მექანიზმის ხარჯზე ხორციელდება. მაგალითად, იაპონიაში XX საუკუნის 90-იანი წლებისათვის საბიუჯეტო სუბსიდიები 1 ჰა სოფლის მეურნეობის სავარგულზე შეადგენდა 17 ათას აშშ დოლარზე მეტს, მაშინ როცა აშშ-ში - 221, ხოლო ევროკავშირში 985 დოლარი იყო. სახელმწიფო ხარჯები აგრარულ სექტორზე შეადგენდა მოსახლეობის ერთ სულზე 673 დოლარს წელიწადში, მაშინ როცა ევროკავშირში და აშშ-ში შესაბამისად იყო მხოლოდ 322-დან 362 დოლარი.

ყურადსაღები გამოცდილება გააჩნიათ სასოფლო კოოპერატივების ორგანიზების საქმეში აშშ-ს, კანადას, გერმანიას, ისრაელს და სხვებს. ბევრგან შექმნილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ეროვნული ასოციაციები (ლიგა). საკმრისია ითქვას, რომ აშშ-ში სოფლის გამსაღებელ კოოპერატივებზე მოდის რძის რეალიზაციის 78%, ხილბოსტნეულის-17%, მარცვლეულის-59%.

კოოპერატივების მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ დღეისათვის კოოპერატივები ფუნქციონირებს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში 800 მლნ წევრით, კოოპერატივებმა შექმნეს 100 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი.

სასოფლო-სამეურნეო მრავალდარგოვანი კოოპერატივების ორგანიზაციასთან დაკავშირებით მეტად აქტიურია მიწაზე საკუთრებისა და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი. განვითარებულ ქვეყნებში მიწაზე კერძო საკუთრების მასშტაბები განსხვავებულია. მაგალითად, კანადაში მთელი მიწების მხოლოდ 10%-ია კერძო საკუთრებაში, ისრაელში სახელმწიფო საკუთრებაშია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თითქმის 91%, შვედეთში სახელმწიფო საკუთრებაშია მთელი მიწების მხოლოდ 2,4%, გერმანიაში - 95%-ზე მეტი კერძო პირებს ეკუთვნით, ჰოლანდიაში სასოფლო-სამეურნეო სექტორში სახელმწიფო საკუთრება საერთოდ არ არსებობს და ა.შ. დასავლეთის ქვეყნებში დღესაც მიმდინარეობს დისკუსია მიწაზე კერძო საკუთრების სოციალური მიზანშეწონილობის შესახებ. დისკუსიაში მონაწილეთა ნაწილის აზრით, საშიშროებაა ის, რომ სესხის ასაღებად იპოთეკით მიწის რესურსების დატვირთვისას წვრილი მწარმოებლები (გლეხობა) ვალის გადაუხდელობის გამო, ხშირ შემთხვევაში, კარგავენ მიწებს, ბანკები ხდებიან მიწის მსხვილი მფლობელები და, რაც მთავარია, მიწის რესურსები აღარ მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო სამეწარმეო სასარგებლო ბრუნვაში. მიტომ, ბევრ ქვეყანაში, მაგალითად აშშ-ში აკრძალულია მიწით სპეკულაცია, საფრანგეთში შეძენილი მიწის ნაკვეთის ხელახალი რეალიზაცია აკრძალულია 15 წლის მანძილზე. კანადაში მეწარმე მოიჯარეებს აქვთ უპირატესობები მიწის შეძენისას, ასევეა შვედეთშიც, სადაც პირებს დამატებით უნდა გააჩნდეთ მიწის დამუშავება-გამოყენება-მოვლის გარკვეული პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება. საფრანგეთში მიწის შეძენა დაშვებულია მიზნობრივად: სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის ან ბინათმშენებლობისა და სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად. გერმანიაში მიწის უპირატესი შესყიდვის უფლება მინიჭებული აქვს ბოლო 10 წლის სტაჟის მოიჯარ-

## **საქართველოს თეორია და საქართველოს პოლიტიკა**

ეს, გამონაკლისს შეადგენს ახლობლებზე მიწის ჩუქება. ბევრ ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით, დიფერენცირებულია საიჯარო ქირის განაკვეთებიც გრძელვადიანი პერიოდისათვის. ერთი სიტყვით, ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიწის რესურსების მართვა, ამა თუ იმ ზომით, სახელმწიფო სამართლებრივ რეგულირებას უკავშირდება, მიზანი კი მიწის ეფექტიანი, რაციონალური და მიზნობრივი გამოყენებაა. საქართველოში, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას საკუთრებაში და იჯარით, მართალია, გადაეცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზებისათვის საჭირო სასტარტო კაპიტალისა და სათანადო ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო, შედეგები მწირია.

საქართველოში კოოპერაციის აღორძინებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კოოპერაციის გამოცდილმა, პროფესიონალმა, პატრიოტმა მუშაკებმა, რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა. მათ უდიდესი სურვილი გააჩნიათ, საუკეთესო წარსულისა და ტრადიციების მქონე სისტემა კვლავ ჩააყენონ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.

დაბოლოს, სოფლის მრავალდარგოვანი კოოპერატივების აღდგენა-დაფუძნების მნიშვნელობა და შედეგიანობა კარგად უნდა ავუხსნათ სოფლის მოსახლეობას. დავაინტერესოთ და დავარწმუნოთ ისინი კოოპერაციის სიკეთეში. სოფლის კოოპერატივის დაფუძნება (აღდგენა) ერთგვარ ზემოდაც უნდა იქცეს. ისე როგორც სხვა მრავალ ეროვნულ, საშვილიშვილო საქმეში, აქაც მნიშვნელოვან როლს საქართველოს ეკლესია შეასრულებს თითოეული კოოპერატივის დალოცვა-კურთხევით.

**Cooperation: Retrospective and Perspective**

**M. Chumburidze**

**P. Koghuashvili**

The article deals with issues of theory and practice of cooperation in historical context. Special attention is drawn to the role and importance of multi-field cooperatives. Necessity of close cooperation between different type cooperatives (consumer, agricultural, manufacturing, credit, insurance, flat construction etc.) is highlighted. According to authors, development of cooperative movement in Georgia needs: improvement of agricultural policy (land ownership, using of land, and arrangement of land); implementation of reforms; improvement of cooperative legislature; elaboration and implementation of complex events concerning support of cooperatives; introduction of system of cooperative studying on every level; renovation and extension of scientific-research works; restoration of cooperative contacts etc.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს ცსა, ფონდი 7, საქმე 115, 184;
2. ს. მოსიძე. კოოპერაცია საქართველოში. თბ, 2001, გვ.81;
3. იხ. ჟურნ. „კავშირი“, 1917, №5, გვ.14-15;
4. იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ივნისი, №103, 2012.

**საქართველოში გონივრული აბრარული  
პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების  
საკითხისათვის**

*ნინო რუხაია*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორანტი*

კვლევის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობასა და ზოგადად აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების შესწავლა. სტატიაში იდენტიფიცირებულია დარგში არსებული პრობლემები, დახასიათებულია აგროსექტორის ძლიერი და სუსტი მხარეები; აგრეთვე, შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია სექტორის განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები; რაც შეეხება პრობლემების რანჟირებას, რომელი მათგანის გადაჭრა უნდა მოხდეს უშუალოდ სახელმწიფოს ჩარევით და რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელი შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკით ბიზნესის სტიმულირების საშუალებით, აგრეთვე ევროპული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს აგრარული პოლიტიკის ფორმირება, მომდევნო კვლევის თემა იქნება.

უდავოა, რომ საქართველოში პრაქტიკულად ყველა პირობაა სოფლის მეურნეობის წარმატებული განვითარებისათვის, ისტორიულადაც ხომ საქართველო აგრარულ ქვეყნად ითვლებოდა. ქართული აგრარული სექტორის აქტივობა: სუფთა ეკოლოგიური გარემო; მცირე, მაგრამ მაღალნაყოფიერი მიწები; მრავალფეროვანი კლიმატური პირობები; თავისუფალი ბაზარი; ბიზნესის კეთების ხელსაყრელი გარემო; რეგიონში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო კოდექსი; იაფი ადგი-

ლობრივი მუშახელი; აზიაში კარგად ცნობილი და პოპულარული ქართული ცხვარი; უნიკალური ქართული წყლები; ღვინის წარმოებისათვის საჭირო საუკეთესო გარემო, უნიკალური ტრადიციები, მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომი ნედლეული; მაღალხარისხიანი თხილის წარმოებისათვის საჭირო პირობები და სხვა.

აგრეთვე ბევრი სხვა ისეთი მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოების პოტენციალი, რომელზეც საკმაოდ მაღალია მოთხოვნა სხვადასხვა საერთაშორისო ბაზარზე. მაგრამ, რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზის გამო, სექტორი, ფაქტობრივად მთვლემარე მდგომარეობაშია.

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებს გამო, სოფლის მეურნეობაში წარმოშობილ პრობლემებს ქართველი ეკონომისტები რამდენიმე ნაწილად ეყოფენ:

**1. კაპიტალის ნაკლებობა:**

• მცირე მიწიანობა- სოფლის მეურნეობის მიწის ფართობი (მათ შორის საძოვრები და მდელოები) მთლიანი ფართობის 44%-ს შეადგენს. მიწის რესურსების ნაწილი – 763.0 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული – დღეს კერძო საკუთრებაშია. აღნიშნული მანვენებელი რეგიონების მიხედვით განსხვავებულია: ყველაზე მაღალი მანვენებელი არის კახეთის (154.1 ათასი ჰა), ქვემო ქართლის (158.7 ათასი ჰა) და სამეგრელო-ზემოსვანეთის (106.8 ათასი ჰა) რეგიონებში. კახეთში პრივატიზებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25.6%, შიდა ქართლში – 27.7%, ქვემოქართლში – 15.6%, სამცხე-ჯავახეთში – 17.6%, აჭარაში – 21.0%, გურიაში – 51.8%, სამეგრელო-ზემოსვანეთში – 38.2%, იმერეთში – 51.7%, რაჭა-ლეჩხუმში – 31.2%. მიწის ნაკვეთების ზომა საშუალოდ 1.22 ჰა-ა. მათი უმეტესობა წარმოდგენილია 0.45 ჰა ფართობის მქონე 2-3 მიწის ნაკვეთად. გურიის მხარესა და აჭარაში ანკეტური გამოკითხვის მასალებით გაირკვა, რომ ნაკვეთების საშუალო ზომა 0.6-0.7 ჰაა, წარმოებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი



## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება და ბაზარს პროდუქციის მხოლოდ 30-35% მიეწოდება. ასეთ პირობებში, ცხადია, წარმოების მასშტაბის ეფექტი დაბალია, შეუძლებელია პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა, ნიადაგების დაცვის ღონისძიებების ჩატარება და სხვ. ყოველივე აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მიწების სამეურნეო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას და საერთოდ საბაზრო ურთიერთობათა განვითარებას ძალზე ზღუდავს ის ფაქტი, რომ არ არსებობს მიწის ბაზარი [6].

- გლეხებსა და საზოგადოდ მცირე მეწარმეებს არ აქვთ საკმარისი ფულადი სახსრები (საბრუნავი ან საწყისი კაპიტალი), რათა უზრუნველყონ მიწის ხარისხიანად დამუშავება, სასუქისა თუ დამცავი საშუალებების შექენა; უხვი მოსავლის მისაღებად და გასასაღებლად საჭირო სხვა აქტივობების განხორციელება.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდა მსხვილი უცხოელი ინვესტორებისთვისაც – ამ სექტორში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები არ აღემატებოდა მთლიანი ინვესტიციების 15%-ს.

- რთულია აგრეთვე მიზნობრივი სესხის აღებაც, ბანკები მაქსიმალურად არიდებენ თავს აგროსესხის დამტკიცებას (მაღალი რისკფაქტორის გამო), თანაც საკმაოდ მაღალია სესხის პროცენტი. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული ბიზნეს-გარემოს კვლევის მიხედვით, გამოკითხული 1000 საწარმოდან მხოლოდ 344-მა შეძლო დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა, მაშინ როდესაც შესწავლილ საწარმოთა 58% გაყიდვების ზრდის ძირითად შესაძლებლობად ფინანსური რესურსების მოზიდვას ასახელებს [6, გვ.23] – ამ კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ დანერგა შედავათიანი კრედიტების სისტემა, თუმცა, როგორც ყველაფერ ახალს, ამ იდეასაც ახლავს თან განხორციელების

სირთულეები, რაც მალე უნდა მოგვარდეს.

- მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრეთვე დაზღვევის არ ქონა. ქართულ სადაზღვევო სივრცეში პრაქტიკულად არ არსებობს აგროპროდუქტი.

**2. პროფესიონალი კადრების არ არსებობა:**

- სამწუხაროდ, დღესდღეობით აგროსექტორი მნიშვნელოვნად განიცდის პროფესიონალთა ნაკლებობას. დაიკარგა ან დაძველდა (ახალი ტექნოლოგიების, ახალი ტიპის თესლის და ნერგების, განსხვავებული სასათბურე მეურნეობების შექმნის გამო) ის აგრონომიული ცოდნა-გამოცდილება, რაც დაგროვილი იყო ისტორიულად ქვეყნის მოსახლეობაში. რეალურად კი, ბაზარი განიცდის პროფესიონალი აგრონომების, მეხილეებისა და მეღვინეების დეფიციტს - ფაქტობრივად, ყველა ძველი სასოფლო-სამეურნეო პროფესიასწავლებელი გაჩერდა ან დაიხურა. მართალია, დაწყებულია მოძრაობა სასოფლო-სამეურნეო საგნების საშუალო სკოლაში სწავლების მიმართულებით და არსებობს პროფესიული განათლების და გადამზადების სკოლები, სადაც ისწავლება სოფლის მეურნეობა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რომ არსებითი სარგებელი მოუტანოს სოფლის მეურნეობას.

- მნიშვნელოვანია ისიც, რომ აგრო-სექტორში (ნებისმიერ სფეროში) დასაქმებულთა ხელფასი საგრძნობლად დაბალია და 30-40% ჩამორჩება ეკონომიკის სხვა დარგებში დასაქმებულთა ხელფასებს, რომ არაფერი ვთქვათ, დასაქმების სეზონურობაზე. ამ პირობებში კი ფაქტობრივად შეუძლებელია კვალიფიციური კადრის მომზადება.

**3. წარმოების (ტექნიკური) პრობლემები:**

- მნიშვნელოვანი პრობლემაა სარწყავი სისტემების არარსებობა, რაც გამოუსადეგარად აქცევს ნაყოფიერი მიწების დიდ ფართობებს. კომუნისტების დროს არსებული სარწყავი ქსელი უკვე მრავალი წელია ამორტიზებული და გამოუსადეგარია, მისი რეაბილიტაცია კი კოლოსალურ თანხებს მოითხოვს, რაც არა თუ კონკრეტული გლეხის ან თემის-

ათვის, სახელმწიფოსთვისაც კი მძიმე პრობლემაა;

- საკმაოდ ძვირია მიწის დასამუშავებლად საჭირო ტექნიკის ქირობაც, ამასთანავე, ხშირია შემთხვევა, როცა გლეხი ვერ ახერხებს მიწის დამუშავებას ან მოსავლის დროულად აღებას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობის გამო;

- დღესდღეობით განსაკუთრებით მწვავედ დგას საძოვრების პრობლემაც, მით უფრო, რომ ქართული ცხვარი ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიაში. ფაქტობრივად მოხსნილია ყველაზე დიდი – გასაღების პრობლემა, მაგრამ არასაკმარისი ინფრასტრუქტურის და მატერიალური სახსრების სიმცირის გამო ვერ ხერხდება წარმოების გაზრდა, ბაზრის განვითარება და მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება;

- განუვითარებელი ინფრასტრუქტურაც წარმოების აღმავლობის შემაფერხებელი ფაქტორია. სოფლის გზების 55%-ს საფარი არ აქვს, ხოლო საფარიანი გზების დაახლოებით 50% ცუდ ან ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. აღნიშნულის გამო, ექსპერტული შეფასებით, ამ გზებით მოსარგებლე საწარმოებისა და მოსახლეობის დანახარჯები მნიშვნელოვნად იზრდება.

#### **4. მარკეტინგული პრობლემები:**

- ინდივიდუალური გლეხის მიერ მცირე მიწაზე, არათანამედროვე მეთოდებით წარმოებული პროდუქტი გაცილებით ძვირი და არაკონკურენტუნარიანია იმპორტულთან შედარებით;

- მცირე მეწარმეები და გლეხები ვერ ახერხებენ საკუთარი მოსავლის რეალიზებას, მათ არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, ასევე, საკმარისი ფულადი სახსრები;

- სოფლად უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს მოსავლის შესანახი სასაწყობე მეურნეობა, რის გამოც მეურნეთა უმეტესობა იძულებულია აწარმოოს შეზღუდული რაოდენობის პროდუქტი, რაც ხშირ შემთხვევაში, მათი პირადი მოთხოვნის

ოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც არაა საკმარისი.

**5. სოციალური პრობლემები:**

სოფლის პრობლემათა ჩამონათვალში ბოლო ადგილზე სოციალური პრობლემის დასახელება, სულაც არ ნიშნავს, რომ ის ყველაზე უმნიშვნელოა, პირიქით, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა, რაც მთლიანობაში ვლინდება მკვეთრი განსხვავებით სოფლად და ქალაქად ცხოვრების პირობებში;

- დღესდღეობით ქართული სოფლების უმეტესობას სტაბილურად არ მიეწოდება წყალი, არ არის გაზი, ხარვეზებია ელექტროენერჯის მიწოდებაში, ხშირ შემთხვევაში, უგზობის გამო გართულებულია პირველადი სამედიცინო მომსახურებაც კი;

- არათუ სოფლებში, მცირე დაბებსა და რაიონული ცენტრების უმეტესობაში არ არის ინტერნეტი, არ არსებობს კინო, თეატრი და კაფე-რესტორანი, კლუბი ან მსგავსი გასართობი დაწესებულება. ახალგაზრდებს პრაქტიკულად არ აქვთ თვითრეალიზაციის საშუალება, რაც უკარგავს მათ განვითარების ინტერესს, ისინი ეფლობიან ღოთობისა და ნარკომანიის ჭაობში, რაც მკვეთრად ამცირებს მათი სოციალიზაციის და წარმატებულ ფერმერად გახდომის შანსს.

ზემოაღნიშნულისა და სხვა პრობლემების დაძლევისა და სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად აუცილებელია სახელმწიფოებრივი ჩარევით განხორციელდეს ღონისძიებათა სისტემა, კერძოდ:

1. მცირე ფერმერების “გამსხვილება” ერთი ქოლგის ან სავაჭრო ნიშნის ქვეშ. ამას ხელს შეუწყობს კანონი “სა-სოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ” – ფერმერთა გაერთიანება უკვე საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციაა, მათ ექნებათ საშუალება შეისყიდონ სპეციალიზებული მანქანა-დანადგარები, სასუქი თუ შხამქიმიკატები, ერთობლივად დაფარონ საწარმოო ხარჯები. ეს ღონისძიებები შეამცირებს წარმოების დანახარჯებს და დაეხმარება ფერმერებს პროდუქციის

## **=====             **აკონომიკური თეორია და აკონომიკური პოლიტიკა****

ხარისხის ამაღლებაში. რაც მთავარია, მსხვილი კოოპერატივისათვის გაცილებით ადვილია ინვესტიციების მოზიდვა, ვიდრე ერთი ინდივიდუალური ფერმერისათვის მკვეთრად ფრაგმენტირებული მიწის ნაკვეთით;

2. სასურსათო პროდუქტების სარეალიზაციო ქსელების დაინტერესება ეროვნული პროდუქციის შექენით (პროტექციონიზმი);

3. გადამამუშავებელი საწარმოების ან სპეციალიზებული სამაცივრე მეურნეობების შექმნა – გლეხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი შრომა წყალში არ ჩაიყრება და მოწეული მალფუჭებადი პროდუქციის გადაყრა არ მოუწევს;

4. ბიომეურნეობების განვითარება (ბიოგაზი, ბიოსასუქი და ა.შ) ხელს შეუწყობს ფერმერს, თავად გამოიმუშაოს იაფი ენერჯია, რაც შეუმცირებს წარმოების დანახარჯებს და დაეხმარება აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია;

5. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა: მწარმოებლურობის ამაღლებასთან ერთად, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა ხელოვნური მეთოდებით მიღებული სასურსათო პროდუქტების წარმოება, თუმცა, აგროსასურსათო პროდუქტების მიწოდებაში გარკვეული დისბალანსი შეიქმნა. აღნიშნულის გამო, მდგრადი განვითარება უმთავრეს მიზნადაა აღიარებული. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება მხოლოდ შიგა რესურსული პოტენციალის გამოყენებით მიიღწევა, რაც, თავის მხრივ, საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებასაც უზრუნველყოფს [3, გვ 6];

6. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ავტომატურად გამოიწვევს ინფრასტრუქტურის განვითარებას, ამაღლებს სოფლად ცხოვრების დონე, მოხდება მაცხოვრებელთა სოციალიზაცია და მოტივირება, აგრეთვე; დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც დააკავებს მათ სოფელში და გაუჩენს მუდმივ შემოსავალს;

7. ინტერნეტისა და კომუნიკაციების სხვა საშუალებების განვითარება ხელს შეუწყობს ფერმერებს მოახდინონ სა-

კუთარი პროდუქციის რეკლამირება იაფი და ხელმისაწვდომი ონლაინ-მარკეტინგის საშუალებით;

8. სოციალური(მედია) მარკეტინგი ესაა ინტერნეტ-მარკეტინგის სახეობა, რომელიც ხელს უწყობს ბრენდის პოპულარიზებას და მარკეტინგული კომუნიკაციის სხვა მიზნებს, სოციალური ქსელების საშუალებით;

9. უკანასკნელი წლების განმავლობაში სოციალური მედია გახდა აზრთა გაცვლა-გამოცვლის ყველაზე აქტუალური საშუალება. ის არის ცხოვრების ახალი სტილი, დღევანდელი ვირტუალური რეალობა, ანუ ინტერნეტ-ცხოვრება. უახლესი სტატისტიკის მიხედვით, Facebook-ზე დარეგისტრირებულია 845 მლნ მომხმარებელი, YouTube-ზე განთავსებულ ვიდეოებს თვეში 90 მლნ-ზე მეტჯერ ათვალიერებენ, Twitter-ის მომხმარებლები დღეში 1.6 მლნ პოსტს, ანუ “ტვიტს” წერენ და Wikipedia 17 მლნ სტატიას აერთიანებს;

10. სპეციალიზებული სასწავლებლების შექმნით ან სხვა მეთოდებით (მაგ: აგრონომიული სპეციალობების სტუდენტების ბინის ქირით უზრუნველყოფა და სწავლის გადასახადისგან განთავისუფლება) აგრო-სპეციალობების სტიმულირება.

თუმცა, ყველა ამ ღონისძიების განხორციელება, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის აღორძინება, მოითხოვს საკმაოდ დიდ ინვესტირებას სახელმწიფოს მხრიდან, რაც კორუფციის ერთგვარი საფრთხეა.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, უცხოელი ინვესტორების შემოსვლის პირობები, არ უნდა მოხდეს ქართული მიწებისა და ბუნებრივი რესურსების უცხოელებზე გადაცემა. ამის მაგალითია, თუნდაც ფერერო, რომელსაც დღემდე აქვს დავები ადგილობრივ მოსახლეობასთან მიწების გამო.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია პარიტეტის დაცვა, რათა სუბსიდირებით არ მივიღოთ ჩაკეტილი, მონოპოლისტური და არაეფექტიანი ბაზარი.

**დასასრულ, საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დარგის**

აღორძინების ყველაზე რეალური გზაა ვაწარმოთ მაღალხარისხიანი პროდუქტი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მაღალი კლასის სეგმენტზე და თავის მცირე ნიშას იპოვის ევროპის ელიტურ ბაზრებზე.


აქვე იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ბევრ ნაშრომში საქართველოს რელიეფი განხილულია როგორც უარყოფითი მოტივი და აგრარული სექტორის შემაფერხებელი ფაქტორი, რასაც ვერ დავეთანხმებით, მიმაჩნია, რომ ის ბიო-მრავალფეროვნება, რომელიც აქვს საქართველოს და კონკრეტული რეგიონების კლიმატი ქმნის სწორედაც რომ კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც კონკრეტული პროდუქციის წარმოებაში.

ცხადია, საქართველოში ვერასოდეს მოხერხდება იმდენად იაფი და ბევრი ხილ-ბოსტნეულის თუ სხვა პროდუქციის წარმოება, რომ მთლიანად გააფხეროს ქართული ბაზარი და კონკურენცია გაუწიოს გენმოდირეცირებულ და დაბალხარისხიან, იაფფასიან იმპორტულ პროდუქციას. მით უფრო, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები მკვეთრად ზღუდავს სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში პროტექციონისტული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას.


ამ მოსაზრებას ადასტურებს ქვემოთ მოცემული ექსპორტის დიაგრამა, სადაც თვალნათლივ ჩანს, რომ მეტ-ნაკლებად მაღალი წილით და მზარდი გაყიდვებით ხასიათდება სწორედ ის პროდუქტები, რომელთა წარმოება-რეალიზებაში ჩართულია უცხოელი ინვესტორები (იხ. დიაგრამა 1,2).

თხილის ექსპორტის მკვეთრი ზრდა დაკავშირებულია “ფერერო როშე“-ს საქართველოში შემოსვლასთან, რუსეთის ბაზრის დახურვის შემდეგ, ქართული ღვინის ექსპორტის ზრდა უკავშირდება შუხმანისა და სხვა ევროპული ღვინის მწარმოებლების ინვესტიციებს საქართველოში და ა.შ.

დიაგრამა 1. აგრარული პროდუქტის ექსპორტის დინამიკა [2]



დიაგრამა 2.



ამ მოსაზრებას ამყარებს ისეთი წარმატებული საინვესტიციო პროექტებიც, როგორცაა:

**1. ღვინის მწარმოებელი კომპანია “ხოხბის ცრემლები”:**

“ცოტა ღვინო და შესაბამისად, ცოტა პრობლემა მაქვს”, - ამბობს კომპანიის დამფუძნებელი ჯონ ვურდემანი - “მთავარი, სწორი მიდგომაა. მე ბაზარს მისთვის ეგზოტიკური, უცხო და საინტერესო პროდუქცია შევთავაზე: ღვინოს ყურძნის ადგილობრივი და უნიკალური ჯიშებიდან და ტრადიციული



კახური მეთოდით ვაყენებთ. ვენახი ორგანულია, რასაც უცხოელი მომხმარებლისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. “ნოხბის ცრემლების” ღვინო არ არის “ღვინო ყველასთვის”. ეს არის ღვინო გურმანებისთვის, მათთვის, ვინც იცის ღვინის ფასი, მისი დაყენების და მოხმარების წესები და უნდა, რომ თავისი ცოდნა და თვალსაწიერი ამ სფეროში კიდევ უფრო გაამდიდროს. ვფიქრობ, რომ ქართველმა მეღვინეებმა უცხო ბაზარს ორიგინალური პროდუქტი უნდა შესთავაზონ. მასობრივი და იაფი ღვინის წარმოებაში საქართველო ჩილეს და ავსტრალიას კონკურენციას ვერ გაუწევს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის სწორ წარდგენასაც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღვინო ღვინის ჟურნალისტებმა, კრიტიკოსებმა და ბლოგერებმა შეაფასონ”[13].

ეს კომპანია ეძებს და აღადგენს ძირძველი ქართული ჯიშის ვახს, რომელიც კონკრეტულ სუბკლიმატებში ხარობს და იძლევა ნაყოფს, ამუშავებს მას უძველესი ქართული, ტრადიციული მეთოდებით, აძველებს ქვევრში და ყიდის შესაბამის ფასად...

**2. კიდევ ერთი წარმატებული პროექტია ფერერო რომე:**

ყოველ წელს “ფერერო” 75 ქვეყანაში 180 000 ტონა “ნუტელას” ყიდის. “ნუტელაზე” მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, “ფერეროს” ყოველწლიურად 25 000 ტონაზე მეტი თხილი სჭირდება. აქედან საშუალოდ 18 500 ტონას ის საქართველოში მოიპოვებს და პირველადად გადაამუშავებს.

ამ კომპანიამ თხილის ბიზნესში 2007 წელს 6 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადო და დღეს მთელს მსოფლიოში მათ ყველა პროდუქტში უმეტესად ქართული თხილი და ნუში გამოიყენება. მათი “დამსახურებაა” ისიც, რომ 2010 წელს საქართველომ თხილის მწარმოებელთა და ექსპორტიორთა ათეულში მეექვსე ადგილი დაიკავა და თურქეთსაც კი გადაასწრო. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში 1 კგ. თხილის გამოსავლიანობა საშუალოდ 500 გრამამდეა, ხოლო საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 400გრ. არ აღემატება.

ამის მიზეზი სავარაუდოდ თხილის მოვლისას დაშვებულ შეცდომებია და ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ფერერომ დაიწყო კონფერენციებისა და თხილის ტექნოლოგიების გადამზადების პროგრამები.

და კიდევ ერთი, ფერერომ დაიწყო ქართული თხილისა და ნუშის ნერგების ექსპორტი.

**3. საკმაოდ საინტერესო მაგალითია “იუნიგრენიც”.**

ეს არის თანამედროვე, დასავლეთ-ევროპული ტიპის ორგანიზაცია, რომელიც ინტეგრირებულია მარცვლეულითა და ზეთოვანი კულტურებით ვაჭრობის მსოფლიო სისტემაში და რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს და მთლიანად კავკასიის რეგიონის ქვეყნების სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებასა და განმტკიცებაში.

დღეს უკვე კომპანია “იუნიგრენი ჯორჯიან გრუპ“-ი წარმოადგენს იუნიგრენის კომპანიების ჯგუფის ნაწილს, რომელიც შედგება უკრაინაში, ბრიტანეთსა და საქართველოში დაფუძნებული კომპანიებისაგან და რომელთა საქმიანობის ძირითადი სფეროა სოფლის მეურნეობის პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობა.

2009 წელს კომპანიამ განახორციელა დაახლოებით 3 მლნ დოლარის ინვესტიცია და კავკასიის კარიბჭეში, ქალაქ ფოთში, დაასრულა თანამედროვე მარცვლეულის ტერმინალის მშენებლობა, რომლის ტევადობაც 12000 ტონას შეადგენს.

ჩვენ იაფფასიანი და გენმოდირებული სიმინდითა და პამიდვრით კი არ უნდა დავაბინძუროთ ჩვენი ეკოლოგიურად სუფთა გარემო (მათ წარმოებაში ჩვენ ვერ შევევხიბრებით დიდ ქვეყნებს, თუნდაც მიწის რესურსის სიმცირის გამო), რომელიც უკიდურესი სიღარიბისა და ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო გადაურჩა დაბინძურებას, არამედ მასზე მცირე რაოდენობით, მაგრამ მაღალხარისხიანი პროდუქცია უნდა ვაწარმოოთ.

შესასწავლია ისეთი პროდუქტების კონკურენტუნარიანობა, როგორიცაა თუშური მატყელი – უნიკალური სტრუქტურის

მატყელი მსოფლიოში, არადა, ამაზე არავინ მსჯელობს.

საკმაოდ მაღალი კვებითი ღირებულება აქვს ქართულ ცხვარს, მაგრამ საძოვრების სიმცირის და სიძვირის გამო, მისი ფასიც მკვეთრად იზრდება და კონკურენტუნარიანობას კარგავს ეს პროდუქტი...

ეთერზეთების ძალიან მაღალი შემცველობით გამოირჩევა საქართველოში მოყვანილი მწვანილიც. საბჭოთა კავშირის დროსაც გვქონდა ეთერზეთების ქარხანა, სადაც მთელს საბჭოთა კავშირში უნიკალური ეთერზეთები მზადდებოდა.

გამოსაკვლევია ქართული ჩაისა და ციტრუსის შესაძლო ბაზრების მოცულობა და შესარჩევია კონკურენტუნარიანი ნიშა მათი რეალიზებისათვის.

სხვადასხვა მეცნიერის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული ჩაი არაკონკურენტუნარიანია სხვა ანალოგებთან შედარებით, ევროპული წესით დაყენებული ქართული ღვინოც რომ ვერ სარგებლობს დიდი პოპულარობით, გაყიდვების სტატისტიკაც გვაჩვენებს – მსოფლიოს 40 ქვეყანაში ერთად ვერ ვყიდით იმდენ ღვინოს, რამდენსაც მარტო რუსეთში ვყიდით 2005 წელს.

ჩვენი აზრით, დარგის შესაბამისმა ექსპერტებმა უნდა გამოავლინონ რეგიონების მიხედვით კონკურენტუნარიანი და რენტაბელური პროდუქცია, რომლის წარმოებასაც უმაღლესი სტანდარტების დანერგვით ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ.

**A reasonable agricultural policy formation and implementation issues in Georgia**

The main objective of the article is to represent you a General Overview of the agriculture sector. An important part of the problems in the field are determined in this theme. There are also shown advantages and disadvantages of the agriculture sector. Also, I fully tried to present to you, my own vision on the treaties and the possibilities of development of the sector.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. გვედესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, 2 ნაწილი თბილისი, 2012;
2. <http://faostat.fao.org>
3. <http://www.bfm.ge/village/6763-miwa.html>
4. რ. შავგულიძე, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება, USAID-ის კვლევის მასალა, თბილისი, 2010;
5. <http://www.bfm.ge/village/6206-agrokredit.html>
6. ეთერ ხარაიშვილი. ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი, 2013;
7. საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება, ე. ხარაიშვილი, ფ. მამარდაშვილი, ჟურნალი „ეკონომიკა“, №5-6, 2009;
8. ეთერ ხარაიშვილი, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011;
9. კოლუაშვილი პ. აგრარული რეფორმის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციის საკითხისათვის, სსაუ-ის შრომათა კრებული, ტ. IV, 1996წ.,
10. მსოფლიო ბანკი, მიწის რეფორმის საკითხები, თბილისი, 1995წ.;
11. მარინა ნაცვალაძე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009;
12. <http://vinoge.com/istoria/qarTuli-Rvino-erTi-qolga-da-bevri-problema>

**საწარმოო ჯაჭვში ჩაბმა და მისი  
ბავლენა ქვეყნის სოციალურ  
მდგომარეობაზე**

**ბიორბი ბაქრაძე**

**ივანე ჯავახიშვილის თსუ-ის დოქტორანტი**

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა მძიმე სოციალური მდგომარეობით ხასიათდება, რაც განპირობებულია მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონითა და არამდგრადი ეკონომიკით. ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გამოსწორება უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ქვეყნის მოქალაქე მიმართული უნდა იყოს თვითგანვითარებაზე და არა სოციალური პრობლემების მოგვარებაზე.

ქვეყნის სოციალური სირთულეების დაძლევის მნიშვნელოვანი ფაქტორია მსოფლიო ვაჭრობაში აქტიური ჩაბმა. მსოფლიო ვაჭრობაში ჩართვის ერთ-ერთი გზაა საწარმოო ჯაჭვში ჩაბმა და შუალედური პროდუქციის წარმოება, რომელიც მიწოდების არხების საშუალებით გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში. იმისათვის, რომ ქვეყანა ჩაერთოს საწარმოო ჯაჭვში და აწარმოოს შუალედური პროდუქცია, აუცილებელია იგი აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს, მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, ჰყავდეს მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა და ჰქონეს თანამედროვე ინფრასტრუქტურა.

გლობალიზაციამ განვითარებად ქვეყნებს საშუალება მისცა ჩართულიყვნენ მსოფლიო ეკონომიკაში. მსოფლიო მიწოდების არხების განვითარებამ განაპირობა ქვეყნების ეკონომიკების ჩართულობა საერთაშორისო ვაჭრობაში.

## **ბიორგი ბაქრაძე**

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებული უახლესი კვლევების თანახმად, მიწოდების არსებში არსებული ბარიერების შემცირება 6-ჯერ და უფრო მეტად გაზრდიდა მსოფლიო GDP-ის, ვიდრე ტარიფების შემცირების შედეგად გაიზარდა [3, გვ.4].

1970 წლიდან მსოფლიო ვაჭრობის ზრდამ გამოიწვია მსოფლიო შიგა პროდუქტის ზრდა, ხოლო მსოფლიო ვაჭრობის ზრდას ხელი შეუწყო საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურმა მუშაობამ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით. [14].

იმისათვის, რომ ქვეყანამ აწარმოოს შეაღებური პროდუქცია და ჩაერთოს მსოფლიო მიწოდების არსებში, აუცილებელია ჰქონდეს თავისუფალი ბიზნესგარემო და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა.

თავისუფალი ბიზნესგარემო ხელს უწყობს, როგორც არსებული ბიზნესის განვითარებას, ასევე ახალი ბიზნესის წამოწყებას. ქვეყანა, რომელსაც აქვს სტაბილური ბიზნესგარემო, სადაც დაცულია ბიზნესის ინტერესები, მიმზიდველი ხდება უცხოელი ინვესტორებისათვის. შედეგად ქვეყანაში იზრდება ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობა.

განვითარებადი ქვეყნების მიერ შექმნილმა სტაბილურმა ბიზნესგარემომ უბიძგა განვითარებულ ქვეყნებს საწარმოების გარკვეული ნაწილი იქ რათა ნაკლები დანახარჯებით ეწარმოებინათ პროდუქცია, და ამითაც უზრუნველყოთ თავისი უპირატესობა. შედეგად განვითარებულმა ქვეყნებმა შექმნეს საწარმოო ჯაჭვი, რომლის რგოლებიც შეიძლება განთავსებული იყოს სხვადასხვა ქვეყანაში, რაც განპირობებულია ამ ქვეყანების შეფარდებითი უპირატესობით. წარმოე-

ბის ჯაჭვები ერთმანეთს უკავშირდება მსოფლიო მიწოდების არხებით. მსოფლიო მიწოდების არხებმა გარკვეულწილად რეალობაში ასახა რიკარდოსა და კლასიკოსების თეორიები შეფარდებით უპირტასობასთან მიმართებით.

რიკარდოს “შეფარდებითი უპირატესობის” თეორიით, თავისუფალი ვაჭრობა ქმნის სპეციალიზაციის მაღალ დონეს და აფართოებს შრომის დანაწილებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ერთეული პროდუქციის თვითღირებულებას.

დიდათ უფრო რთულია ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება, ვინაიდან განვითარებად ქვეყნებს არ ჰყავთ შესაბამისი სპეციალისტები, რომლებიც შეიმუშავენ ისეთ სავაჭრო პოლიტიკას, რომელიც მისაღები იქნება, როგორც ეროვნული მეწარმეებისათვის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, რაც არცთუ ისე მარტივი საქმეა. განვითარებად ქვეყნებში წარმოება დაბალ დონეზეა, ხოლო წარმოებული პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია, რაც ართულებს ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკაზე გადასვლას. თუ განვითარებადი ქვეყანა პირდაპირ გადავა ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკაზე და შეამცირებს რეგულაციებსა და ბარიერებს, ამით დაუცველს დატოვებს ეროვნულ მეწარმეებს. 2003 წლიდან საქართველოში დაიწყო ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობდა რეგულაციების გაუქმებას, რამაც ქართველი მეწარმეები უცხოელი მეწარმეების პირისპირ დატოვა და გამოიწვია ეროვნული წარმოების შემცირება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა არ ნიშნავს რეგულაციების გაუქმებას, არამედ გულისხმობს მოქნილი რეგულაციების დანერგვას.

განვითარებადი ქვეყნები მიმზიდველია სამუშაო ძალის დაბალი ანაზღაურებით, რაც, თავის მხრივ, მიმზიდველია იმ მწარმოებლებისათვის, რომლებიც შრომაინტენსიურ

პროდუქციას აწარმოებენ. ტრანსნაციონალურ კომპანიებს წარმოების ის ჯაჭვი, რომელიც შრომინტენსიურია, დაბალანაზღაურებადი სამუშაო ძალის მქონე ქვეყნებში გადააქვთ. რის შედეგადაც, იყენებენ დაბალანაზღაურებად სამუშაო ძალას, ამცირებენ უმუშევრობას, იხდიან გადასახადებს თუმცა ეს საკმარისი როდია ქვეყნის განვითარებისათვის, ვინაიდან ტრანსნაციონალური კომპანია არ ცდილობს შრომინტენსიური საწარმოო ჯაჭვის შრომინტენსიურობის შემცირებას, არ ხდება სამუშაო პერსონალის გადამზადება, რაც უზრუნველყოფდა სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას და ქვეყანაში არ იქმნება მეცნიერებატექვადი პროდუქცია, რაც შემდგომში მნიშვნელოვან სტიმულს მისცემდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. რაც შეეხება შრომინტენსიურ დარგებს, მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება მცირეა, რაც ვერ უზრუნველყოფს რეალურ სოციალურ გაუმჯობესებას.

განვითარებადი ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ არამხოლოდ დაბალანაზღაურებადი სამუშაო ძალით, არამედ სპეციალიზაციითაც, როგორც პროდუქციის წარმოებაში, ასევე კონკრეტულ ბაზარზე ორიენტაციით. ყოველივე ამან გამოიწვია ადამიან-კაპიტალის როლის გაზრდა, ვინაიდან მაღალკვალიფიციური მუშაძალა წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და ეკონომიკური განვითარები მნიშვნელოვანი ფაქტორია. სამწუხაროდ, განვითარებად ქვეყნებს არ აქვთ შესაბამისი ფინანსური რესურსები იმისათვის, რომ გაზარდონ მუშაძალის კვალიფიკაცია.

მაგალითისთვის, განვიხილოთ ჩინეთი, სადაც არის, როგორც დაბალი, ასევე მაღალი კვალიფიკაციის მუშაძალა. თავდაპირველად ჩინეთში იყო დაბალი კვალიფიკაციის მუშაძალა, რამაც მიიზიდა უცხოელი ინვესტორები, რასაც



თან დაერთო სახელმწიფო პოლიტიკა (შეიქმნა ეკონომიკური ზონები, სადაც გაგრძელდა საგადასახადო შეღავათები). ჩინეთი დღემდე რჩება კომუნისტურ სახელმწიფოდ, სადაც წამყვანი როლი სახელმწიფოს უჭირავს. ჩინეთის სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს უამრავ ფულს განათლებაში, რაც მაღალი კვალიფიკაციის მუშაძალის ფორმირების საწინდარია. გარდა განათლებისა, ჩინეთის მთავრობა აფინანსებს კვლევებსა და ინოვაციებს, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის, ვინაიდან ინოვაციური პროდუქციის შექმნა მეტყველებს ქვეყნის განვითარების დონეზე. ის ქვეყნები კი რომლებიც ვერ ქმნიან ინოვაციურ პროდუქციას, დამოკიდებული არიან იმ ქვეყნებზე, რომლებსაც წამყვანი ადგილი უკავიათ ინოვაციური პროდუქციის შექმნაში. სწორედ ამ გზას ადგას ჩინეთი, რომელიც ცდილობს თავად შექმნას ინოვაციური პროდუქტი და ნაკლებად იყოს დამოკიდებული განვითარებულ ქვეყნებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე.

თანამედროვე მსოფლიოში წარმოების პროცესი დანაწილებულია. სხვადასხვა ქვეყანა აწარმოებს შეაღედურ პროდუქციას. დღეისათვის ქვეყნებს, რომლებიც ორიენტირებულია საექსპორტო ინდუსტრიაზე, მიიჩნევენ ახალი გლობალიზაციის საზოგადოებად. წარმოების სხვადასხვა ეტაპზე ხდება დამატებული ღირებულების შექმნა და სწორედ მისი სიდიდით განისაზღვრება ქვეყნის განვითარების დონე და შესაძლებლობები. თითოეული ქვეყანა აწარმოებს ან ქმნის დამატებულ ღირებულებას იმ დარგში, სადაც მას გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა, მაგრამ არის გამონაკლისებიც. ამასთან, რაც უფრო დიდია ქვეყნის ექსპორტში ამავე ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი, მით უფრო მაღალია ამ ქვეყანაში მშპ-ის ზრდის ტემპი.

მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) როლის საკითხი. ქვეყანა, რომელიც აწარმოებს შუალედურ პროდუქციას, შედარებით უფრო მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის ვიდრე ქვეყანა, რომელიც ნაკლებად, ანდა თითქმის არაა ჩართული შუალედური პროდუქციის წარმოებაში. ინვესტორების დაინტერესებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფრასტრუქტურა. შედეგად, ქვეყნების ჩართულობა საწარმოო ჯაჭვში და მოქნილი მიწოდების არხების არსებობა შეიძლება იყოს ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უბიძგებს უცხოელებს ინვესტირებისაკენ.

თავად ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში და ქმნის ე.წ. სპირალის ეფექტს. სპირალის ეფექტი არსია ის, რომ კომპანიები, რომლებიც შექმნილია უცხოური ინვესტიციებისგან და ამზადებენ ცოდნაინტენსიურ პროდუქციას, განწყვეტილივ ავითარებენ ტექნოლოგიებს და ამზადებენ კადრებს საზღვარგარეთ ან ქმნიან კადრების მომზადების ბაზას თავად ამ ქვეყანაში. ამის საფუძველზე შექმნილი პროდუქცია არის ცოდნაინტენსიური, ხოლო მუშაძალა – მაღალკვალიფიციური, რაც მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეზე.

რაც უფრო მაღალია ქვეყანაში პუი-ის რაოდენობა, მით უფრო აქტიურად მონაწილეობს ეს ქვეყანა მიწოდების არხებში, იქმნება უფრო მეტი დამატებული ღირებულება საერთაშორისო ვაჭრობისათვის. რაც უფრო მაღალია ქვეყნის ჩართულობა მიწოდების არხებში, მით უფრო დიდი წვლილი შეაქვს მიწოდების არხებს ქვეყნის მშპ-ის ზრდაში. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩაატარეს კვლევა 1990-2010 წლების პერიოდზე, რომლის მიზანიც იყო გამოეყვლინათ მსოფლიო მიწოდების არხებში მონაწილეობის დონის გავლენა მშპ-ის ზრდაში. მსოფლიო მიწოდების არხებში ქვეყნების ჩართუ-

ლობა პირობითად დაყვეს ოთხად (მაღალი ჩართულობის დონიდან დაბალი ჩართულის დონის ჩათვლით). შედეგად ქვეყნები, რომელთა ჩართულობის დონე იყო მაღალი, დაფიქსირდა მშპ-ის ზრდა 3,3% მოსახლეობის ერთ სულზე [10, გვ. 20].

მნიშვნელოვანია გამოვეყნოთ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც იყენებენ ერთმანეთის მიერ შექმნილ დამატებულ ღირებულებას. მაგალითად, ევროკავშირის ექსპორტში 39% უკავია საზღვარგარეთ შექმნილ დამატებულ ღირებულებას, რაც გამოწვეულია კონკურენტული უპირატესობის მოპოვების სურვილით. ევროპული კომპანიები შუალედურ პროდუქციას ამზადებენ აზიის ქვეყნებში და შემდგომ მას დასრულებულ სახეს აძლევენ ევროპაში. უცხოური დამატებული ღირებულების წილი ექსპორტში მაღალია ასევე აზიურ ქვეყნებში, რაც გამოწვეულია წარმოების ჯაჭვის აზიურ ქვეყნებში განთავსებით.

განსხვავება აზიურ და ევროპულ ექსპორტში არსებულ უცხოურ დამატებულ ღირებულებას შორის არის ის, რომ ევროკავშირი იყენებს საზღვარგარეთ შექმნილ შუალედურ პროდუქციას, აძლევს მას დასრულებულ სახეს და შემდგომ ახდენს მის ექსპორტირებას, ხოლო აზიელები ქმნიან შუალედურ პროდუქციას, რომელიც განკუთვნილია სხვა ქვეყნისათვის, რომელიც მას გამოიყენებს ექსპორტისათვის. ძირეული განსხვავებაა ის, რომ განვითარებული ქვეყნები იყენებენ განვითარებადი ქვეყნების დაბალანაზღაურებად მუშაძალასა და იაფ ბუნებრივ რესურსებს, რომელთაც მცირე წილი უკავია დამატებული პროდუქციის ღირებულებაში, ხოლო საკუთრივ განვითარებული ქვეყნების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება უფრო დიდი იმის გამო, რომ ისინი ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს.

შუალედური პროდუქციის წარმოებაში ჩართული კომ-

პანიები და ქვეყნები მუდმივად ზრუნავენ საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიერ წარმოებული პროდუქცია იქნება დაწუნებული. შეიძლება ითქვას, რომ შუალედური პროდუქციის წარმოება, კომპანიებს უბიძგებს უზრუნველყონ მაღალი სტანდარტის მქონე შუალედური პროდუქციის შექმნა, ხოლო სახელმწიფოებს კი – საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისაკენ, რომელთა შორისაა სამუშაო საათებთან დაკავშირებული სტანდარტებისა და გარემოს დამცველი სტანდარტების შემოღება. განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული სტანდარტების დანერგვა გარკვეულწილად უზრუნველყოფს ქვეყანაში სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

სამეწარმეო ჯაჭვში ჩართვას, პოზიტიურთან ერთად ახლავს ნეგატიური მხარეც. ქვეყნები, რომლებიც ერთგვებიან შუალედური პროდუქციის წარმოებასა და მიწოდების არხებში, შეიძლება მოექცნენ გარეგანი შოკების გავლენის ქვეშ. მაგალითად, აშშ-ში ავტონდუსტრიის წარმოების შეფერხებამ გავლენა იქონია რეზინის წარმოებაზე [6, გვ 249]. 2008-09 წლების კრიზისმა ნათლად აჩვენა, რომ ქვეყნები, რომლებიც ღრმად არიან ჩართული მსოფლიო მიწოდების არხებში, ადვილად ექცევიან გარეგანი შოკების ქვეშ. გარდა მოთხოვნის შემცირებისა, შესაძლებელია მიწოდების შემცირებაც. მაგალითად, ბუნებრივმა კატასტროფებმა, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და გაცვლითი კურსის მერყეობამ შეიძლება გამოიწვიოს მიწოდების შეფერხება. 2011 წელს ტაილანდში მომხდარმა წყალდიდობამ შეაფერხა მყარი დისკების წარმოება მსოფლიო მასშტაბით, ვინაიდან მყარი დისკების მსოფლიო წარმოების 70% მოდის ტაილანდზე [13].

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის რთულია მსოფლიო და რეგიონულ მიწოდების არხებში ჩართვა, რაც გან-

პირობებუღია ფინანსური რესურსების სიმწირითა და მსოფლიო ბაზრებზე შესვლის სირთულით, რასაც თან ერთვის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს შორის სხვაობა. იმისათვის, რომ კომპანია ჩაერთოს მსოფლიო მიწოდების არხებში, საჭიროა უცხოურ ბაზრებზე წვდომა, პერსონალის გადამზადება, ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების შექმნა, საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

მცირე და საშუალო ბიზნესი სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან მუშაძალის ნახევარზე მეტი დასაქმებულია სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესში. მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობა მიწოდების არხებში მთავრობის ერთ-ერთი მიზანსია, ვინაიდან ამ ბიზნესის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირებას. ამიტომაც მუშავდება სამთავრობო პროექტები, რომელთა მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, როგორცაა პროფესიული გადამზადების კურსების ორგანიზება, კვლევების დაფინანსება, უცხოური ბაზრების კვლევა და ა.შ.

შუალედური პროდუქციის წარმოება და გლობალური მიწოდების არხებში ჩართვა მოქმედებს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე – ქვეყნის მწარმოებლურობასა და მსოფლიო მიწოდების არხებში ჩართულობაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკური განვითარება ყოველთვის არ ნიშნავს სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას. ეკონომიკური განვითარება შეიძლება დაკავშირებული იყოს დასაქმების შემცირებასთან, ვინაიდან ქვეყანაში შემოდის ახალი ტექნოლოგიები, რომელსაც შეუძლია ჩანაცვლოს მუშაძალა.

## **გიორგი ბაქრაძე**

---


ზოგადად თუ განვასხვავებთ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, პირველში იგულისხმება ინოვაციების სტიმულირება და ფირმებს შორის კონკურენციის გაღრმავება, რაც იწვევს ვაჭრობის ზრდას, ხოლო სოციალურ განვითარებაში კი – უმუშევრობის შემცირება, სამუშაო სტანდარტებისა და ხელფასის ზრდა.

ეკონომიკურმა განვითარებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სოციალურ განვითარებაზე, მაგრამ ეს ავტომატურად არ ხდება. ყოველივე ზემოსხენებული დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკაზე – შეუსაბამოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება ერთმანეთს.

დღეისათვის საქართველოში მიძიმე სოციალური მდგომარეობაა. უმუშევრობის დონემ 2012 წლისათვის შეადგინა 15%, ხოლო დასაქმებულთა დაახლოებით 50% სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის, რომელიც ქმნის მშპ-ის მხოლოდ 8%-ს, რაც უადრესად დაბალი მაჩვენებელია. საქართველოში მუშაძალა დაბალკვალიფიციურია, რის გამოც რთულია მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოება. რაც შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობაშს დასაქმებულია ძირითადად დაბალი კვალიფიკაციის მუშაძალა.

მიწოდების არხების სოციალური და ეკონომიკური ეფექტების შესასწავლად 2010 წელს ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანიც იყო ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალურ განვითარებას შორის კავშირების გამოვლენა [1, გვ.30]. ამისათვის გამოიყენეს მსოფლიო მიწოდების არხებში არსებული სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე მუშაძალის განლაგება 5 სექტორში. ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე გრაფიკულადაა ნაჩვენები მსოფლიო მიწოდების არხებში ჩართული მუშაძალის კვალიფიკაციათა შორის განსხვავება სხვადასხვა სექტორში.

მუშაბადის მრავალფეროვნება სვებასხვა სექტორში [2, გვ. 31]



## **გიორგი ბაქრაძე**

---

გრაფიკიდან ჩანს, რომ მუშაძალის ყველა სახეობა დასაქმებულია სუთივე სექტორში, ხოლო განსხვავება მათ კონცენტრაციაშია. სოფლის მეურნეობა ფერმის დონეზე არის შრომაინტენსიური და მასში დასაქმებულია კვალიფიკაციის მუშაძალას. შუალედური პროდუქციის წარმოებელ, მრეწველობაში (მრეწველობის იმ დარგში, სადაც უფრო ხშირად ხდება პროდუქციის განვითარება) დაბალი კვალიფიკაციის მუშაძალა მცირდება, ხოლო მაღალი კვალიფიკაციის მუშაკთა კონცენტრაცია იზრდება. ეს პროცესი ასოციირდება ეკონომიკურ ზრდასთან.

კვლევის თანახმად, საქართველოს აქვს შანსი ჩაერთოს შუალედური პროდუქციის წარმოების იმ სექტორში, სადაც დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებია დასაქმებული. საქართველოსათვის ასეთი სექტორია სოფლის მეურნეობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა შეეცდება შექმნას და განავითაროს ტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოება, ეს გამოიწვევს შრომაინტენსიური წარმოების შედარებით შემცირებას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია მეცნიერებატევადი დარგების განვითარება, რაც არის გრძელვადიანი პროცესი. მოკლევადიანი პერიოდისათვის კი ნებისმიერი შრომაინტენსიური სექტორის განვითარება ხელს შეუწყობს სოციალური პრობლემების შემცირებას.

ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში, უწინარესად საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარება, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ამ დარგის წილი მშპ-ში. განვითარების რაც უფრო მაღალ საფეხურზე გადავა სოფლის მეურნეობა, მით უფრო ნაკლები სამუშაო ძალა იქნება საჭირო ამ სექტორში, ამიტომ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობიდან გამოთავისუფლებული მუშაძალა გადან-



აწილდეს სხვადასხვა სექტორში, პროფესიული გადამზადების შემდეგ, რაც სახელმწიფოს პრეროგატივა უნდა იყოს.

სტრატეგიული თვალსაზრისით, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ცოდნატევადი დარგების განვითარებისკენ, როგორცაა ბიზნესის მომსახურება და პროგრამირება. საქართველოს გააჩნია დიდი პოტენციალი ბიზნესის მომსახურებაში, რაც განპირობებულია ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალით.

შეადედური პროდუქციის წარმოება საქართველოში შეიძლება ჩაითვალოს მძიმე სოციალური პრობლემების დაძლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად. სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს უპირატესად ისეთი შეადედური პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც გავლენას იქონიებს ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ განვითარებაზე.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., 1938;
2. Alesadndro Nikita, Victor Ognivtsev, Miho Shirotori , **Global Supply Chains: Trade and Economic Policies for Developing Countries**, Geneva, 2013;
3. დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თბ., 1937;
4. გ. თოდუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1 თბ., 2004წ., ნაწ.2. თბ., 2005წ.;
5. Gery Gereffi and Karina Fernandez-Stark, **Global value chain analysis: A Primer**, Geneva, 2011;
6. გრიგოლ თოდუა, რევაზ გოგოხია, როინ ქუტიძე, ეკონომი-

კის პრინციპები, მაკროეკონომიკა, თბ., 2009;

7. <http://azizonomics.com>
8. <http://www.fao.org>
9. <http://www.investopedia.com>
10. <http://www.supplychainquarterly.com>
11. John Moavenzadeh, Sean Doherty, Ronald Philip, Thierry Geiger, **Enabling Trade Valuing Growth Opportunities**, Geneva, 2013;
12. Karina Fernandez-Stark, Penny Bamber and Gary Gereffi , **Upgrading in Global Value chains: Addressing the Skills Challenge in Developing Countries**, 2013;
13. O. Cattaneo, G. Gereffi, S. Miroudot, D. Taglioni, **Joining, upgrading and being competitive in Global Value Chains**, The World Bank 2013;
14. OECD , **Interconnected Economies Betting from Global Value Chains**, Paris, 2013;
15. OECD, **OECD Due Diligence Guidance for Responsible Supply Chains of Minerals for Conflict-Affected and High-Risk Areas (second edition)**, Paris, 2012;
16. OECD, WTO, **AID for Trade at a Glance 2013: Connecting to Value Chains**, 2013;
17. OECD, WTO, UNCTAD, **Implications of a Global Value Chains for Trade, Investments, Developments and Jobs**, 2013;
18. United nations conference on trade and development; **Global value chains and Development**, Paris, 2013;
19. WTO, **World Trade Report Factors Shaping the Future of World Trade**, Geneva, 2013.

**გერმანიის შრომის ბაზრის  
ფორმირებისა და განვითარების  
ტენდენციები**

*თამილა არნანი-კეკულაძე*  
*ეკონომიკის და ფილოსოფიის დოქტორი,*  
*აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო*  
*უნივერსიტეტის პროფესორი*

გერმანიის სოციალურ-შრომითი ურთიერთობათა სისტემა, რომლის ჩამოყალიბება ჯერ კი დევ XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო და უკავშირდება გერმანიის მაშინდელი ე.წ. „რკინის კანცლერის“ ოტო ფონ ბისმარკის (Otto von Bismarck) სახელს, ყოველგვარ იყო და დღემდე რჩება სოციალურად ორიენტირებულ სისტემად, რომელშიც თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები და მოსახლეობის სოციალური ინტერესები უნისონშია მოყვანილი ერთმანეთთან. მაშინაც კი, როცა მეორე მსოფლიო ომის შედეგად გერმანიის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ შრომის ბაზრის ორი განსხვავებული მოდელის არსებობა და განვითარება გამოიწვია, შრომითი ურთიერთობათა სისტემა ორივე ქვეყანაში საზოგადოების სოციალურ ინტეგრაციის მიზანს ემსახურებოდა.

XX საუკუნის 50-60-იან წლებში მაშინდელ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (გდრ) შეიქმნა და ფუნქციონირებდა ცენტრალურ დაგეგმვას დაქვემდებარებული დასაქმების სტრუქტურა, რომელიც

ხასიათდებოდა უმუშევრობის არარსებობით, შრომის შიგა ბაზრის ყველა ნიშნით, როგორცაა: გრძელვადიანი დასაქმება, შიგა საორგანიზაციო დაწინაურება, მცირე გარე მობილურობა და, რა საკვირველია, სოციალური დაცვის მაღალი დონით.

რაც შეეხება გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას (გფრ), მას გააჩნდა შრომის ბაზრის განსაკუთრებული სტრუქტურა, რომელიც ხასიათდებოდა რამდენიმე ფუძემდებლური კრიტერიუმით, კერძოდ: ა). შიგა შრომის ბაზართან შედარებით გარე შრომის ბაზრის დომინირებით, ბ). საბაზრო ძაღებისაგან დაქირავებულთა დაცვის მოქნილი სისტემის არსებობით და გ). დიდი მნიშვნელობის მქონე დაუსწრებლად და უშუალოდ სამუშაო ადგილზე სწავლის სისტემის ფართო გავრცელებით. შრომის ბაზრის ასეთი სტრუქტურა ემსახურებოდა ორი მიზნის - ეკონომიკური ეფექტიანობის და სოციალური ინტეგრაციის - მიღწევას. ამ თვალსაზრისით, გფრ-ის შრომის ბაზარი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა განვითარებული ქვეყნების შრომის ბაზრებისაგან [3].

XX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიაში არსებობდა შრომის ბაზრის სამი სეგმენტი: პროფესიულ უნარებზე დამყარებული შრომის შიგა ბაზარი, პროფესიულად სტრუქტურირებულ დასაქმების სისტემაზე დაფუძნებული გარე შრომის ბაზარი და არაკვალიფიციური, ანდა საშუალოდ კვალიფიცირებული ან გამოცდილების არ მქონეთა დასაქმების სისტემა.

პროფესიული უნარებზე დამყარებული შრომის შიგა ბაზარი დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი სექტორის, მრეწველობისა და მომსახურების სფეროში არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან მსხვილ საწარმოებსა და ორგანიზაციებთან.

დასაქმების ეს სისტემა ინარჩუნებდა შიგა შრომის ბაზრის კლასიკური მოდელის ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა ხანგრძლივი დასაქმება, დასაქმების დაცვის მაღალი დონე ძირითადი მომუშავეებისათვის და კადრების მომზადება – გადამზადების ფართო სისტემა საწარმოს სფეციფიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამავე დროს გფრ-ის შიგა შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელი იყო ე.წ. „ორადი სწავლების სისტემა“ (dual apprenticeship system), რომელიც იძლეოდა კარიერული ზრდის შესაძლებლობებს არა მარტო მოცემული კომპანიის ფარგლებში, არამედ სხვა კომპანიებში, ანუ შრომის გარე ბაზარზეც. გარდა ამისა, შრომის შიგა ბაზარზე არსებობდა შიგა იერარქიის კლასიკური სტრუქტურა შესვლის (შრომის შიგა ბაზარზე შეღწევის) რამდენიმე (შეზღუდული რაოდენობის) პორტით და ვერტიკალური მობილურობის (ანუ დაწინაურების) შესაძლებლობით. ამავე დროს არსებობდა პროფესიული სტრუქტურა შესვლის მრავალი პორტით და ჰორიზონტალური (ანუ საწარმოებს შორის) მობილურობის შესაძლებლობით.

ბევრ ფირმაში გავრცელებული იყო შრომის შიგა ბაზრის სისტემის ფარგლებში დასაქმების შევსების ღია და მოქნილი პრაქტიკა, რომელიც ვრცელდებოდა როგორც არაკვალიფიციურ, ასევე კვალიფიცირებულ სპეციალისტებზე. ასეთი სისტემის გამოყენებით ორგანიზაციები სარგებლობდნენ დამატებითი მოქნილობით ახალი მომუშავეების მოზიდვის ან მათგან თავის დაღწევის მეშვეობით საბაზრო კუნიუნქტურის ცვლილების შესაბამისად. ამგვარად, გფრ-ის ფირმების უმრავლესობა უშუალოდ იყო დაკავშირებული შრომის გარე ბაზრებთან. ისინი ძირითადად ფუნქციონირებენ დასაქმების ისეთი ღია

სისტემის ფარგლებში, რომელიც ეფუძნება დასაქმებულთა პროფესიულ სტრუქტურას, მოკლე და საშუალოვადიან დაქირავების სისტემასა და ფირმათაშორის მაღალ მობილურობას.

ორგანიზაციებს შორის შრომის მობილურობის მაღალი დონე ძირითადად ახასიათებდა იმ სამუშაო ადგილებს, რომლებიც განიცდიდა სეზონურ და ბიზნესციკლების მერყეობებს, მაგალითად მშენებლობაში. სხვა სფეროებში დასაქმებულები და მათი დამსაქმებლები ნაკლებად ექვემდებარებოდნენ ამგვარ გაელენებს, მაგრამ მაინც ამა თუ იმ დონით დაკავშირებულნი იყვნენ შრომის გარე ბაზრებთან, განსაკუთრებით, როცა საქმე გარკვეულ სპეციალობებსა და პროფესიებს ეხებოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, შრომის შიგა ბაზრები დიდ როლს ასრულებდა გერმანიის ეკონომიკაში. სწორედ შრომის ბაზრის ამ სეგმენტში ხდებოდა გერმანიის სამუშაო ძალის დიდი ნაწილის პროფესიული მომზადება-გადამზადება.

1990 წლის მაისში დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანიის მაშინდელი ლიდერების ჰელმუტ კოლისა (Helmut Kohl) და ლოტარ დე მეზიერის (Lothar de Maizière) შეთანხმების შედეგად შეიქმნა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, რასაც სულ მალე მოჰყვა ერთიანი მონეტარული სისტემის ჩამოყალიბება და 1990 წლის 3 ოქტომბერს - გერმანიის საბოლოო გაერთიანება.

გერმანელი მეცნიერების აღიარებით, XX საუკუნის 90-ანი წლებიდან დაწყებული, ანუ გერმანიის გაერთიანებისა და ძლიერი შოკური თერაპიის შედეგად, გერმანიის შრომის ბაზრის სტრუქტურა განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლის მიმართულება და მოცულობა ფართო დებატების საგნად გადაიქცა. 1990 წლებიდან დაწყებული, შიგა ბაზრის

პრიორიტეტი და დომინირება უკვე აღარ გამოიყურებოდა ერთმნიშვნელოვნად.

შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებული დებატები ჯერ კიდევ გერმანიის გაერთიანებამდე დაიწყო, ხოლო გაერთიანების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა და დღემდე მიმდინარეობს. გერმანელი მეცნიერები გამოყოფენ ამ დებატების ორ „გრძელვადიან ტალღას“ [5; გვ.7].

დებატების პირველი ასეთი ტალღა დაიწყო XX საუკუნის 80-ანი წლების შუა პერიოდში და გაგრძელდა 90-ანი წლების შუა პერიოდამდე. დროის ეს მონაკვეთი ხასიათდებოდა დასაქმების სისტემის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებებითა და დასაქმების დაცვის სისტემის მოშლით. ამ პერიოდში მეცნიერები თავიანთ ყურადღებას ამახვილებდნენ არასტანდარტული და არატიპური დასაქმების პრობლემებზე, რომელთა კვლევა ძირითადად ეფუძნებოდა არასტანდარტული და არატიპური დასაქმების კონტრაქტებისა და მუდვივი და სრული დასაქმების კონტრაქტებს შორის განსხვავების ემპირიულ ანალიზს.

დებატების მეორე ტალღა, დროის ასპექტის თვალსაზრისით, წარმოადგენს პირველის გაგრძელებას და დღემდე მიმდინარეობს. ამ პერიოდში ყურადღება მახვილდება შრომის ბაზრის უწყვეტი და ზომიერი ცვლილებების და არა მის სტაბილური სტრუქტურის პრობლემებზე. როგორც წესი, ემპირიული კვლევები ეფუძნება დასრულებული დასაქმების ხანგრძლივობაზე გრძელვადიან დაკვირვებას, შრომის სტაჟისა (job tenures) და ხელფასის მოცულობის ანალიზს. ამ კვლევებით დადგინდა შრომის ბაზრის არა სტრუქტურული, არამედ უწყვეტად მიმდინარე ცვლილებები.

ღებატების ამ ორ ტალღასთან ერთად უნდა აღინიშნოს მესამე ტალღაც, რომელიც განიხილება არა მისი დროის კონტექსტითარამედ შრომის ბაზრის კვლევისადმი მიდგომიდან გამომდინარე და პირველი ორი „ტალღის“ პარალელურად ვითარდებოდა. ეს მიდგომა ეფუძნება სხვადასხვა ქვეყნის შრომის ბაზრების ურთიერთ შედარებით ანალიზს და, აგრეთვე, შრომის ბაზრის სტრუქტურის ახალი კონცეფციების ჩამოყალიბებასა და ძველ კონცეფციებთან მათ შედარებას. ამ თვალსაზრისით, ე.წ. მესამე ტალღას შეიძლება „შრომის ბაზრის შედარებითი ანალიზის“ სახელწოდება მიეცეს.

რა თავისებურებებზე მსჯელობენ გერმანელი ეკონომისტები და სოციოლოგები?

ცნობილია, რომ მრავალი ათწლეულის მანძილზე სხვადასხვა მარეგულირებელი ღონისძიების მეშვეობით ხდებოდა თანამედროვე სამყაროს შრომის (შიგა და გარე) ბაზრების გარკვეული დაცვა საბაზრო ძალებისაგან, ანუ შრომის ბაზრის რეგულირება. გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ამ ქვეყანაში იწყება ჯერ შრომის ბაზრის დერეგულირების პროცესი, რომელიც შემდგომში შრომითი ურთიერთობების ხელახალი რეგულირებით შეიცვალა.

ბოლო ოცი წლის მანძილზე მიმდინარეობს გერმანიის შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, რაც განიხილება ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კონტექსტით. კერძოდ, საბაზრო კუნიუნქტურის ცვლილებები ნეგატიურ გავლენას ახდენს შრომის შიგა ბაზრის სტრუქტურაზე, რომელიც ადრე ამგვარ გავლენას არ განიცდიდა; დამსაქმებელთა მხრიდან იზრდება მოთხოვნები მომუშავეთა კვალიფიკაციისადმი, რის გამოც უშუალოდ სამუშაო ადგილზე მომუშავეთა მომზადება-გადამზადების ადრე არსებული პრაქტიკის განხორციელება შეუძლებელი



ხდება; შრომის შიგა ბაზარზე მცირდება დაწინაურების შესაძლებლობები, იზრდება კადრების დენადობა და ა.შ. [6, გვ.11].

თუ XX საუკუნის 90-იან წლებამდე გერმანიის შრომის ბაზარი მკაცრად რეგულირდება გარე ბაზარზე მობილურობის და ნაკლებად რეგულირებადია შიგა ბაზარზე მობილურობის თვალსაზრისით და ამ ბაზრების (და განსაკუთრებით, შიგა ბაზრების) მოქნილობა რეგულირდებოდა შრომის კანონმდებლობითა და კოლექტიური ხელშეკრულებებით ასაკიანი და ხანგრძლივი სტაჟის მქონე პირთა სასარგებლოდ, 1990-ანი წლებიდან დაწყებული ხდება შიგა ბაზარზე შესვლისა და გასვლის პორტების რაოდენობრივი ზრდა და ჰორიზონტალური მობილურობის შესაძლებლობათა გაფართოება. ამასთან, დასაქმებულთა დაცვა და ხელფასის სიდიდე დამოკიდებული ხდება არა მომუშავეთა სტაჟზე, არამედ მათ მწარმოებლურობაზე. ამგვარად ყალიბდება მწარმოებლურობაზე გაფუძნებული შრომის შიგა ბაზარი. ამ ბაზრის ფუნქციონირება ეფუძნება ახალ შრომით კონტრაქტებს, რომელთა თანახმად კონტრაქტის ორივე მხარეს შეუძლია გავიდეს შრომის შიგა ბაზრიდან შრომის გარე ბაზარზე, ანუ დასაქმებისა და ხელფასის საუკეთესო ალტერნატივის მოსაპოვებლად (დაქირავებული შრომის შემთხვევაში) ან უფრო მაღალი მწარმოებლურობისა და ნაკლები ანაზაურების პრეტენზიის მქონე მომუშავეების (დამქირავებლების შემთხვევაში) მოძებნისათვის.

ახალი ტენდენცია შეიმჩნევა აგრეთვე შრომის გარე ბაზრებზეც. თუ ზოგადად, გერმანიისთვის და მახასიათებელი იყო პროფესიულ უნარებზე, საშუალოვადიანი დასაქმების (დაქირავების), მაღალი ხელფასებისა და კარგი სამუშაო პირობების მქონე მაღალკვალიფიცირებული შრომის გარე

ბაზარი, რომელიც ეფუძნებოდა ძლიერ ინსტიტუციურ მხარდაჭერას, კერძოდ, პროფესიული მომზადების, კოლექტიური ხელშეკრულებების, დასაქმების დაცვის პოლიტიკის კარგად ჩამოყალიბებულ სისტემას, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე იწყება მოკლევადიანი და ტიპური კონტრაქტების რაოდენობრივი ზრდა, დასაქმების დაცვის და ზოგადად ინსტიტუციური მხარდაჭერის შემცირება [7, გვ.1071].

XXI საუკუნის დასაწყისში გერმანელი ეკონომისტები და სოციოლოგები ელოდებოდნენ, რომ გადასვლა შიგა შრომის ბაზრის სტრატეგიიდან გარე შრომის ბაზრის სტრატეგიაზე არ განხორციელდებოდა უმტიკნულოდ. ასეთი ვარაუდი განსაკუთრებით აღმოსავლეთი გერმანიასთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან ისტორიულად, როგორც უკვე აღინიშნა, აქ ადრე არსებული დასაქმების სისტემა სწორედ შიგა შრომის ბაზარზე იყო დაფუძნებული. ამის გამო, აღმოსავლეთ გერმანიაში მოსალოდნელი იყო ექსტერნალიზაციის პროცესის აფეთქება მას შემდეგ, რაც პენსიაზე გავიდოდა დასაქმებულთა ის თაობა, რომელთა შრომითი აქტიურობის პიკი სწორედ XX საუკუნის 90-იან წლებს დაემთხა. ექს ტერნალიზაციის განხორციელების პერიოდში ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესი იყო მოსალოდნელი: ერთი მხრივ, ფირმების დასაქმების პოლიტიკის ცვლილება გარე ბაზრიდან კვალიფიციური მომუშავეების დაქირავების სასარგებლოდ და, მეორე მხრივ, გარე შრომის ბაზრების დაბალი ეფექტიანობა და მათი რეგულირების ინსტიტუტების არასრულყოფილობა, რაც დაკავშირებულია განათლებისა და კადრების მომზადების სისტემის, ახალგაზრდა თაობის ინტერესებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს შორის კავშირის არასაკმარისობით, რაც პრობლემატურს ქმნი-

და კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდებას [6, გვ. 14]. ასეთ ვითარებაში დასავლეთი გერმანიის შრომის ბაზრის პროფესიულ-ტექნიკური მოდელი არასაკმარისად სასარგებლოდ და მიმზიდველად გამოიყურებოდა აღმოსავლეთი გერმანიის შრომის ბაზრისთვის.

შრომის ბაზრის ასეთ შეუთავსებლობას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ მიუხედავად აღმოსავლეთი გერმანიის ინსტიტუტების გავრცელებისა დასავლეთ გერმანიაში, ეს უკანასკნელი ინარჩუნებდა (და დღემდე ინარჩუნებს) გარკვეულ განსხვავებებს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურაში. ამაზე ღიად საუბრობენ გერმანელი მეცნიერები და აცხადებენ, რომ სხვადასხვა კონტექსტით გერმანია შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ორი განსხვავებული ქვეყანა. ეს განსხვავებები შესამჩნევია, აგრეთვე, შრომის ბაზრისა და დასაქმების პრობლემის თვალსაზრისით.

დასავლეთი გერმანია აგრძელებს ძლიერი ინდუსტრიის შენარჩუნებას, რომელიც ძირითადად საშუალო და მსხვილი კომპანიებით არის დაკომპლექტებული. ასეთ ვითარებაში დასავლეთი გერმანიის დასაქმების სისტემა დასაქმების საშუალებას აძლევს სამუშაო ძალის 85%-ს და უზრუნველყოფს მათ მაღალი შემოსავლებით. ამავე დროს, აღმოსავლეთ გერმანიამ გაერთიანების შემდეგ დაკარგა სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობის დაახლოებით 50%, ხოლო წარმოების სფეროში ეს დანაკარგი 75%-ს შეადგენდა. ამ ცვლილებების შედეგს აღმოსავლეთი გერმანია დღემდე განიცდის. ეს გამოიხატება სუსტ საწარმოო სექტორში, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია სამომხმარებლო სექტორის მომსახურებაზე ორიენტირებულ მცირე კომპანიებით. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ამ

ნაწილში განხორციელებული იყო მომუშავეების პენსიაზე ვადადელი გაყვანა და მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა დატოვა შრომის ბაზარი და გახდა ეკონომიკურად არააქტიური, აღმოსავლეთი გერმანიის ეკონომიკას შეუძლია დაასაქმოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 75%. ამასთან, აღმოსავლეთი გერმანიის დასაქმების სისტემა დიდად არის დამოკიდებული დასავლეთი გერმანიის სუბსიდიებზე (რაც ხშირად დასავლეთი გერმანიის მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს), ხოლო შემოსავლების დონე ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში 20%-ზე ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ ნაწილში [5, გვ.28-29].

დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანიის შრომის ბაზარი განსხვავდება, აგრეთვე, გენდერული თვალსაზრისით. რაოდენ პარადოქსულად არ უნდა ჩანდეს, დასავლეთი ინარჩუნებს კაცისა და ქალის ტიპურ გენდერულ როლებს, რაც გამოიხატება გენდერული ურთიერთობების ისეთი მოდელით, სადაც მარჩენალის როლი მამაკაცს ეკუთვნის, ხოლო ქალს დამხმარე როლი აქვს მიკუთვნილი, მაშინ როცა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, გერმანელ მეცნიერთა სიტყვებით, შენარჩუნებულია გენდერული ურთიერთობების სოციალისტური მოდელი, რომელშიც ოჯახებს ორ-ორი მარჩენალი ჰყავს - ქალი და მამაკაცი. ხშირ შემთხვევაში, ეს ტენდენცია აქ კიდევ უფრო ძლიერდება მამაკაცთა უმუშევრობის გამო.

მიუხედავად მიმდინარე ცვლილებებისა, დასავლეთ გერმანიაში უწინდებურად მოქმედებს კოლექტიური მოლაპარაკებისა და ორადი პროფესიული სწავლების მოდელი, ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ გერმანიას, აქ კოლექტიურ მოლაპარაკებებში ჩართულია ეკონომიკის უმნიშვნელო ნაწილი, ხოლო პროფესიული მომზადება

დიდწილად სახელმწიფო სუბსიდიებზეა დამოკიდებული.

2003-2005 წლებში გერმანიის შრომის ბაზრის პოლიტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო განხორციელებული XX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ. ამ ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა არსებული კანონმდებლობა და შემცირდა უმუშევრობის შემწეობები. შრომის ბაზრის პოლიტიკის ცვლილებამ გამოიწვია მწვავე დებატები. მეცნიერთა და ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, შრომის ბაზრის პოლიტიკის ამგვარი რეფორმირება წარმოდგენს გერმანული სოციალური პოლიტიკისთვის ტრადიციული ბისმარკისეული პარადიგმიდან გადახვევას [2. გვ.4]. მეცნიერთა სხვა ნაწილის თვალსაზრისით, ახალი კანონმდებლობის შემოღებამ ხელი შეუწყო გერმანული საზოგადოების კონსოლიდაციას [9], ხოლო სხვათა შეხედულებების თანახმად, გერმანიის შრომის ბაზრის რეფორმების შედეგად უმუშევრობისაგან სოციალური დაზღვევის პრინციპები კვლავაც დომინირებადი რჩება გერმანიაში, ხოლო თვით შრომის ბაზარი ნაკლებად სეგმენტირებულია, ვიდრე ეს XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე იყო [1].

გარე ბაზრების ინსტიტუციურ რეგულირებას შედეგად უნდა მოჰყვეს ისეთი პრობლემების მოგვარება, როგორცაა კადრების მომზადება-გადამზადებაში ინვესტირებისა და მიღებული შედეგების სამართლიანი გადანაწილება, ანუ ეკონომიკაში ცნობილი ფენომენის - ე.წ. „უბილეთო მგზავრის“ პრობლემის გადაჭრა. გარდა ამისა, გარე ბაზრების ინსტიტუციურმა რეგულირებამ უნდა გადაჭრას ისეთი პრობლემა, როგორცაა დროის ლაგი ახალი კომპეტენციების მქონე პერსონალზე მოთხოვნისა და ახალი სასწავლო მოდულების შემოღების მეშვეობით მათი

რეალური მიწოდების შესაძლებლობებს შორის. ამ საკითხის მოგვარებასთან მჭიდრო კავშირშია ისეთი პრობლემა, როგორცაა დამსაქმებელსა და მომავალ მომუშავეებს შორის მყარი და ეფექტიანი ურთიერთდამაკავშირებელი სისტემის ჩამოყალიბება, რამაც უნდა უზრუნველყოს განსახვდრული კონპეტენციების მქონე მომუშავეების მომზადება-მიწოდებისა და მათზე მოთხოვნის თანხვედრა.

როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურად და წარმატებულად აღიარებული გერმანიის შრომის ბაზარი, არ არის მოკლებული გარკვეულ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაზე ერთობლივად ზრუნავენ გერმანელი პოლიტიკოსები და მეცნიერები - ეკონომისტები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები. სწორედ ერთობლივი ძალისხმევის შედეგად გერმანიის შრომის ბაზარი ინარჩუნებს სტაბილურობას და (სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით) დასაქმების რეკორდულად მაღალ დონეს, კვლავაც ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც ძირითადად საქმებიან საშუალო ბიზნესში და ისევ ინარჩუნებს თავის მთავარ მახასიათებელს და ფასეულობას - სოციალურ ორიენტაციას.

## **The German Labour Market: Between Past and Future**

**T. Arnanian-Kepuladze**

The paper considers the specifics of German labour market before and after German reunification. Based on the evaluations of German economists and sociologists the paper describes the particularities of social-labour relationships in former German Democratic Republic

and Federal Republic of Germany and emphasizes their social orientation; characterizes the features of modern German labour market with accent on the its differences and similarity in Eastern and Western part of country and striving to continue the old traditions of social dimension.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Clasen Jochen, Goerne Alexander, 2011, Exit Bismarck, Enter Dualism? Assessing Contemporary German Labour Market Policy, Journal of Social Policy Volume 40/Issue 04/October2011, pp. 795 810, DOI: 10.1017/S0047279411000237, Published online: 14 April 2011;
2. Eichhorst, W., Grienberger-Zingerle, M. and Konle-Seidl, R., 2008, Activation policies in Germany: from status protection to basic income support, in W. Eichhorst, O. Kaufmann and R. Konle-Seidl (eds.), Bringing the Jobless into Work? Experiences with Activation Schemes in Europe and the US, Heidelberg: Springer-Verlag, pp. 17–68;
3. Grünert H., 1997, Beschäftigungssystem und Arbeitsmarkt in der DDR. Leske und Budrich, Opladen;
4. Hinrichs, K., 2010, A social insurance state withers away: welfare state reform in Germany;
5. or: attempts to turn around in a cul-de-sac, in B. Palier (ed.), A Long Goodbye to Bismarck?The Politics of Welfare Reform in Continental Europe, Amsterdam University Press, pp. 45–72;
6. Köhler Christoph, Kyra Junge, Tim Schröder, Olaf Struck, 2005, Debates on the erosion of Internal and External Labour Markets in Europe, , in Trends in employment stability and labour market seg-

- mentation, eds. Christoph Köhler, Kyra Junge, im Schröder, Olaf Struck;
7. Lutz Burkart, 2005, What follows the era of Internal Labour Markets? Preconditions for the (re)emergence of External Labour Markets. Theses, open questions, and theoretical tasks, in Trends in employment stability and labour market segmentation, eds. Christoph Köhler, Kyra Junge, im Schröder, Olaf Struck;
  8. Lutz Burkart, Christoph Köhler, Holle Grünert, Olaf Strukt; 2007, The German model of labour market segmentation - tendencies of change, in Economies et Societes, Serie “Socio-Economie du travail”, AB, no 28, 6\2007, p. 1057-1088;
  9. Nitsche Natalie, Karl Ulrich Mayer, 2011-2012, Stability or Instability of Work Trajectories: Expectations, Aspirations, and Perceptions in East and West Germany, Working Paper, Center for Research on Inequalities and the Life Course;
  10. Palier, B., Thelen, K., 2010, Institutionalizing dualism: complementarities and change in France and Germany, Politics and Society, 38: 1, 119–48.





*ეკა სეფაშვილი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი*

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო და უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს ისეთი ახალი ტექნოლოგიები, როგორცაა მიკროელექტრონიკა, რობოტოტექნიკა, ტელეკომუნიკაცია, ახალი მასალები, ბიოტექნოლოგია, გენური ინჟინერია და სხვა, სადაც იმპერატივი ცოდნას და მუდმივ ინოვაციებს ეკუთვნის, რაც მესამე ათასწლეულის ეკონომიკის მოდელს განაზღვრავს. წარმოებაში მეცნიერების სულ უფრო მეტად გამოყენება ნებისმიერი ქვეყნისათვის გადამწყვეტია, რომ გლობალურ ბაზრებზე მყარი პოზიცია დაიკავოს მაქსიმალური მოგების მიღებისა და შესაბამისად, საკუთარი მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით.

იმ გზების ძიებას და ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ზემოაღნიშნულ გამოწვევას პასუხობს, სახელმწიფოს მიერ ინოვაციური პროცესებისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა სჭირდება. შესაბამისად, კონკურენტუნარიანი ეროვნული მოდელის შექმნა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ნებისმიერი

ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული განვითარებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ყველა მთავრობის ამოცანაა საერთო ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, რომლითაც ქვეყანაში არსებული ყველა ფირმა ისარგებლებს. ასეთ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, დაზოგვის წახალისებისაკენ მიმართული დაბეგვრის პოლიტიკა, ინვესტიციები საბაზისო კვლევებში, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. იგივე მიზნის მისაღწევად სახელმწიფომ შეიძლება განსხვავებულ პოლიტიკასაც მიმართოს და პირდაპირი დახმარება გაუწიოს ცალკეულ ფირმებს მცირე ბიზნესის ხელშეწყობის, ექსპორტ-იმპორტ ბანკების, ტექნიკური დახმარების პროგრამების, კვალიფიციური მუშახელისათვის სწავლების შესაძლებლობების, მცირე ბიზნესის წახალისებაზე ორიენტირებული შესყიდვების პოლიტიკის, მიზნობრივი გრანტებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.

მეცნიერებაზე დაფუძნებული ეკონომიკის პირობებში ზემოაღნიშნული პოლიტიკები არც თუ ისე დიდ შედეგს იძლევა. დღეს მნიშვნელოვანია თავისთავად არა მრეწველობა და ან მომსახურების სფეროების განვითარება, არამედ ტექნოლოგია და კვალიფიკაცია, რომელიც საქონლისა და მომსახურების წარმოებაში გამოიყენება. სულ რაღაც ბოლო ორი ათწლეულია, რაც განვითარებული სახელმწიფოების უმრავლესობამ ეკონომიკურ პოლიტიკაში კლასტერულ მიდგომას მიაპყრო ყურადღება.

ფირმების კონკურენციული უპირატესობა ამა თუ იმ ქვეყანაში ადგილობრივი თავისებურებების წყალობით იქმნება და ვითარდება. იმ ფაქტებისა და ელემენტების გამოვლენას, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას და გლობალურ ბაზრებზე მყარი პოციზიების

დაკავებას და შემდგომში ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას, ბევრი მეცნიერ-ეკონომისტის ნაშრომები ეხება. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიდგომა “კლასტერული განვითარების თეორიის” სახელწოდებითაა ცნობილი, რომლის ფუძემდებელი მაიკლ პორტერია (5, გვ.170-196). მართალია, ამ მოვლენის ანალიზი მანამდეც ხორციელდებოდა სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომებში, მაგრამ სრულყოფილი თეორიის სახით, სადაც დეტალურადაა გაანალიზებული და ახსნილი კლასტერის წარმოშობის, განვითარების ან თუნდაც დაცემის პროცესები და მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, არ გვხვდება. ამისათვის სახელმწიფოს უზარმაზარი სამუშაოს ჩატარება, მათ შორის აურაცხელი ემპირული მონაცემების დამუშავება მოუწია, რომელთა საფუძველზეც ჩამოაყალიბა ზემოაღნიშნული თეორია. მან სხვადასხვა ქვეყნის 100-ზე მეტი დარგის კონკურენტუნარიანობის წყაროები და მათი პოზიციები შეისწავლა. პორტერმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ერთი დარგის ფირმები, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებზე მყარ პოზიციებს ფლობენ, როგორც წესი, განლაგებულია არა ქაოტურად, არამედ კონცენტრირებულია ერთ ქვეყანაში, ხანდახან ერთი ქვეყნის ერთსა და იმავე რეგიონშიც კი. ეს შემთხვევითი მოვლენა არაა. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ერთი ან რამდენიმე ფირმა თავის წარმატებას და ეფექტიანობას ახლომდებარე და მასთან დაკავშირებულ მომწოდებლებზე, მომხმარებლებსა და კონკურენტებზეც ავრცელებს. ამ მოვლენას - ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა ეკონომიკური ჯგუფებისა და ეკონომიკური აგენტების ერთობლიობას - მ. პორტერი კლასტერს უწოდებს.

“კლასტერი” ინგლისური სიტყვაა და “მტევანს”, “კონას” ნიშნავს. მაიკლ პორტერის (5, გვ.170) განმარტების თანახმად, კლასტერი არის გარკვეულ სფეროში ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისა და ასოცირებული ინსტიტუტების

გეორაფიულად კონცენტრირებული ჯგუფი, რომელიც ხასიათდება ვერტიკალური (მომხმარებელი/მიმწოდებელი) ან ჰორიზონტალური (საერთო ბაზარი, მსგავსი ან მონათესავე ტექნოლოგია, შუამავლები და ა.შ) ურთიერთობით.

მოწინავე ქვეყნების ეკონომიკაში კონკურენცია ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენების ეფექტიანობას ეფუძნება. ამ თვალსაზრისით, კლასტრების მნიშვნელობა განუზომელია, რადგან სწორედ ისინი ასრულებენ ფუნდამენტურ როლს ცოდნის დაგროვების, ინოვაციების დანერგვის, უნარ-ჩვევების დაგროვებისა და გაუმჯობესების კუთხით. მათი მნიშვნელობა გლობალიზაციის გაღრმავების თანხვედნილად იზრდება. განვითარებული კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო საშუალებების წყალობით, ფირმები წარმოებისათვის უიაფეს და საქონლისა და მომსახურების გაყიდვისათვის ყველაზე უფრო მომგებიან ადგილს მთელი პლანეტის მასშტაბით ეძებენ. ასეთ პირობებში ფირმის მიერ კონკურენციული უპირატესობების შექმნისათვის ბიზნესთან პირდაპირი კავშირის არმქონე ეროვნული ინსტიტუტები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ეს შეიძლება იყოს ტექნიკური სკოლები, სპეციალიზებული ინფრასტრუქტურა, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებები, მრეწველობის ან სხვა დარგის ასოციაციები.

გლობალიზაციის წყალობით, გამჭვირვალე ეროვნული საზღვრები კლასტრების მნიშვნელობას აძლიერებს, რადგან კონკურენციის არეალი ფართოვდება. ეს მოვლენა კლასტრებს გაძლიერების საშუალებას აძლევს, ხოლო არაეფექტიანი კლასტრების პოზიციები სუსტდება. გლობალიზაცია კონკურენტული უპირატესობის ბევრ ტრადიციულ წყაროს ანადგურებს, რომელთა გამოყენება ნებისმიერ ფირმას იოლად შეუძლია. ასეთი წყაროებია იაფი მუშახელი, ნედლეული, ძირითადი ტექნოლოგიები. ამრიგად, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია,

რომ კლასტერის მიერ შექმნილი ეროვნული უპირატესობები უფრო მნიშვნელოვანია გლობალური კონკურენციისას.

განვიხილოთ კლასტერების ფუნქციონირების პორტრეტული მექანიზმი (9, გვ. 120-192). მის მიერ აღწერილი ფაქტორები ქმნის ე.წ. „ეროვნულ რომბს“, რაც განსაზღვრავს კლასტერის შექმნის მექანიზმსა და მის ბუნებას. ამ მოდელისათვის დამახასიათებელია ყველა ფაქტორს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. მიკროეკონომიკურ დონეზე შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს კლასტერის დინამიკას:

- მოცემული არეალის **თავდაპირველი რესურსები და არსებული ეკონომიკური გარემო**; თავდაპირველ რესურსებში არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური რესურსები, აქ პორტერი მოიაზრებს, აგრეთვე, იმ პირობებსაც, რომელიც ხელს უწყობს ახალი ბიზნესის წამოწყებას. ხოლო ეკონომიკური გარემო ხასიათდება მოცემულ სფეროში მოქმედი ფირმების რაოდენობით, ახალი ბიზნესის წამოწყების შესაძლებლობებითა და იმ გეოგრაფიული რეგიონისათვის დამახასიათებელი მეწარმეობის კულტურით;

- **კომპანიების სტრატეგიები და კონკურენციული გარემო** გავლენას ახდენს ფირმების ევოლუციაზე, რადგან ისინი იძულებულნი არიან ბაზარს სპეციალური მომსახურება და პროდუქტი შესთავაზონ, გაზარდონ ხარისხი და თანამშროლობა, რათა მაღალი მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ. გაზრდილი კონკურენცია კომპანიებს აიძულებს განვითარდნენ და დანერგონ ინოვაციები;

- **ბაზრის პირობები**, შეთავაზებულ პროდუქტსა და მომსახურებაზე მოთხოვნა. კლიენტის საჭიროებების გარეშე არ იარსებებდა სამეწარმეო ინიციატივები რეგიონის რესურსების შესაძლებლობების უკეთესად გამოყენებისათვის. საბოლოო ანგარიშით, თავდაპირველი ბაზარი კლასტერ-

ული კონკურენციული გარემოს წყალობით ფართოვდება;

• **მონათესავე და დამხმარე დარგები** კლასტერის ფორმებს საშუალებას აძლევს, განვითარდნენ და თავიანთი კონკურენციული უპირატესობა მყარად შეინარჩუნონ. ინოვაციების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ფაქტორია უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაზე არიან ფოკუსირებულნი;

„ეროვნული რომბის“ ზემოქანამოთვლილი დეტერმინანტების გარდა, კლასტერული განვითარებისათვის უაღესად მნიშვნელოვანია ინოვაციები და ინფორმაციის მუდმივი გაცვლა, რაც შეიძლება განხორციელდეს:

• პირდაპირი გაცვლით - ტექნოლოგიურ თანამშრომლობის საშუალებით ან ახალი ტექნოლოგიების შექმნით;

• არაპირდაპირი გაცვლით - სამუშაო ძალის მიგრაციის ან კონკურენციაზე დაკვირვების ან მისი გაანალიზებისა და შესწავლის საშუალებით;

• არაპირდაპირი გაცვლით - კვლევების შედეგად მიღებული ახალ იდეებსა ან ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი ბიზნესის ხელშეწყობის თანხმლები ეფექტებით.

აღსანიშნავია, რომ კლასტერი განასაკუთრებულად აძლიერებს **რესურსების გამოყენების ეფექტიანობას**. საერთაშორისო კონკურენციის გარეშე რესურსების მწარმოებლურობის დონე ერთ ქვეყანაში, ფაქტობრივად, დამოკიდებული არ იქნებოდა სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე. საერთაშორისო ვაჭრობა და კაპიტალის გატანა ქვეყნის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამადლების საშუალებაა.

კლასტერის ბუნებისა და მისი მოქმედების პრინციპების უკეთ გასაანალიზებლად განვიხილოთ ფორმების დაჯგუფების სხვადასხვა ტიპი და შევადაროთ მათი მოქმედების მექანიზმები.

მეცნიერები მალმბერგი, სოლველი და ზანდერი (4, გვ. 85-88) გამოყოფენ ფირმების აგლომერატების ოთხ მოდელებს:

- ურბანული აგლომერატები - სხვადასხვა დარგის ფირმების დაჯგუფება;

- სამრეწველო უბნები – ერთი და იგივე დარგის ფირმების დაჯგუფება;

- ინოვაციური აგლომერატები – ინოვაციაზე ორიენტირებული სხვადასხვა დარგის ფირმების დაჯგუფება;

- კლასტერები - ინოვაციაზე ორიენტირებული ერთი და იმავე დარგის ფირმების დაჯგუფება;

მეცნიერების, მ. პორტერისა (9, გვ. 77) და პ. კრუგმანის (3, გვ. 13) აზრით, კლასტერი ეკონომიკური აგლომერატია, რომელიც შექმნილია ერთი და იმავე დარგის ან მონათესავე დარგის ფირმების მიერ, სადაც ინოვაციები კონკურენციის გამძაფრებისა და ფირმების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კლასტერის წევრების როლსა და მათ შორის ურთიერთობებზე დაყრდნობით ა. მარკუზენი (6, გვ. 293-313) კლასტერის ოთხ მოდელებს გამოყოფს. იგი კლასტერის ერთ-ერთ მოდელებს ა. მარშალის (7, გვ.23) მიერ დახასიათებულ მოდელებს აღარებს. მარშალი კლასტერის დახასიათებლად იყენებს ტერმინს - „სამრეწველო რაიონი“ (industrial district), სადაც ფირმები შედარებით ჰომოგენურია, მცირე ფირმები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთმანეთს უშუალო კონკურენციას უწევენ, ან მიმწოდებელი-მომხმარებლის ურთიერთობაში არიან. აქ კლასტერის გასაკონტროლებლად საკმარისი ზომა და ძალაუფლება არც ერთ ფირმას არ გააჩნია. მის ფორმასა და განვითარების მიმართულებას საერთო ბაზარი და კლასტერის დინამიკა განსაზღვრავს. მარშალი აღწერს იმ უპირატესობებს, რაც ფირმების ერთ გეოგრაფიულ არეალში განლაგებიდან გამომდინარეობს. მარშალის მიერ

აღწერილი კლასტერის ფორმა განსხვავდება ურბანული აგლომერაციისაგან, რომელიც ქალაქად სხვადასხვა დარჯის კომპანიების განლაგებას გულისმობს. მარშალის მიერ აღწერილ მოდელში ფირმები ერთი და იმავე საქმიანობით ან ურთიერთდაკავშირებული საქმიანობით არიან დაკავებული.

ა. მარკუზენის მიერ აღწერილ მეორე მოდელში - „ბირთვი-სხივი“ (hub-and-spoke) - მცირე რაოდენობის დომინანტი ფირმები კლასტერის ბირთვს წარმოადგენს. მათ გარშემო არსებული მცირე ფირმები პირდაპირაა მათთან დაკავშირებული ნედლეულის ან სპეციალიზებული მომსახურების მიმწოდებლების, ან მათი უშუალო სავაჭრო პარტნიორების მეშვეობით. მცირე ფირმების უმრავლესობა დამოკიდებულია ამ დომინანტ ფირმებსა და მათ სტრატეგიაზე. დომინანტი ფირმები განსაზღვრავენ კლასტერის შიგნით ურთიერთობებს და მის დინამიკას. ამ მოდელის თვალსაჩინო მაგალითია ავტომრეწველობა დეტროიტში, სადაც სამი მსხვილი ფირმის გარშემო უამრავი მცირე და საშუალო ფირმაა თავმოყრილი.

ა. მარკუზენის მიერ აღწერილი მესამე „სატელიტური პლატფორმის“ კლასტერის მოდელი წარმოადგენს სხვა ქვეყნებში განლაგებული მრავალეროვნული ფირმების განშტოებების ჯგუფს, რომელიც განლაგებულია ერთ გეოგრაფიულ არეალში, რათა ისარგებლოს მთავრობის მიერ შექმნილი შესაძლებლობებით, ან მიმწოდებლების მიერ შეთავაზებული დაბალი ფასებით, ან იაფი მუშახელით. ამ მოდელისათვის დამახასიათებელია ის, რომ სატელიტურ ფირმებს შორის ურთიერთობები არ არის და ისინი მთლიანად მშობლიური კომპანიების მიერ დისტანციურად კონტროლდება.

დაბოლოს, მეოთხე მოდელში, ცენტრალურ როლს მთავრობა/სახელმწიფო ასრულებს. ასეთი კლასტერი წარმოიქმნება საჯარო, სახელმწიფო ან არამომგებიანი ორავ-



ნიზაციის გარშემო, რომელიც რეგიონში დომინანტია და განსაზღვრავს ეკონომიკურ ურთიერთობებს კლასტერის წევრებს შორის. ეს ერთეული გარემოცულია უამრავი მცირე ფირმით, რომელიც საზოგადოებრივ დაკვეთებს ასრულებენ. ეს მოდელი გავს „ბირთვი-სხვივს” მოდელს, ოღონდ, მისგან განსხვავებით, ცენტრალური მოთამაშე კერძო სექტორის მიერ არ კონტროლდება.

ჰ. ეტზკოვიცის მოდელში (1, გვ.11) ცოდნის კაპიტალიზაცია და ურთიერთგაცვლა კლასტერული განვითარების სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის – განათლება, მთავრობა და ბიზნესი - ურთიერთობით განისაზღვრება. თითოეული ეს კომპონენტი დანარჩენისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ ისინი ერთმანეთს ფარავენ ინოვაციებისა და ცოდნის ურთიერთგაცვლის თვალსაზრისით. ამასთან, თითოეული კომპონენტის როლი თანაბარად წამყვანია ინოვაციების გენერირების მხრივ, თუმცა, ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ: უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები კერძო სექტორის დაფინანსებულ პროექტებზე მუშაობენ; ახალი ბიზნესი შეიძლება დაფუძნდეს კვლევის შედეგად შემუშავებული ახალი ტენოლოგიით კერძო კომპანიის მიერ; აქტიური ბიზნესგარემო უმაღლეს განათლებას ფართოდ იყენებს; თავის მხრივ მთავრობებიც აფინანსებენ კვლევით პროექტებს და ა.შ.

კლასტერის განვითარების ან ახალი კლასტერის შექმნისაკენ მიმართული ფაქტორების დახასიათებით, კლასტერის ინიცირების მოდელს გვთავაზობს სოლველი (12). მოდელში მოცემულია ურთიერთდაკავშირებული ფაქტორები, რომლებიც კლასტერული ინიციატივების ან უკვე არსებული კლასტერის წარმატებას უწყობენ ხელს. ესენია:

**1. სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო.**

იმის გათვალისწინებით, რომ კლასტერებს ეროვნული ან რეგიონული განვითარების ინსტრუმენტად მიიჩნევენ, ბევრი ინი-

ციციატია სამთავრობო პროექტის ფარგლებში ხორციელდება, რაც ფინანსდება საჯარო ან საჯარო და კერძო ფონდების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ რეგიონის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პირობები ამგვარი ინიციატივის განხორციელების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

**2. ინიციატივის მიზნები.** ისინი 6 ძირითად კატეგორიად შეიძლება დაყვით: კვლევითი ქსელის განვითარება; კერძო ლობი და პოლიტიკურ სექტორთან ურთიერთობა; კომერციული თანამშრომლობა; განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება; ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიების განვითარება, არსებული კლასტერის განვითარება და გაფართოება;

**3. განვითარების პროცესები.** ეს არის კლასტერული ინიციატივის სასიცოცხლო ციკლის სტადიები: ინიციატივა და დაგეგმარება; ინიციატივის მართვა და დაფინანსება; ახალი წევრების მიზიდვის მიზნით კლასტერის წევრებისა და პოლიტიკის მართვა; ინიციატივის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა; საგარეო რესურსების კონსოლიდაცია, რათა ინიციატივამ დამოუკიდებლად გააგრძელოს შემდგომი განვითარება.

ამ სამი გარემოების ურთიერთქმედებით ვითარდება და იხვეწება კლასტერი. კლასტერის ინიცირების მოდელის წარმატება შემდეგი მახვენებლების მიხედვით ფასდება:

- მრეწველობასა და კვლევებს შორის კავშირების სიხშირე და მათი კომპლექსურობა;
- საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება;
- ახალი ტექნოლოგიების განვითარების შედეგად მიღებული ინოვაციების ხარისხი;
- კლასტერის განვითარება ახალი კომპანიების მოზიდვის, წარმოების და ბაზრის გაზრდის თვალსაზრისით.

სოლველის (11, გვ.23) კიდევ ერთი მოდელი ახასიათებს კლასტერს, რომელიც აგებულია ისეთ მონაწილეებზე, რომელთა გადაწყვეტილებები და ქმედებები გავლენას ახდენს კლასტერის განვითარებაზე. ეს მონაწილეებია:

**მთავრობა**, მისი ცენტრალური და ადგილობრივი სტრუქტურების სახით, რომლებსაც შეუძლიათ რეგიონული განვითარების პროექტის ინიცირება, ახალი ინვესტორების მოსაზიდად ფინანსური სტიმულების დაწესება, სტრუქტურებისა და სააგენტოების განსაზღვრა, რომლებიც კლასტერულ ინიციატივებს ან რეგიონული განვითარების პროექტებს უხელმძღვანელებენ.

**ფინანსური სისტემა**, რომელიც წარმოდგენილია ბანკებით, საინვესტიციო კომპანიებით ან სხვა ფინანსური ქსელით. ეს სისტემა უზრუნველყოფს ახალი ბიზნესის შექმნისაკენ ან უკვე არსებულის გაფართოებისაკენ მიმართული სამეწარმეო ინიციატივებისათვის შესაბამის დახმარებას. ამ მიდგომის საილუსტრაციოდ ორი კლასტერის - „სილიკონის ველი“ და „ბოსტონის გზა 128“-ის შედარება გამოგვადგება. როგორც ერთ-ერთ მეცნიერი აღწერს (10, გვ. 109-112), ბანკებისა და ვენჩურული კაპიტალის მიდგომა ამ აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე კლასტერებში განსხვავდებოდა. კერძოდ, დასავლეთის ღია მიდგომებმა, რომელიც რეგიონის არსებული მეწარმეობის კულტურით იყო მოტივირებული, კლასტერის დინამიკურად განვითარებას შეუწყობდა ხელი, რომელმაც წარმატების თვალსაზრისით ბოსტონის კლასტერს მნიშვნელოვნად გაუსწრო.

**განათლებისა და კვლევის სისტემა**, რომელიც შედგება საუნივერსიტეტო ცენტრებისა და კვლევითი ინსტიტუტებისაგან და კვალიფიციური და სპეციალიზებული მუშაკების მომზადების გზით წარმოშობს ან ხელს უწყობს ინოვაციურ პროცესებს. ტექნოლოგიისა და ცოდნის ტრანსფერი მნიშ-

ვენელოვანი ფაქტორია კლასტერის განვითარებისათვის. სილიკონის ველზე საინფორმაციო ტექნოლოგიებში ინოვაციებისა და კვლევების კატალიზატორის როლი სტენფორდის უნივერსიტეტმა შეასრულა, სადაც სტენფორდის კვლევების ინსტიტუტი და სტენფორდის სამრეწველო პარკი ფუქნციონირებდა.

**მცირე და საშუალო საწარმოები, საჯარო და კერძო კომპანიები ან მრავალეროვნული კორპორაციები** ნებისმიერი კლასტერის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია. ამ ელემენტების ევოლუცია და მათ შორის ურთიერთობა კლასტერის განვითარების მოდელს განსაზღვრავს. მათი ზომის, კომპლექსურობისა და წარმოების პროცესის სპეციალიზაციის მიუხედავად, კლასტერის კომპლექსურობა და ზომა ასეთი ფირმების რაოდენობით განისაზღვრება.

**ორგანიზაციები, რომლებიც დახმარებასა და თანამშრომლობაზე არიან ორიენტირებული.** ასეთ ფუნქციას, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციები, სავაჭრო პალატები, დარგობრივი ასოციაციები და სამთავრობო სააგენტოები ასრულებენ. მათი მთავარი საქმიანობა კლასტერული ინიციატივის დაწყება ან უკვე არსებული კლასტერის ხელშეწყობა და დახმარებაა.

**მედიასაშულებებიც** უწყობს ხელს კლასტერის განვითარებას. ხშირად ისინი გამოიყენება ბრენდის შექმნისათვის, რომელიც კლასტერს წარმოადგენს. ამის მაგალითია ოპტიკური ბოჭკოს ველი შვედეთში, ავტო სპორტის ველი ინგლისში, მასალების ველი გერმანიის რაინ-მაინის რეგიონში და ა.შ.

საერთო ანგარიშით, სოლველი მიიჩნევს, რომ კლასტერი ეკონომიკური ფენომენია, რომელზეც გავლენას ახდენს ყველა ეკონომიკური დონე, მათ შორის:

- ადგილობრივი, რომელიც წარმოადგენილია რეგიონუ-

ლი და მიკროეკონომიკური განვითარების პოლიტიკით (აღსანიშნავია, რომ „პორტერის რომბის“ ფაქტორები, ძირითადად, მიკროეკონომიკურ დონეზეა წარმოდგენილი);

- მაკროეკონომიკური დონე წარმოდგენილია გლობალური და ქვეყნის ეკონომიკური გარემოთი;
- ფირმის დონეზე კლასტერის შიგნით ეკონომიკური ურთიერთობებით.

ზემოაღნიშნული მოდელების გაანალიზებით, რომელიც სხვადასხვა მეცნიერის მიერაა აღწერილი და დახასიათებული, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა მოდელი, ასე თუ ისე შეესაბამება პორტერის მიერ აღწერილ „რომბის წესს“ იმ განსხვავებით, რომ პორტერი კლასტერის შიგნით მიმდინარე პროცესების კლასიფიცირებას ოთხი ძირითადი დეტერმინანტის მიხედვით ახდენს, ხოლო ზემოთ მოყვანილი მოდელების ავტორები იგივე პროცესების აღწერისათვის უბრალოდ განსხვავებულ კლასიფიცირებას იყენებენ. სიახლე მხოლოდ კლასტერების სხვადასხვა მოდელის გამოყოფასა და მათ დახასიათებაშია.

აღსანიშნავია, რომ კლასტერის გენერირება მთავრობის მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედებებით ხელოვნურადაც შეიძლება. თუმცა, კლასტერი შეიძლება წარმოიშვას თავისითაც, რომლის მაგალითები ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ ისტორიასა თუ თანამედროვეობაში უხვადაა. კლასტერი შეიძლება განვითარდეს და გახდეს უფრო კომპლექსური. ამაში თავისი როლი შეიძლება მთავრობამაც შეასრულოს ინოვაციური პროცესების ხელშეწყობის გზით, რომელიც თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში კლასტერის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია.

წარმოშობის პირობების, განვითარების დინამიკისა და მოდელების განსხვავებულობის მიუხედავად, ნებისმიერი

კლასტერის ბუნება და სტრუქტურა მოცემულ ქვეყანაში ჩამოყალიბებული პირობებით, ანუ „ეროვნული რომბით“ განისაზღვრება. თუმცა, მას შეიძლება დაემატოს მთავრობის პოლიტიკა და შემთხვევითი, წინასწარგანუჭვრეტელი მოვლენები. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეროვნული თავისებურებები მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავრობას შეუძლია გარკვეული როლის შესრულება, თუმცა, პრაქტიკაში მთავრობის ჩართულობის ხასიათი და მიღებული შედეგი მაინც ქვეყნის „ეროვნულ რომბზე“ იქნება დამოკიდებული.

სოციალური და კულტურული გარემოს, კომპანიების საქმიანობისა და მიზნების თვალსაზრისით ყოველი კლასტერი უნიკალურია. კლასტერების განვითარება ქვეყნისა და ეკონომიკის განვითარების თანხვედნილად მიმდინარეობს. როგორც კეტელსი (2, გვ. 234) აღნიშნავს, „კლასტერი ის ფენომენი არ არის, რომელიც ერთ დამეში ჩნდება ან უჩინარდება“. ასევე, კლასტერები თავისთავად არ წარმოიქმნება იმ შემთხვევით რეგიონში, სადაც თეორიულად მისი წარმოშობისათვის ხელსაყრელი წანამძღვრები არსებობს. როგორც წესი, კლასტერები იქ ვითარდება, სადაც მათი ჩანასახოვანი ფორმა უკვე არსებობს, ანუ სადაც უკვე რამდენიმე კომპანია დაჯგუფდა და მათ შორის შორის თანამშრომლობა ან მეტოქეობა განვითარდა.

ხშირად, კლასტერის განვითარების ინიციატორი ბაზრის რომელიმე მსხვილი მონაწილე ხდება, რომელსაც გარკვეული გავლენა აქვს ბაზარზე და სხვა წევრების მოზიდვაც შეუძლია. თანამედროვე ეტაპზე შემთხვევათა 60%-ში ინიციატორად მთავრობა გვევლინება (12, გვ. 12). ბუნებრივად წარმოშობილ კლასტერებზე დაკვირვების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე მთავრობა სხვადასხვა წამოწყების ინიციატორი ხდება. ასეთი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი პროექტი ან კერძო სექტორის აქტიური

მონაწილეობით ფუნქციონირებადი პროექტი (ტექნოლოგიური პარკი, ბიზნესინკუბატორი და ა.შ.). ევროპული კლასტერული დაკვირვების პროექტის (Europan Cluster Observatory) კვლევები მიუთითებს, რომ მთავრობის ფინანსური კონტრიბუციის კლასტერთა დაახლოებით 54% პროექტი სარგებლობს, ხოლო პროექტთა 25% მთავრობისა და კერძო სექტორის მიერ თანაბრად ფინანსდება (12, გვ. 34).

კლასტერის ინიციატორი კერძო სექტორიც შეიძლება იყოს. ხშირად მრავალეროვნული კომპანიები გამოდიან ინიციატორის როლში, როცა რეგიონში გაფართოებისათვის ხელსაყრელ პირობებს ამჩნევენ (4, გვ. 3).

ყველაზე უფრო წარმატებული კლასტერები ტექნიკურ სფეროებშია: საინფორმაციო ტექნოლოგიები, სამედიცინო მომსახურება, ბიოფარმაკოლოგია, კომუნიკაციები და კონსტრუქცია და ა. შ.

კლასტერები ხშირად იმ რეგიონებში მდებარეობს, რომლებიც ძლიერი კვლევითი ცენტრით არის ცნობილი. ეს ცენტრები მაღალკვალიფიციური მუშა ძალის მომზადების შესაძლებლობას იძლევა ან ინოვაციური პროცესების განვითარებას უწყობს ხელს. შესაბამისად, ის გეოგრაფიული რეგიონები, რომლებიც ცნობილია არიან მსოფლიო დონის უნივერსიტეტებით ან კვლევითი ლაბორატორიებით, მნიშვნელოვანი საბაზისო ფაქტორია კლასტერული ინიციატივისათვის. თუმცა, მსოფლიო ეს ფაქტორი საკმარისი არ არის კლასტერის განვითარებისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია რეგიონის სოციალური მაჩვენებლები და პოლიტიკური სტაბილურობა, ადგილობრივი ადმინისტრაციის ხარისხი და საერთო ეკონომიკური გარემო, რომელიც ინვესტიციების მოზიდვას უნდა უწყობდეს ხელს.

მთავრობის როლი ხშირად იმით განისაზღვრება, თუ რამდენად უწყობს იგი ხელს გეოგრაფიული რეგიონის გან-

ვითარებას. აქ იგულისხმება ინფრასტრუქტურა, განათლება, კვლევები. მკვლევარები გამოყოფენ სამ ძირითად სფეროს, სადაც მთავრობა აქტიურად მონაწილეობს კლასტერების ინიცირების თვალსაზრისით. ეს სფეროებია:

- რეგიონული ან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკა;
- ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა;
- კვლევებისა და ინოვაციების სტიმულირების პოლიტიკა.

როგორც აღვნიშნე, მაიკლ პორტერ თავის ცნობილ მონოგრაფიაში (9, გვ. 170-95) დაწვრილებით აღწერს კლასტერის წარმოშობისა და დაცემის პროცესსა და მიზეზებს. მოგვიანებით, სხვა მკვლევარებმა ეს თემა განავრცეს და კლასტერების განვითარების პროცესს სასიცოცხლო ციკლი მიუსადაგეს, რომელიც სტანდარტულ სტადიებს მოიცავს: დაბადება, ზრდა, შემცირება და გაქრობა.

თანამედროვე ეკონომიკისათვის კლასტერების განუზომელი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბევრი ქვეყნის მთავრობა ცდილობს კლასტერების ინიცირებას ან უკვე არსებული კლასტერების განვითარების ხელშეწყობას სხვადასხვა პროექტის განხორციელების გზით. კლასტერულ მოდელზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარების მოდელი დღეს ბევრი ქვეყნისათვის მიღებული პოლიტიკაა, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხარჯზე მრავალმხრივი შედეგები მოაქვს ქვეყნისათვის. ამავე დროს, როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, კლასტერის წყალობით ისეთი ეკონომიკური გარემო იქმნება, რომელსაც იოლად შეუძლია ეკონომიკური კრიზისების თუ სხვა სახეობის ეკონომიკურ და სოციალურ ტრანსფორმაციებს შეეგუოს და გაუმკლავდეს.

მიუხედავად იმისა, რომ კლასტერების მოდელების ანა-



ლიზი აშკარად მიუთითებს მათ უპირატესობებზე, ფაქტორების ურთიერთდაკავშირებულობასა და მათ კეთილსასურველ ზეგავლენაზე, ეკონომიკურ თეორიას არ ძალუძს ისეთი უნივერსალური მოდელის შემოთავაზება, რომელიც წარმატებული კლასტერის განხორციელების პროცესის ანალიზისა და განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ამრიგად, კვლევები ამ მიმართულებით კვლავ გრძელდება, ხოლო კლასტერების შექმნის პრაქტიკა თეორიული მოდელების მართებულობის ანალიზის წყაროს ქმნის.

### **The Role of Clusters in Rising the Global Competitiveness of the Country**

**E. Sepashvili**

Despite the economic globalization and functioning of multinational corporations, world space unification, competitive advantages of different firms in international markets rest on national characteristics. Thus, creation of national competitive model is becoming the most significant factor for strategic development of any national economic model. According to one of the distinguished theories, named “Theory of Cluster Development”, economic effectiveness is encouraged by cluster development that boost those factors, features and elements which most positively contribute country’s welfare. Special attention is paid to the clusters which boost innovations and their development as the mean of rising the efficiency of resource and hence, has direct impact on global competitiveness of the country.

Each country has its own approach to cluster development strategy. Different experience proves that cluster approach is the foundation for dialogue between producers and the states. The clusters significantly increase efficiency of relations among private sector, government, trade

unions, scientific and education institutions.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Etzkowitz H. (2002) , the Triple Helix of University-Industry-Government : Implications for policy and Evaluation, Working Paper 2002: 11, Science Policy Institute;
2. Ketels Ch. ( 2003) The Development of the cluster concept – present experiences and further developments, NRW conference on clusters, Duisburg, Germany;
3. Krugman, Paul. 1991. History and industry location: the case of the manufacturing belt. The American Economic Review, 81(2): 80-83;
4. Leleur r. 2009, Cluster diversification – A study of innovation processes in the Bangalore IT cluster, Copenhagen Business School;
5. Malmberg A., Solvell O., Zander I, (1996) Spatial Clustering, Local Accumulation of Knowledge and Firm Competitiveness. Geografiska Annaler, Series B. Vol. 78B (2): 85-97;
6. Markuzen A.(1996). Sticky places in slippy space: a typology of industrial districts, Economic Geography 72, 293-313;
7. Marshal A. (1890) principles of Economics, London: Macmillan;
8. Porter M., (1998) Clusters and the new economics of competition, Harvard Business Review, 76 (6) pp. 77-90;
9. Porter M., Competitive Advantages of Nations, N.Y1990;
10. Saxenian, A. (1996), Regional Advantage: Culture and Competition in Silicon Valley and Route 128, Harvard University Press ;
11. Solvell O (2008), Clusters, Balancing Evolutionary and constructive Forces, Ivory Tower Publisher, Stockholm, ISBN 978-91-974783-3-5;
12. Solvell O. (2003) the Cluster Initiative Greenbook, Stockholm.



*გიორგი ხიშტროვანი*

*ბრემენის უნივერსიტეტის დოქტორანტი*

საქართველოს ჯანდაცვის სექტორში 2006 წლიდან ფართომასშტაბიანი რეფორმა ხორციელდება. მიმდინარე რეფორმის არსებითი სიახლეა მასში სადაზღვევო სექტორის აქტიური მონაწილეობა. სადაზღვევო კომპანიები ჩართული იყვნენ როგორც სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში, ასევე პოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში. 2013 წლის თებერვლიდან საქართველოს ახალმა მთავრობამ, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ სახით, უნივერსალურ ჯანდაცვის სისტემაზე გადასვლის პროცესის ე.წ. პირველი ეტაპი დაიწყო. 2015 წლიდან ახალი პროგრამის მართვას სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიების ჩარევის გარეშე, სოციალური მომსახურების სააგენტოს საშუალებით აპირებს [1]. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ 2013 წელს ინიცირებული ჯანდაცვის ახალი პოლიტიკის ფინანსური შედეგების პროგნოზირება და შედეგად, მისი სავარაუდოდ გავლენის დადგენა სადაზღვევო კომპანიების გრძელვადიან ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კვლევა ჩატარდა ე.წ. „Case Study“-ს მეთოდის გამოყენებით. კვლევის ფარგლებ-

ში, 2006-2012 წლების რეფორმის ბენეფიციარის, „ალდაგი-ბისია“-ს მაგალითზე განხორციელდა იმის პროგნოზი, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს რეფორმაში აქტიურად მონაწილე სადაზღვევო სექტორზე, ქართულ სპეციფიკურ ინსტიტუციურ გარემოში 2012 წელს მთავრობის ცვლილების შემდეგ დაგეგმილმა სახელმწიფო დაზღვევის ახალმა პროგრამამ. სახელმწიფო დაზღვევის მოდელის ცვლილების გავლენის დადგენა, „ალდაგი-ბისია“-ს ეკონომიკური ღირებულების განვითარების დინამიკის გაანგარიშების საშუალებით განხორციელდა. „ალდაგი-ბისია“-ს ეკონომიკური ღირებულების გაანგარიშებისათვის, გამოყენებულია ე.წ. „Residual Income Model“-ი (RIM).

როგორც აღინიშნა, საქართველოს მთავრობამ 2006-2012 წლებში ჯანდაცვის სექტორის ფართომასშტაბიანი რეფორმა განახორციელა, რომლის მიზანი იყო ჯანდაცვის სფეროს მაქსიმალური ლიბერალიზება, სახელმწიფო ქონების პრივატიზება და სოციალური დაცვის გაძლიერება [2,3,4,5]. გატარებული რეფორმის არსებითი სიახლე მასში სადაზღვევო სექტორის აქტიური მონაწილეობაა (იხილეთ ილუსტრაცია, გვ. 119). სადაზღვევო კომპანიები ჩართული იყვნენ როგორც სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში, ასევე ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში (შემდგომში - „პროექტი“) [5]. ასე, მაგალითად, 2006 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო ე.წ. „სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომში - „პროგრამა“), რომელიც, პირველ რიგში, ქვეყნის უმწვეო მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად [3,5]. 2012 წელს პროგრამა გაფართოვდა და სამედიცინო დაზღვევა უკვე საპენსიო ასაკში მყოფ ქვეყნის მოსახლეობაზე,


სტუდენტებსა და 6 წლამდე ასაკის ბავშვებზე გავრცელდა [6]. საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში ქვეყანაში თითქმის 1.7 მლნ ადამიანის, ანუ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 30%-ის დაზღვევა მოხდა [6,7]. პროგრამის ერთპიროვნულ მართვას 2008 წლიდან სადაზღვევო კომპანიები ახორციელებდნენ. ამავდროულად, 2006 წლიდან, სახელმწიფოს მხრიდან დაიწყო ქვეყნის ჰოსპიტალური სექტორის განვითარების მცდელობა. პროექტის ძირითად მახასიათებელს მთლიანი სექტორის პრივატიზების გეგმა წარმოადგენდა. იგეგმებოდა ჰოსპიტალურ სექტორში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული თითქმის მთლიანი უძრავი და მოძრავი ქონების კერძო ინვესტორისათვის უსასყიდლოდ გადაცემა, რომელიც არსებული ჰოსპიტალების გარემონტებასა და ახალი ჰოსპიტალების აშენების ვალდებულებას აიღებდა საკუთარ თავზე [8,9]. 2007-2012 წლებში ეს გეგმა ნაწილობრივ განხორციელდა, რის შედეგადაც კერძო მესაკუთრების მიერ, 2012 წლის მდგომარეობით, 87 საავადმყოფო იქნა რეაბილიტირებული ან ახლადაშენებული, ხოლო 2013 წლის ბოლომდე, საერთო ჯამში, 150-მდე საავადმყოფოს რეაბილიტირება ან ახლად აშენება იქნა დაგეგმილი [2,8]. ამ შემთხვევაშიც, ყურადღება უნდა გამახვილდეს პროექტში სადაზღვევო კომპანიების განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობაზე, რაც უპირველეს ყოვლისა, 2010 წელს ერთ ინვესტორზე მთლიანი ქონების გასხვისების გეგმის ჩავარდნითა და შედეგად, მთავრობის მხრიდან პროგრამისა და პროექტის ერთმანეთთან მიბმით აიხსნება [5,10,11]. მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მხრიდან პროგრამაში მონაწილეობის პირობად ქვეყნის მასშტაბით საავადმყოფოების შექმნა-გარემონტება ან/და ახალი საავადმყოფოების აშენება განისაზღვრა, 2012 წლის მდგომარეობით,

სადაზღვევო კომპანიების მიერ აშენდა 49 ახალი საავადმყოფო და საავადმყოფოების მთლიანი რაოდენობის თითქმის 42% მათ საკუთრებაში აღმოჩნდა [12,8]; ტენდენცია მზარდი იყო, რადგან 2012 წელს სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის გაფართოების შემდეგ, სადაზღვევო კომპანიებმა დამატებით 13 ახალი საავადმყოფოს აშენების ვალდებულება აიღეს [6].

სიტუაცია საქართველოს ჯანდაცვის სექტორში შეიცვალა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ახალმა მმართველმა გუნდმა არსებული სახელმწიფო დაზღვევის მოდელი გრძელვადიან პერსპექტივაში არაეფექტიანად ჩათვალა და ახალი, ფართომასშტაბიანი რეფორმის მომზადებას შეუდგა. 2013 წლის თებერვლიდან საქართველომ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ სახით, უნივერსალურ ჯანდაცვის სისტემაზე გადასვლის პროცესის ე.წ. პირველი ეტაპი დაიწყო [13], რომლის ფარგლებშიც, ამავდროულად წლის ივლისიდან, საქართველოს ყველა იმ მოქალაქის მინიმალური პაკეტით დაზღვევა მოხდა, რომელიც მანამდე არ იყო დაზღვეული. ახალ პროგრამას სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიების ჩარევის გარეშე, სოციალური მომსახურების სააგენტოს საშუალებით ახორციელებს. შედეგად, დღეის მდგომარეობით, საქართველოს თითოეული მოქალაქე სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო პაკეტით არის აღჭურვილი; ხოლო არსებული მდგომარეობის განსაკუთრებულობა ისაა, რომ სახელმწიფო პროგრამების მართვა ერთდროულად სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ინსტიტუტის მხრიდან ხორციელდება.

2014 წლის განმავლობაში, საქართველო მთლიანად საყოველთაო უნივერსალური ჯანდაცვის სისტემაზე გადასვლას გეგმავს, რაც „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდება

[13]. შედეგად, ამ პროგრამის დაფინანსებასა და მართვას მთლიანად სახელმწიფო აიღებს საკუთარ თავზე [1]. ამ პროცესის პარალელურად, 2014 წლის აპრილის შემდეგ, კერძო სადაზღვევო სექტორის სახელმწიფო პროგრამებიდან საბოლოო ამოვარდნა იგეგმება [14]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არაუგვიანეს 2015 წლიდან, სახელმწიფო სრულიად უზრუნველყოფს მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო სადაზღვევო კომპანიები საკუთარ სააგადმყოფოებში სახელმწიფოს მიერ დაზღვეული მოქალაქეების მომსახურებით შემოიფარგლებიან.



კვლევის ძირითად ნაწილზე გადასვლამდე, აუცილებლად მიმანია 2012 წლის მდგომარეობით, სადაზღვევო სექტორში სახელმწიფოს მონაწილეობის, სექტორისათვის

**ბიორგი სიმბოვანი**

სამედიცინო დაზღვევის მნიშვნელობის და მთლიანად სექტორისა და სახელმწიფო პროგრამებში ჩართული კერძო მოთამაშეების ფინანსური მაჩვენებლების განვითარების დინამიკის წარმოდგენა (იხ. ცხრილი 1, 2, 3, 4).

სახელმწიფო სადაზღვევო ბაზარი

(ცხრილი 1)

სახელმწიფოს წილი სადაზღვევო ინდუსტრიაში <sup>1</sup>			
2009	2010	2011	2012
50,28%	57,24%	51,53%	46,23%
სამედიცინო დაზღვევის წილი სადაზღვევო ინდუსტრიაში			
2009	2010	2011	2012
77,76%	79,32%	77,51%	79,77%
სახელმწიფოს წილი სამედიცინო დაზღვევის სექტორში			
2009	2010	2011	2012
64,66%	72,17%	66,48%	57,96%

საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ 2006-2012 წლებში საქართველოში განხორციელებული რეფორმის მოდელი, მომგებიანი მხოლოდ იმ დროისათვის პოლიტიკურად დაკავშირებული კომპანიებისათვის აღმოჩნდა [15]. 2012 წელს დაზღვევის მთლიანი სექტორისა და ბაზრის ცალკეული მონაწილის ფინანსური მაჩვენებლების განვითარების დინამიკა ადასტურებს აღნიშნულის მართებულობას. ასე, მაგალითად, მთლიანმა სექტორმა 2012 წელიც უარყოფითი შედეგით დაასრულა. რაც შეეხება ცალკეულ კომპანიებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „იმედი-ლ“-ის ლიკვიდაცია,

<sup>1</sup> უფრო შესაფერისი მონაცემების წარმოდგენის მიზნით, წინა კვლევისაგან [15] (ხიშტოვანი/პირველი, 2012) განსხვავებით, წინამდებარე კვლევაში კოეფიციენტების ახლებურად გაანგარიშება მოხდა.



ინდუტრის ძირითადი ფინანსური მახეჩეებლები (მილიონ ლარში) ცხრილი 2

		ცვლადები										
		წმინდა მოგება			ამონაგები აქციეებზე (ROA) <sup>1</sup>							
ინდ.		2008	2009	2010	2011	2012	2008	2009	2010	2011	2012	
		-8408	17863	33951	-22361	-7293	-	6.14%	8.71%	-4.70%	-2.89%	
		გამომეშეებული პრემია										
ინდ.		2008	2009	2010	2011	2012	2008	2009	2010	2011	2012	
		-	264074	293697	264678	331729	-24%	41%	46%	-24%	-7%	

წყარო: საქართველოს კრფეჩეული ბანკი (სეპ) აღღაგე-ბისიაი-ს ძირითადი ფინანსური მახეჩეებლები (მილიონ ლარში) ცხრილი 3

		ცვლადები										
		წმინდა მოგება <sup>3</sup>			ამონაგები აქციეებზე <sup>4</sup>							
BCI		2008	2009	2010	2011	2012	2008	2009	2010	2011	2012	
		-6271	4155	4967	6114	13090	-8,67%	5.47%	6.46%	5.41%	6,77%	
		გამომეშეებული პრემია										
BCI		2008	2009	2010	2011	2012 <sup>5</sup>	2008	2009	2010	2011	2012	
		-	50040	49389	51123	108462	-42%	28%	27%	26%	26%	

<sup>1</sup> როტორც ROA-ს, ასევე ROE-ს მონაცემი სტატის აგეორის მიერ არის გათოელოდი.  
<sup>2</sup> განსხვებებით წინა კვლევისგან [15], ცვლადის გაანგარიშების დრის პერიოდის წმინდა მოგებას კრფეჩეული წინა და ახლანდელი პერიოდის გასაშუალოებულ საკუთარ კაბიტალს გამოკლებული წლის სხვა სრული შემოსეული (OCI) [16, გვ. 1146-1148].  
<sup>3</sup> კონცერნის წმინდა მოგებას გამოკლებული არასაკონტროლო პაკეტის შესაკუთრეთა წილი.  
<sup>4</sup> ამ შემთხვევაში, მოხეება მილიანი კონცერნის წმინდა მოგებას შეეგრძელება მისი წინა და ახლანდელი პერიოდის გასაშუალოებულ მილიონ აქციეებზე.  
<sup>5</sup> „აღღაგე-ბისიაი“-ს და „ომედი-ლ“-ის ერთად გამოემეშეებულნი ნეტო პრემია.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (მლნ ლარში) ცხრილი 4

Firms	ცვლადები											
	წმინდა მოგება						ამონაგები აქტივებზე					
	2008	2009	2010	2011	2012	2008	2009	2010	2011	2012		
GPI	2540	6374	11290	1720	5491 <sup>1</sup>	7,96%	13,29%	15,65%	1,16%	6,21%		
Imedi-L	160	3406	1624	-3534	-	0,53%	6,43%	2,20%	-3,74%	-		
IRAO	-	1964	-2837	-1370	1797	9,55%	5,37%	-6,26%	-2,88%	3,44%		
ALP-HA	-	210	2184	-19056	-	-	11,73%	16,78%	-60,9%	-		
ARC	-	-18	1595	2917	-	-113%	-0,16%	11,20%	20,56%	-		
Firms	ამონაგები კაპიტალზე											
	2008	2009	2010	2011	2012	2008	2009	2010	2011	2012		
GPI	-	49229	52790	46631	58791	176,7%	89,98%	84,66%	10,69%	28,2%		
Imedi-L	-	51877	59888	50096	-	3,38%	40,74%	14,27%	-37,6%	-		
IRAO	-	34349	34833	22148	29924	103,3%	41,60%	-67,9%	-70,4%	40,3%		
ALP-HA	-	617	18042	37427	35937	-	17,82%	68,99%	-536,5%	-		
ARC	-	8752	9506	8417	31937	-315,9%	-0,73%	44,08%	76,65%	-		

წყარო: სეპ, საფაზვეკო კომპანიების ფინანსური ანგარიშები

1 მნიშვნელოვან სიახლეს აკრიპია-პოლიტიკა-სა და „ირაო“-ს 2012 წლის ფინანსური ანგარიშების შექმნაში წარმოადგენს ის გარემოება, რომ კომპანებმა წაგვლია წინა წლებში წარმოადგენი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის, 2012 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშში მოამზადეს; ხოლო მთლიანი საინვესტიციო კონცეფცია (ძირითადად, წარმადეობით) სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში აშენებული საავტომობილოების სახით) განხორციელდა იქნა საკუთარ მფლობელ კომპანია, მას აკრიპია-პოლიტიკა-ს (სმ კომპანიაში) აკრიპია-პოლიტიკა-ს 65%-იანი და „ირაო“-ს 35%-იანი წილის მფლობელები არიან). შეიძლება ვთქვათ, რომ 2012 წლის ინდივიდუალური ანგარიშის მონაცემები არ ასახავს მთლიანი „კონცერნი“-ს (აკრიპია-პოლიტიკა და ძირითადად მის საკუთრებაში მყოფი მფლობელი კომპანია აკრიპია-პოლიტიკა-ს) „ირაო“-სა და წარმადეობის საკუთრებაში მყოფი მფლობელი კომპანია აკრიპია-პოლიტიკა-ს) რეალურ ფინანსურ მდგომარეობას (ამ-ვარიანტად, ანუ ითი არ გულისხმობს, რომ აუ-დიტორებზე ინდივიდუალური ანგარიში არ არსაზე ცალკეული საფაზვეკო კომპანიის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას).

„ალფა“-ს მხრიდან სახელმწიფო პროგრამის ნებაყოფლობით დატოვება და „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“-ში 2013 წლის აგვისტოს დროებითი მმართველის შესვლა, ხოლო 2013 დეკემბერს ამ კომპანიის გაკოტრების საქმის დაწყება, ჯანდაცვის რეფორმის ირიბ შედეგს წარმოადგენს [17].

„აღდაგი-ბისიას“ შეფასების მაგალითზე, ჩემ მიერ მომზადებული კვლევა მიზნად ისახავს 2013 წელს მოდიფიცირებული ჯანდაცვის რეფორმის შედეგების პროგნოზირებას, მასში ყველაზე აქტიურად მონაწილე კომპანიის ეკონომიკური ღირებულების განვითარების დინამიკის შეფასების გზით. კომპანიის შეფასების პროცესზე გადასვლამდე, აუცილებლად მიმაჩნია იმ ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება, რომლებიც გასათვალისწინებელია სადაზღვევო კომპანიების შეფასების დროს. არსებობს მრავალი მიზეზი, თუ რატომ უნდა მივუდგეთ სადაზღვევო კომპანიების შეფასებას ინდივიდუალურად და მათ შორის:

- სადაზღვევო კომპანიების შემთხვევაში, ბალანსის სპეციფიკური ხასიათი. როგორც წესი, ბალანსში საინვესტიციო ქონებისა და (სადაზღვევო) რეზერვების პროცენტული მაჩვენებლები მაღალია [18, გვ. 453; 19, გვ. 141; 20, გვ. 2-9];

- მარგულირებლის სპეციფიკური მოთხოვნები, რაც გავლენას ახდენს შეფასების პროცესსა და, შედეგად, საწარმოს ღირებულებაზე (მაგალითად, საკუთარი კაპიტალის მინიმალურ ოდენობასა და სადაზღვევო რეზერვების მაჩვენებლებთან დაკავშირებული შეზღუდვები);

- ზოგადად, სადაზღვევო კომპანიების ე.წ. „Entity-Approach“-ის [21] საშუალებით შეფასების დროს ვაწყდებით სირთულეს, რაც ასეთი კომპანიების სასესხო კაპიტალის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარეობს და საბოლოოდ, მის შეფასებას თითქმის შეუძლებელს ხდის [18, გვ. 454; 19, გვ. 143; 20, გვ. 14]. მსჯელობაა სადაზღვევო რეზერვების სხვადასხვა ტიპზე, რომელთა შეფასების დროს სხვადასხვა მანქვენებლის გამოყენების აუცილებლობის წინაშე ვდგებით;

- საწარმოს ეკონომიკური ღირებულების შეფასებისათვის აუცილებელი ზოგიერთი ფინანსური ცვლადის (მაგალითად, საწარმოს „Free-Cash-Flow“) გაანგარიშების და პროგნოზირების სირთულე. განსაკუთრებით, როდესაც მსჯელობაა საწარმოს „capital expenditure“-სა და „working capital“-ის გაანგარიშებაზე [22,20]. შედეგად, შეუძლებელი ხდება „Free-Cash-Flow“-ზე დაფუძნებული მეთოდების, როგორცაა, მაგალითად, „Discounted-Cash-Flow“-ს [21, გვ. 64-77] მოდელი, გამოყენება.

ზემოთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, ავტორების ნაწილი, სადაზღვევო კომპანიების შემთხვევაში უპირატესობას ფინანსურ ანგარიშგებაზე დაფუძნებულ ე.წ. „RIM“-ს ანიჭებს [22,20]. სტატიაში „აღდაგი-ბისიაი“-ს ეკონომიკური ღირებულების დადგენა ამ მოდელის საშუალებით მოხდა.

კვლევის პირველ ეტაპზე დეტალურად იქნება წარმოდგენილი შეფასების მეთოდი. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია „RIM“-ის [23,24,21,25,26] Claus/Thomas-ის (2001) მოდიფიცირებული ორფაზიანი ვარიანტი.

Claus/Thomas-ის RIM-ის ორფაზიანი ვარიანტი [24]

საბაზისო მოდელი:

$$IV_0 = BE_0 + \sum_{t=1}^{\infty} \frac{RI_t}{(1+r_{BE})^t} + \frac{RI_{T+(1+g)}}{(1+r_{BE})^T(r_{BE}-g)}$$

აქედან ვიღებთ:  $IV_0 = BE_0 + \sum_{t=1}^{\infty} \frac{NI_t - (r_{BE} * BE_{t-1})}{(1+r_{BE})^t} + \frac{(NI_T - (BE_{T-1} * r_{BE}))(1+g)}{(1+r_{BE})^T(r_{BE}-g)}$

სადაც:

$$IV_0 = BE_0 + \sum_{t=1}^{\infty} \frac{(r_{REN,t} - r_{BE})}{(1+r_{BE})^t} BE_{t-1} + \frac{(r_{REN,T} - r_{BE})(1+g)}{(1+r_{BE})^T(r_{BE}-g)} BE_{T-1}$$

სადაც:

„IV“ - საწარმოს ეკონომიკური ღირებულება;

„BE“ - საკუთარი კაპიტალის ოდენობა;

„RI“ - ნარჩენი ღირებულება (Residual Income);

„r<sub>BE</sub>“ - საკუთარი კაპიტალის ღირებულება;

„r<sub>REN</sub>“ - საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთი;

„NI“ - წმინდა მოგება;

„g“ - ზრდის გრძელვადიანი ტემპი.

მოდიფიცირებული მოდელის ფარგლებში, შეფასების პირველ ფაზაში ხდება ე.წ. „საპროგნოზო პერიოდის“ (შეფასების პერიოდის მომდევნო სამი პერიოდის) „Residual Income“-ის „present value“-ს გაანგარიშება; ხოლო, შეფასების მეორე ფაზაში - საწარმოს შეფასებისას ე.წ. „უსასრულო პროგრესული ღირებულების“ („continuing value“) გამოთვლა.

„უსასრულო პროგრესიული ღირებულების“ („continuing value“) გამოთვლა შემდგენიარად ხორციელდება:

$$\frac{RI_T \cdot (1+g)}{(1 + r_{BE})^T (r_{BE}-g)}$$

სადაც:

$r_{BE}$  – საწყისი პერიოდის (base year;  $t_0$ ) საკუთარი კაპიტალის ღირებულება;

$RI_T$  –  $t_{t+3}$ -ი პერიოდის „Residual Income“-ი;

$g$  – გრძელვადიანი ზრდის ტემპი (პროგნოზი).

კვლევის მეორე ეტაპზე განიხილება სიტუაციის განვითარების ორი სხვადასხვა სცენარი. პირველი სცენარის მიხედვით, 2015 წლიდან სადაზღვევო კომპანიები აღარ იქნებიან ჩართული სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებში, ხოლო მეორე სცენარის მიხედვით, შენარჩუნებული იქნება 2012 წლის თებერვლისთვის არსებული მდგომარეობა. საბოლოოდ, სცენარების მიხედვით ხდება შეფასებისათვის აუცილებელი მონაცემების გამოთვლა და პროგნოზირება (იხილეთ: ცხრილი 5).

**სცენარი № 1:**

მონაცემები აღნიშნული სცენარების მიხედვით  
(საკუთარი გამოთვლები)

ცხრილი 5

	სცენარი №1 (2013 წლიდან)	სცენარი № 2
საკუთარი კაპიტალის ღირებულების პროგნოზი	19,65%	19,65%
საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის განაკვეთის პროგნოზი	13,50% (2015 წლიდან)	27,00%
ზრდის ტემპი (პროგნოზი)	-50,00% (2015 წლიდან)	6,35%
გაცემული დივიდენდები	0	0

• კომპანიის საკუთარი კაპიტალის ღირებულების პროგნოზად აღებულია მისი ღირებულების 2007-2012 წლების საშუალო წლიური მონაცემი. საკუთარი კაპიტალის ღირებულების დადგენისათვის გამოყენებულია კომპანიის მიერ გუდვილის გაუფასურების ტესტისათვის გამოყენებული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) მონაცემი. შემდგომ ეტაპზე, ამ მონაცემისა და საწარმოს საკუთარი და სასესხო კაპიტალის საშუალებით გაანგარიშებული იქნა საწარმოს ყოველწლიური საკუთარი კაპიტალის ღირებულება. ის, თუ რამდენად მიზანშეწონილია ქართული კომპანიის მხრიდან კაპიტალის ღირებულების გაანგარიშება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) მეთოდის საშუალებით, სტატიის კვლევის საგანს არ წარმოადგენს.

• საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის განაკვეთის პროგნოზად, 2015 წლიდან აღებულია კომპანიის საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის 2009-2012 წლის საშუალო წლიური მონაცემის ნახევარი. Claus/Thomas-ის (2001) ორფაზიანი მოდელის შემთხვევაში, საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის განაკვეთის პროგნოზად აღებულია ფინანსური ანალიტიკების გრძელვადიანი პროგნოზების მაჩვენებელი. ჩემი პროგნოზებით, არაუგვიანეს 2015 წლიდან, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მთლიანად აიღებს თავის თავზე „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მართვას, სადაზღვევო კომპანიების მთლიანი შემოსავლების მოცულობა მინიმუმ 50%-ით შემცირდება, რაც თავის მხრივ, „აღდაგი-ბისია“-ს საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის განაკვეთის მინიმუმ განახევრებას გამოიწვევს. 2012 წელს, ჯანმრთელობის დაზღვევიდან გამომჟღავნებული

## **ბიორგი სიმპოზიონი**

---

პრემია „აღდაგი-ბისიაი“-ს მთლიანი გამომუშავებული პრემიის 71,9%-ს შეადგენდა. ამასთანავე, სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული შემოსავალი, „აღდაგი-ბისიაი“-ს მთლიანი გამომუშავებული პრემიის დაახლოებით 31,8%-ს, ხოლო ჯანმრთელობის დაზღვევიდან გამომუშავებული პრემიის დაახლოებით 44,2%-ს შეადგენს. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ მას მერე, რაც სახელმწიფო 2013 წლის ივლისის შემდეგ მოსახლეობას უფასო ბაზისური პაკეტით დააზღვევს, ინდივიდუალური პოლისით დაზღვეული მოქალაქეების უმრავლესობა, არჩევანს სავარაუდოდ სახელმწიფო პროგრამაზე გააკეთებს და გაწვევტს ურთიერთობას კერძო სადაზღვევო კომპანიასთან. რა თქმა უნდა, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც ქვეყანა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სისტემზე გადავა და სადაზღვევო კომპანიები აღარ იქნებიან სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებში ჩართული, მათ საკუთრებაში არსებული საავადმყოფოების შემოსავლები შეიძლება, გაიზარდოს. ყველა ზემოთ ხსენებული ფაქტორის გათვალისწინებით, ჩემი გამოთვლებით, „აღდაგი-ბისიაი“-ს შემოსავლები 2015 წლიდან, სულ მცირე, 50%-ით შემცირდება, რაც საბოლოო ჯამში, „აღდაგი-ბისიაი“-ს საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის განაკვეთის როგორც მინიმუმ განახევრებას გამოიწვევს.

- ზრდის ტემპის პროგნოზად აღებულია სექტორის გრძელვადიანი ზრდის უარყოფითი მაჩვენებელი, გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წლიდან სახელმწიფო გეგმავს სადაზღვევო კომპანიების ჩამოშორებას სახელმწიფო პროგრამიდან. 2012 წლის მონაცემებით სახელმწიფოს წილი სადაზღვევო სექტორში თითქმის 47%-ს შეადგენს.

- აგრეთვე, გაკეთებულია დაშვება, რომ „აღდაგი-



ბისიაი“, წინა წლების მსგავსად, მომავალშიც თავს შეიკავებს დივიდენდების გაცემის პოლიტიკისაგან;

- გამომდინარე იქიდან, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში კომპანიის საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის განაკვეთის შემცირებაა მოსალოდნელი, 2013 წლის შემდეგ კომპანიის საკუთარი კაპიტალი აღარ გაიზრდება ე.წ. „additional paid-in capital“-ის საშუალებით.

**სცენარი № 2:**

- კომპანიის საკუთარი კაპიტალის ღირებულების პროგნოზად აღებულია მისი 2007-2012 წლების საშუალო წლიური მონაცემი;

- კომპანიის საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის განაკვეთის პროგნოზად აღებულია მისი მომგებიანობის 2009-2012 წლის საშუალო წლიური მონაცემი;

- ზრდის ტემპის პროგნოზად აღებულია საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის 2003-2013 წლის (2013 წლის პროგნოზი) გასაშუალოებული ზრდის ტემპი. Claus/Thomas-ის (2001) ორფაზიანი მოდელის შემთხვევაში, ზრდის ტემპის პროგნოზად აღებულია ფინანსურ ბაზარზე მომგებიანობის ურისკო განაკვეთს გამოკლებული 3%.

- დაშვება დივიდენდების გაუცემლობასთან დაკავშირებით არ შეიცვლება;

- გამომდინარე იქიდან, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში კომპანიის საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის განაკვეთის შემცირებაა მოსალოდნელი, 2013 წლის შემდეგ კომპანიის საკუთარი კაპიტალი აღარ გაიზრდება ე.წ. „additional paid-in capital“-ის საშუალებით.

სახელმწიფოს მხრიდან ჯანდაცვის პოლიტიკის მოდ-იფიცირების გადაწყვეტილებამ (სცენარი №1) სადაზღვევო სექტორის ყველაზე დიდი მოთამაშის - „აღდაგი-ბისიაი“-ს


**ბიორგი სიზროვნო**

„RIM“-ით გაანგარიშებული ეკონომიკური ღირებულება 2013 წელს თითქმის 35%-ით შემცირა და აღნიშნული მაჩვენებელი კომპანიის საკუთარი კაპიტალის მოცულობაზე დაბლა ჩამოიყვანა (84,3 მლნ ლარი); ეს მაშინ, როდესაც არსებული მდგომარეობის შენარჩუნების პირობებში (სცენარი №2), „აღდაგი-ბისიაი“-ს ეკონომიკური ღირებულება 2013 წელს თითქმის 35 მილიონი ლარით უნდა გაზრდილიყო და 157,5 მლნ ლარი შეეღებინა.


„აღდაგი-ბისიაის“ ეკონომიკური ღირებულება სცენარების მიხედვით (მლნ ლარი)

ცხრილი 6

2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
„აღდაგი-ბისიაი“-ს ეკონომიკური ღირებულება – სცენარი № 1									
0,741	17,605	17,668	21,301	42,783	68,907	122,899	84,424	95,821	108,757
„აღდაგი-ბისიაი“-ს ეკონომიკური ღირებულება – სცენარი № 2									
0,741	17,605	17,668	21,301	42,783	68,907	122,899	157,523	204,311	259,475
„აღდაგი-ბისიაი“-ს ეკონომიკურ ღირებულებას გამოკლებული მისი საკუთარი კაპიტალი – სცენარი № 1									
-3,645	0,175	5,217	5,389	22,071	42,081	50,483	-7,545	-20,979	-23,811
„აღდაგი-ბისიაი“-ს ეკონომიკურ ღირებულებას გამოკლებული მისი საკუთარი კაპიტალი – სცენარი № 2									
-3,645	0,175	5,217	5,389	22,071	42,081	50,483	65,554	87,512	111,140



“აღღაგი-ბისიაი“-ს ეკონომიკური ღირებულება –  
სცენარი №1 და №2



“აღღაგი-ბისიაი“-ს ეკონომიკურ ღირებულებას გამოკლებული  
საკუთარი კაპიტალი – სცენარი №1 და №2

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავ-  
ასკვნათ, რომ:

1. სექტორის ფინანსურად ყველაზე ძლიერი მოთამაშის  
ეკონომიკური ღირებულების კლებამ (2013 წლის მდგომარე-  
ობით, „აღღაგი-ბისიაი“-ს საკუთარი კაპიტალის ღირებულე-  
ბა, წინა წელთან შედარებით, თითქმის 35%-ით შემცირდა)  
აშკარა გახადა, თუ რა ფინანსური სირთულეების წინაშე

შეიძლება აღმოჩნდნენ ბაზრის დანარჩენი მოთამაშეები (განსაკუთრებით, ის სადაზღვევო კომპანიები, რომელთა სადაზღვევო პორტფელი თითქმის მთლიანად ჯანმრთელობის დაზღვევისგან შედგება - „აღფა“, „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“, „აი სი ჯგუფი“);

2. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის ფარგლებში, თითქმის ყველა სადაზღვევო კომპანიას მრავალი მცირე ზომის საავადმყოფო და ამავდროულად, საბანკო სექტორის წინაშე მაღალი სასესხო ვალდებულებები დაუგროვდა, მოსალოდნელია, სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე რამდენიმე სადაზღვევო კომპანიას გაკოტრების საფრთხე დაემუქროს (მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ეროვნული ბანკის 2012 წლის მონაცემებით, მთლიან სექტორს, განსხვავებით „აღდაგი-ბისიაი“-საგან, ზედიზედ მეორე წელია უარყოფითი ფინანსური მაჩვენებლები (წმინდა მოგება, ამონაგები კაპიტალზე, ამონაგები აქტივებზე უფიქსირდება); შედეგად, სადაზღვევო კომპანიებს ჰოსპიტალური სექტორის დატოვება მოუწევთ, რაც სახელმწიფოს, დიდი ალბათობით, ჰოსპიტალური სექტორის რენაცინალიზების აუცილებლობის წინაშე დააყენებს. მსგავსი ნიშნები უკვე სახეზეა. ასე, მაგალითად, უკვე არსებობს ხელისუფლების მზაობა №165-ე დადგენილების პირობების გადახედვის შესახებ, რომელშიც სადაზღვევო კომპანიების მიერ ახალი საავადმყოფოების მშენებლობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ვალდებულებებია მოქცეული [27]; კერძოდ, მსჯელობაა ე.წ. ფინანსურ მორატორიუმზე, რომლის ფარგლებშიც სადაზღვევო კომპანიებს საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებისათვის დამატებითი დრო მიეცემათ და ამ პერიოდში მათ

მიმართ არ ამოქმედდება ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები [28]. აგრეთვე განიხილება მცირე ზომის საავადმყოფოების მუნიციპალიტეტების მიერ მართვის ვარიანტი [27]; ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო დაიწეებს სადაზღვევო სექტორის მიერ ახლადამენებული/გარემონტებული საავადმყოფოების “გამოსყიდვას”/უკან დაბრუნებას. სავარაუდოდ, მოხდება სხვა დაწესებულებებსა ან საკუთარ პერსონალთან დაგროვილი დავალიანების გადაბარების სანაცვლოდ, საკუთრების ნებაყოფლობითი დათმობა. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო უფასოდ მიიღებს ქონებას, მაგრამ მისი მართვა გრძელვადიან პერსპექტივაში მაღალ დახარჯებთან იქნება დაკავშირებული.

**Predicted Financial Impact of the Health Care Reforms on Private Insurance Companies between 2006-2013 in Georgia - The Case of „Aldagi-BCI“**

**G. Khishtovani**

Since 2006, the reforms implemented in the health care system of Georgia were conducted with the active participation of the private insurance companies. So, for instance, the Georgian government has provided a *state insurance program (SIP)* that provides health insurance to Georgian citizens living at or below the poverty line, Georgian retirees, children under 6 years and students. The private insurance companies were fully in charge of insuring participants and administration of the program since 2008. As a result of their involvement in the program,

the insurance market has grown significantly. Simultaneously, one of the main reforms implemented in the health care system in the last 7 years was the *hospital sector development project (HSDP)*. Similarly to *SIP*, the private insurance sector was actively involved in the process of its implementation. The Consequence of this project was that the large number of hospitals were built or renovated between 2006 and 2013. After the many-faceted reform attempts of the previous Georgian government, processes in the health care sector has been made especially interesting by the initiatives of the new government elected in October 2012. It is noteworthy that the initiatives outlined in the program of the new government instigate the idea of introducing the universal health care system administrated exclusively by the different state agencies. Considering the fact that these initiatives imply the gradual replacement of insurance companies in 2014 and their full exclusion from each of state insurance program from 2014, it is of critical importance to evaluate the tendencies and future perspectives of the financial development of the private insurance sector. In the framework of the presented paper I have conducted a valuation of the largest Georgian insurance company (“Aldagi-BCI”). Using the example of the main beneficiary of the previous reforms between 2006 and 2012, paper seeks to predict the consequences of the newly modified *SIP* on the private insurance companies involved in the initial program. Within the framework of the paper I have applied a “*case study*” method and the valuation of “*Aldagi-BCI*” is undertaken by *Residual Income Model*. The outcomes of the study suggest that after the modification of the *SIP* the economic value of the “Aldagi-BCI” has fallen by 35 percent in 2013 and it is now less than an amount of equity in the balance sheet of a company. Conducted research signals that the existing private companies involved in the *SIP* will face the huge financial challenges after full modification of it in 2014 and

probably will be forced into bankruptcy. It also cannot be ruled out that the suffering private insurance sector will be forced to leave the Georgian hospital sector and the state will be confronted with the task to (re-)nationalize a big part of earlier privatized or newly constructed hospitals in Georgia.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Internet-Portal „interpressnews.ge“ (2014): viewed 2 February 2014, <http://www.interpressnews.ge/ge/interviu/266064-rusudan-gogolashvili-sakhelmtsifo-dazghvevis-mqone-pirebis-sayovelthao-jandacvis-programashi-gaerthianeba-2014-tslis-bolomde-dasrul-deba.html>
2. The World Bank (2012): Health Sector Development Project (2003-2012), viewed 2 February 2014, <http://www.worldbank.org/projects/P040555/health-sector-development-project?lang=en>
3. Hou X.; Chao S. (2011): “Targeted or untargeted? The initial assessment of a targeted health insurance program for the poor in Georgia”, *Health Policy*, vol. 102, no. 2, pp. 278-85;
4. Gotsadze G.; Zoidze A.; Rukhadze N. (2009): “Household catastrophic health expenditure: evidence from Georgia and its policy implication”, *BMC Health Services Research*, vol. 9, no. 69, pp. 1-9;
5. Zoidze, Akaki; Rukhadze, Natia; Chkhatarashvili, Ketevan; Gotsadze, George (2012), Health Insurance for Poor - Georgia’s Path to Universal Coverage, Working Paper: Curatio International Foundation, viewed 10 September 2013, <<http://www.curatiofoundation>

org/?pg=28&cid=28&id=207>

6. საქართველოს მთავრობის 2012 წლის დადგენილება №165;
7. სადაზღვევო ასოციაცია, თბ., 2013;
8. Transparency International - Georgia (2012a), The Hospital Sector of Georgia, viewed 2 February 2014, <<http://transparency.ge/en/post/press-release/hospital-sector-report>>
9. Transparency International - Georgia (2012b), Health Insurance in Georgia, viewed 2 February 2014, <<http://transparency.ge/en/post/report/tig-releases-new-report-on-health-insurance-industry>>
10. საქართველოს მთავრობის 2009 წლის დადგენილება №218;
11. საქართველოს მთავრობის 2010 წლის დადგენილება №85;
12. National Bank of Georgia: Annual Report, 2012, viewed 2 February 2014, <<http://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2012/annualgeo2013.pdf>>
13. საქართველოს მთავრობის 2013 წლის დადგენილება №36;
14. შესწორება საქართველოს მთავრობის 2009 წლის №218-ე დადგენილების მე-13 მუხლში;
15. Khishtovani George; Pirveli, Erekle (2012): “Corporate Political Responsibility (CPR) and its Impact on Firm’s Financial Performance – Case of Georgian Insurance Sector”, *Economics and Business (TSU)*, #5, Sep.-Oct. 2012, pp. 157-182;
16. Coenenberg, Adolf G.; Haller, Alex; Schultze, Wolfgang (2012): *Jahresabschluss und Jahresabschlussanalyse*, 22. Auflage, Schäffer-Poeschel;



17. Internet-Portal „interpressnews.ge“ (2014): viewed 2 February 2014, <http://www.bpn.ge/biznesi/2687-arqimedes-global-jorjia-ga-kotrda.html?lang=ka-GE>
18. Kureljusic, Goran (2009): „Beonderheiten bei der Bewertung von Versicherungsunternehmen on der Praxis“, *Finanz Betrieb*, vol. 11, no. 9, pp. 453-463;
19. Graßl, Alfred; Beck, Martin (2010): „Bewertung von Versicherungsunternehmen“, Drukarczyk, Jochen; Ernst, Dietmar (Hrsg.): *Branchenorientierte Unternehmensbewertng*, 3. Auflage, Vahlen, München. pp. 139-163;
20. Damodaran, Aswath (2009): Valuing Financial Service Firms, viewed 2 February 2014, <<http://people.stern.nyu.edu/adamodar/pdfiles/papers/finfirm09.pdf>>
21. Mandl, Gerwald; Rabel, Klaus (2009): „Methoden der Unternehmensbewertung (Überblick)“, Peemöller, Volker (Hrsg.): *Praxis-handbuch der Unternehmensbewertung*, 4. Auflage, NWB, Herne, pp. 49-90;
22. Zimmermann, Jochen; Prokop, Jörg; Lippert, Christoph (2008): „Die Bewertung von Versicherungsunternehmen mit Residualgewinnmodellen: konzeptionelle Grundlagen und empirische Validierung“, *Finanz Betrieb*, vol. 10, no. 5, pp. 343-353;
23. Ohlson, James (1995): “Earnings, Book Values, and Dividends in Equity Valuation”, in: *Contemporary Accounting Research*, vol.11, no. 2, pp. 661-688;
24. Claus, James; Thomas, Jacob (2001): “Equity Premia as Low as Three Percent? Evidence from Analysts’ Earnings Forecasts for Domestic and International Stock Markets”, *Journal of Finance*, vol. LVI, no. 5, pp. 1629-1666;

25. Zimmermann, Jochen; Prokop, Jörg (2002): „Unternehmensbewertung aus Sicht des Rechnungswesens: das residual income model“, *Wirtschaftswissenschaftliches Studium*, vol. 31, no. 5, pp. 272-277;
26. Zimmermann, Jochen; Prokop, Jörg (2003): „Rechnungswesenorientierte Unternehmensbewertung und Clean Surplus Accounting: Konzeptionelle Bewertungseignung der Konzernabschlüsse deutscher Aktiengesellschaften“, *Zeitschrift für internationale und kapitalmarktorientierte Rechnungslegung*, vol. 3, no. 3, pp. 134-142;
27. Internet-Portal „commerciant.ge“ (2013): viewed 2 February 2014, <<http://commerciant.ge/?page=news&id=1245>>

**არასამეწარმეო იურიდიული  
პირების მართვის  
თავისებურებები**

*ასმათ ბულორაძე*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

მართვა ხორციელდება ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სტადიაზე, ნებისმიერ სფეროსა და დარგში [1,გვ.23], ხოლო ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობა იყოფა სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სავაჭრო გარიგების ან სხვა სამეურნეო ოპერაციების სახით და რეალიზაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, „სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად“ მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“ [2,გვ.1].

ორგანიზაცია, რომლის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა და მისი ფუნქციონირების ძირითადი მამოლტივრებელი ფაქტორი არ არის მატერიალური მოგების მიღება, არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ააიპ-ი უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც კანონით აკრძალული არ არის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული [3]. ააიპ-ი იქმნება უპირატესად საქველმოქმედო, კულტურული, სამეცნიერო, საგანმანათლე-

ბლო და სხვა სოციალური მიზნების მისაღწევად.

საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობას არ მიეკუთვნება:

- საქველმოქმედო საქმიანობა;
- რელიგიური საქმიანობა;
- დაქირავებით მუშაობა;
- სახელმწიფო ხელისუფლების, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევისა;
- საქმიანობის ან/და ოპერაციების სახეები ან/და ოპერაციების ერთობლიობა, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით.


ამ მუხლით განსაზღვრული საქმიანობათა ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. სხვადასხვა ორგანიზაციაში განსხვავებულია მართვის დონეთა რაოდენობა, რომლის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ორგანიზაციის სიდიდე და სამუშაოთა ხასიათი.

არასამეწარმეო იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურის, მმართველობის ფორმისა და მსგავსი ტიპის შიგასტრუქტურული საკითხების გადაწყვეტის დისკრეციული უფლებამოსილება მთლიანად არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლის/წევრების ხელშია [4]. ააიპ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა წესრიგდება მისი წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამოწმებას [4].

ასევე, არასამეწარმეო იურიდიულ პირებზე ვრცელდე-

ბა სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის პირველი ნაწილი: “დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია, ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილება ან/და დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა”.

მართვის დონეთა რაოდენობის მიუხედავად, ააიპ-ის შემთხვევაში, მენეჯერები (ხელმძღვანელები) ტრადიციულად იყოფიან სამ კატეგორიად: ძირეული (პირველი), საშუალო (შუალედური) და უმაღლესი დონის ხელმძღვანელები (იხ. სქემა) [5].



მართვის დონეები (პირამიდა) უჩვენებს, რომ მართვის ყოველ მომდევნო დონეზე ნაკლები ადამიანებია, ვიდრე წინა დონეზე.

პროცესული თვალსაზრისით, მართვა ურთიერთდაკავშირებული ფუნქციების უწყვეტ სერიას წარმოადგენს. მენეჯმენტის ფუნქცია – მმართველობითი საქმიანობის განცალკევებული ერთგვაროვანი სახეა, რომელიც სპეციალური ხერხებითა და წესებით ხორციელდება [ნ.გვ.230].

მენეჯმენტის ფუნქციების განხორციელება შეადგენს მართვის პროცესის ძირითად შინაარსს. ყველა ფუნქცია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთიმეორესთან, ურთიერთგანპირობებულნი არიან და მთლიანობაში ქმნიან ფუნქციების სისტემებს.

მართვის ფუნქციები პირველად კლასიკური მართვის სკოლის ფუძემდებელმა ა. ფაილიმ გამოიყვანა. მან მართვის ფუნქციები ორ ჯგუფად დაიყვანა: 1. საერთო (ეხება საქმიანობის ნებისმიერ სფეროს); 2. სპეციფიკური (განეკუთვნება უშუალოდ სამრეწველო საწარმოების მართვას);

ფაილიმ განსაზღვრა, რომ მმართველობითი საქმიანობა მოიცავს ხუთ საგანდებულო საერთო ფუნქციას: 1) განჭვრეტა (დაგეგმვა); 2) ორგანიზაცია; 3) განკარგვა; 4) კოორდინაცია; 5) კონტროლი [1, გვ. 230].

დროთა მსვლელობაში მენეჯმენტის ტექნიკა და ტექნოლოგია სულ უფრო მეტად სრულყოფილ სახეს იღებდა, მაგრამ ფუძემდებლური მმართველობითი ფუნქციები უცვლელი დარჩა როგორც სამეწარმეო ასევე არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის.

მთლიანობაში, ააიპ-ის მუშაობის პირობები მრავალმხრივია, თუმცა ყველა პირობის გათვალისწინება ვერ მოხერხდება არც გეგმაში, არც მუშაობის პროცესში. რეალურად შესაძლებელია მათგან გადახრა. მაგრამ, მისწრაფება - დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული გზით წასვლა მართვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამიტომაც, რომ მართვა არ შეიძლება განხორციელდეს კონტროლის ფუნქციის გარეშე, რომელიც საშუალებას იძლევა ჯეროვანი კორექტივები იქნეს შეტანილი საქმიანობაში, დაძლეულ იქნეს არასასურველი გადახრები, გაიხსნას და გადაჭრას პრობლემები.

ააიპ-ის მართვის პრინციპების და მეთოდების ფორმირება დაფუძნებულია არაერთ მეცნიერულ მიღწევაზე მენეჯმენტის სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ არცთუ შორეულ წარსულში ეკონომიკის განვითარების პროცესში მართვის პრაქტიკისა და თეორიის კვლევის ძირითადი მიმართულებები არსებითად ეხებოდა სამეწარმეო იურიდიულ პირებს. ამი-

ტომ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ააიპ-ის მართვა ეკონომიკის გაძღვლის ახალი მიმართულებაა, რომელსაც აქვს ბევრი საერთო და განსხვავებული ნიშანი სამეწარმეო იურიდიული პირების მენეჯმენტთან [6]. ამავე დროს მეცნიერების ეს ორი დარგი ეფუძნება მენეჯმენტის თეორიას, საფუძვლებს და პრაქტიკას.

ააიპ-ის მართვის თავისებურებების კვლევები მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ასეთი პროგნოზის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ის, რომ შეინიშნება ააიპ-ის რაოდენობის ზრდის მაღალი ტემპი, ამასთანავე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დღითიდღე მატულობს მისი როლი და მნიშვნელობა.

სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების დამახასიათებელი საერთო ნიშანია ის, რომ მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რესურსების განსაზღვრული ოდენობა, რესურსების მართვა სათანადო დონეზე ორგანიზაციის მიზნის ან მიზნების მისაღწევად. ძირითადი რესურსებია: ადამიანები, ე.ი. შრომითი რესურსები, კაპიტალი, მასალები, ტექნოლოგია და ინფორმაცია.

ასე, რომ ააიპ-ები არა მხოლოდ ეკონომიკის ნაწილია, არამედ სთავაზობს საზოგადოებას მომსახურებას და საქონელს, უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს, აწარმოებს გადარიცხვებს. ააიპ-ი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან გვთავაზობს ახალი იდეებს, მეთოდებს და საქმიანობის განვითარების სხვადასხვა ხერხს, ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას. ასევე, აღსანიშნავია ააიპ-ის წვლილი პოლიტიკაში, ეკოლოგიასა და საერთაშორისო ურთიერთობებში.

---

---

## Characteristics of management in non-profit organizations

A. Gulordava


The article describes general activities of non-profit organizations , the characteristics of profit and non-profit organizations are estimated using a comparative analysis and also the article discusses the existing situation in management of non-profit organizations.

The article consists of the conclusion, according to it we can assume that the management of non-profit organizations, is a new direction in economics, which has many common features and sharp differences in comparison with profit organizations management.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., მენეჯმენტის პრინციპები, თბ., 2010, გვ. 23, 230;
2. საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ”, თბ., 2008, გვ.1;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი, თბ., გვ.8;
4. სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი, თბ., გვ.15;
5. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000458/SHUBLADZE%20G-Mehejm.pdf>
6. <http://office-nko.ru/wp-content/uploads/2012/11/i-mjetod-uprav-ljeniju-njekommjertchjeskimi-organizazijumi.pdf>





**ბიორგი ქუთათელაძე**  
**წმინდა ანდრია პირველწოდებულის**  
**სახ. ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი**

საინტერესოა იაპონელი მკვლევარის **ჰადეკი იოსი-ჰარას** ნაშრომი „იაპონური მართვის მეთოდების კვლევა საზღვარგარეთის ქვეყნებში“, რომელიც მოყვანილია **იოსი-ჰარას** და **მონდენის** ერთობლივ წიგნში [1] – კვლევა ჩატარდა 1982 წელს ავსტრიაში, ახალ ზელანდიასა და სინგაპურში. ის ეფუძნებოდა მაღალი ეშელონების მენეჯერებისა და ფირმის ხელმძღვანელების გამოკითხვას, როგორც ამ ქვეყნებში ასევე იაპონიის შიგნით. ცამეტი კომპანია იყო მთლიანად იაპონური კაპიტალით შექმნილი საზღვარგარეთული ფილიალი, ხოლო 7 იყო უცხოური კაპიტალით შექმნილი, რომლებიც მუშაობდნენ საავტომობილო და საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის წარმოების სფეროებში. შვიდი ეს უცხოური ფირმა გამოყენებულ იქნა კვლევაში მონაცემთა შედარებისთვის როგორც საკონტროლო ჯგუფი. კვლევამ აჩვენა იაპონ-

ური საწარმოს მართვის მეთოდოლოგიის ექვსი განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანი.

**ნიშანი პირველი:** იაპონელი მენეჯერები დიდ ყურადღებას უთმობენ იმ გარემოებას, რომ რაღაც არ უნდა დაუჯდეს, კომპანიამ უნდა შესძლოს და მოახერხოს, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც კი არ მოხდეს თანამშრომელთა დათხოვნა. იაპონური მაღალი ეშელონების ხელმძღვანელობის აზრით, სამუშაო კადრების სტაბილურობა აუმჯობესებს კომპანიის საქმიანობის ყველა მაჩვენებელს, აძლიერებს კორპორატიული ერთობის გრძნობას; ხელს უწყობს მენეჯერებსა და მუშებს შორის ნდობისა და კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. მუშებისთვის სტაბილურობა და შრომითი დაკავების გარანტია არის პირველხარისისოვანი მნიშვნელობის თემა. ეს მათთვის პიროვნული განვითარებისა და კარიერული წინსვლის დიდი სტიმულია. ასეთი სტაბილურობის ფონზე კომპანიას შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს უფრო მეტი ინფორმაცია ქვედა ეშელონების მუშაკებისაგან. „შარპ აუსტრალიას“ მენეჯერი ამბობს: „ჩვენ არ დავუშვებთ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დროს სამუშაოდან დათხოვნებს. პირიქით, ამ პერიოდში მიზნად ვისახავთ ხელი შევუშალოთ წარმოების შეზღუდვას და კადრების შემცირებას“[1]. ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის იაპონური საწარმოების ერთ-ერთი მეთოდია სასაქონლო-მატერიალური მარაგების დაგროვება, რათა შეძლებისდაგვარად შენარჩუნდეს სამუშაო ადგილები თანამშრომელებისათვის. მაგალითად, „სანიო“ ავსტრალიაში თავის მუშებს ასაქმებდა ტელევიზორების შესაფუთი ყუთების გაღებვით, მაშინ როცა ამ

დაბალკვალიფიციურ სამუშაოებს სხვა დროს ასრულებდა კონტრაქტორი მცირე საწარმო[1].

კომპანიის მასშტაბით მომუშავეთა დენადობის აღკვეთისათვის ხელმძღვანელობა ცდილობს დაწინაურება ვაკანტურ ადგილზე კომპანიაში მოხდეს მომუშავე პერსონალის ქვედა ეშელონიდან და არა გარედან მოყვანილი კადრებით. **სანიოს** მენეჯერის აზრით, „შესაძლებლობა იმისა, რომ სამწლიანი შრომის შემდგომ მუშას შეუძლია გახდეს ოსტატი, დაგვეხმარა ორგანიზაციული კლიმატის გაუმჯობესებაში, რამაც ხელი შეუწყო მუშების კომპანიაში დამაგრებას“ [1].

**ნიშანი მეორე:** ხელმძღვანელი კადრები უმეტესწილად უშუალოდ იმყოფებიან საწარმოო უბანზე მუშების გვერდით. თვით უნივერსიტეტების ახალკურსდამთავრებულები, რომლებიც საქმდებიან იაპონურ უცხოურ ფილიალებში მუშაობას იწყებენ არა კაბინეტებში, არამედ პირდაპირ ქარხნის საწარმოო უბანზე, რათა უკეთ გაეცნონ მუშათა შრომის ყველა რეალურ სირთულეს. მათი მოვალეობაა მუშების გვერდით საქმიანობა. **მაცუსიტას** წარმომადგენელი ამ თემაზე ამბობს შემდეგს: „ჩვენ არ გვაინტერესებს ისეთი მენეჯერების მიღება, რომელთაც კაბინეტებში ჯდომა და ჰალსტუხების ტარება სიამოვნებთ, ჩვენ არ ვიღებთ ასეთი ტიპის ადამიანებს, რადგანაც არ გვჭირდება ისინი“. იაპონური კომპანიები არ საჭიროებენ ისეთი მმართველების მიღებას, რომელთაც არ მოსწონთ საწარმოო უბნებზე ყოფნა, ხაზს უსვამს **ჰიდეკი იოსინარა** [1].

**ტოიოტაში** წარმოების მართვის სადისპენერო ოთახში მუდამ არიან მენეჯერები და ინჟინრები, რომლებიც

მუშაობაში რაიმე შეფერხებისას მომენტალურად გადიან უბანზე, რათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრან პრობლემა. ასეთი ოპერატიული და გუნდური მუშაობა ხელს უწყობს ნოვატორული წინადადებებისა და გამოგონებების დანერგვას, რაც ემსახურება წარმოების ტექნოლოგიურ სრულყოფას. „ხარისხის ჯგუფები“, რომელიც დაკომპლექტებულია მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე, კვალიფიცირებული სხვადასხვა რანგის თანამშრომლებით, დიდ როლს თამაშობს კომპანიის განუწყვეტელი მოდერნიზაციის საქმეში.

სინგაპურში მოქმედი იაპონური **სანიო** და **მაცუსიტა** დიდ წარმატებას აღწევს ახალი გამოგონებების დანერგვის მხრივ. წარმატება მოდის სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. კერძოდ, დიდი ხელშეწყობა აქვთ ადგილობრივ ფირმებს სინგაპურის მთავრობისგან, რომ კომპანიებმა შეისწავლონ მართვის იაპონური მეთოდები[2]. საზოგადოების საყოველთაო დაინტერესების ფონზე მუშები უკეთესად თანამშრომლობენ საწარმოო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან; ამ ქვეყანაში „ხარისხის ჯგუფების“ ნაყოფიერ მუშაობას ხელს უწყობს პერსონალის საშუალო განათლების მაღალი დონე. იაპონელ მენეჯერთა აზრით, ყველა პრობლემა დაძლევადია კადრებთან ურთიერთობის კუთხით, თუ იქნება დიდი მონდომება დასაქმებულთა მხრიდან. ასე, მაგალითად, როდესაც **მაცუსიტა** შეეჯახა საზღვარგარეთულ ფილიალებში მუშათა განათლების დაბალ დონეს (ზოგმა მათგანმა არ იცოდა ელემენტარული მათემატიკა), ზოგადი განათლების ამაღლებასთან ერთად, **მაცუსიტაში** არსებულ ხარისხის

ჯგუფებში დანერგეს ნოვატორული წინადადების მიღების ზეპირი ფორმა; მუშები თავიანთ ნოვატორულ მიგნებებს გადასცემდნენ ზემდგომ ოსტატებს ან სიტყვიერად, ან ნახატებითა და მარტივი ნახაზებით. შემჩნეულია, რომ ახალგაზსნილ იაპონურ საზღვარგარეთის ფილიალებში პირველი პერიოდი „ხარისხის ჯგუფები“ არ იძლევიან რაიმე ხელმოსაკიდ შედეგებს ნოვატორული მიგნებების მხრივ. მუშაკები ჯერ კიდევ არ არიან გაბედულნი და გამოცდილნი, მათ აკლიათ გუნდური მუშაობის ჩვევები და განათლება. დასაწყისისთვის კომპანიაში მათი მხრიდან შემოდის ძირითადად ზოგადი ყოფის და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებები და საჩივრები, როგორცაა: „საამქროში ძლიერ ცხელა, თუ შეიძლება დაამონტაჟეთ კონდიციონერები“, ან „კვება სასადილოში ძალიან ძვირია და დაბალია საჭმელის ხარისხი“. **მაცუსიტას** მენეჯერი ამ შემთხვევისთვის ამბობს: „ჩვენ რომ არ გვეზრუნა ერთი შეხედვით წვრილმანი საჩივრების გამოსწორებისთვის, აღარც ნოვატორული წინადადებების შემოსვლა დაიწყებოდა. ის ფაქტი, რომ ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომლებზე, ეს ხელს უწყობს კომპანიაში დადებითი ფსიქოლოგიური კლიმატის ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს საწარმოში შრომის მწარმოებლურობას.“[2]

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საზღვარგარეთ იაპონური ფილიალების ფუნქციონირებას ხელს უშლის შემდეგი გარემოებანი [3]: ა) დასაქმებული ადგილობრივი მუშების უმეტესობა დაბალი განათლებისაა; ბ) მათ არა აქვთ გუნდური მუშაობის გამოცდილება; გ) ისინი გაურ-

ბიან სამუშაოთი ზეგეგმურ დატვირთვას; დ) კომპანიის მიმართ ღოიადლობას და პასუხისმგებლობას სუსტად ავლენენ; ე) ვერ ხერხდება საწყის ეტაპზე მენეჯერებსა და მუშებს შორის სტაბილური ურთიერთობების დამყარება; ვ) ხშირია ადგილობრივი პროფკავშირების გაუმართლებელი და პროვოკაციული ჩარევები [1].

**ნიშანი მესამე:** ინფორმაციის საჯაროობა კომპანიაში და ზნეობრივი ფასეულობების პატივისცემა.

უცხოეთის იაპონურ კომპანიათა ფილიალებში არსებული ტრადიციით, კომპანიის ხელმძღვანელი უშუალოდ და პირადად აცნობს თავის ხელქვეითებს ყველა ინფორმაციულ სიახლეს, რომელიც დაკავშირებულია ფირმის პოლიტიკასა და საქმიანობასთან. საერთო სხდომებზე არა მარტო ახალი პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებული ნიუანსები ირჩევა, არამედ დედა-კომპანიაში არსებული ახალი ამბები და პრობლემებიც განიხილება. „ეს შეხვედრები და თანამშრომლების სისტემატური ინფორმირება ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ მომსახურე პერსონალს ანგარიშს უწევენ, მათ შეხედულებებს პატივს სცემენ. ეს განამტკიცებს კორპორატიულ სულისკვეთებას და მნიშვნელოვნად ამცირებს თანამშრომელთა გადინებას კომპანიიდან“ - ამბობს შარპის ოფიციალური წარმომადგენელი [3]. ასეთ შეხვედრებში განსაკუთრებით არიან ჩაბმულნი ქვედა რგოლის ინჟინრები, მენეჯერები, ოსტატები, კონტროლის განყოფილების ინსპექტორები და ა.შ. შეკრებებზე უფრო მჭიდრო პორიზონტალური კონტაქტები მყარდება ცალკეულ გუნდებს შორის, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის განყოფილებების

ეფექტიანი ურთიერთქმედებებისათვის [3].

**ნიშანი მეოთხე:** ინფორმაციის სწრაფ ცვლაზე დაფუძნებული მართვა.

ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა მონაცემის დროულ და საფუძვლიან შეგროვებას, რაც შეიძლება საწარმოო პროცესების სრულყოფისთვის გამოდგეს. ხდება ამგვარი ინფორმაციის გადამუშავება, ანალიზი და სისტემატიზაცია ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის. მაგალითად, **შარპი** იყენებს ყოველი გამოშვებული ტელევიზორისთვის ინდივიდუალურ პარამეტრთა მონაცემების სპეციალურ სისტემას, რომლის მეშვეობით თუ აღმოჩნდა წუნდებული პროდუქტი, ძალიან სწრაფად შეიძლება გაგება იმისა, ესა თუ ის დეფექტური ნაწილი რომელმა მუშამ გამოუშვა. ეს სწრაფი რეაგირების სისტემა კომპანიას საშუალებას აძლევს დროულად მოასწოროს დეფექტები და მიიღოს საჭირო ზომები. მეორე ნიშნელოვანი მდგენი მონაცემთა სისტემის შეგროვებისას არის ყოველთვიური ბუღალტრული ანგარიშგება. **მაცუსიტას** ავსტრალიის ფილიალში ყოველთვიური მონაცემები დგება წარმოების მოცულობის, ხარისხისა და შემოსავლების შესახებ. ამ ხასიათის ადრეული ბუღალტრული ანგარიშგება საჭიროა, რათა ადრევე იქნეს შემჩნეული ესა თუ ის ხარვეზი, ასევე ის, შეესაბამება თუ არა პირველადი მონაცემები გეგმურ მონაცემებს, რომ მოხდეს სრულყოფილი ანალიზი [1].

**ნიშანი მეხუთე:** ხარისხზე ორიენტირებული მართვა.

საზღვარგარეთის იაპონურ საწარმოო ფილიალებ-

ში პირველი რიგის ზრუნვის საგანია პროდუქტის ხარისხი. მთავარი ყურადღება ექცევა პროდუქტის ირგვლივ ყველა მონაცემის შეგროვებას, რომელიც ხარისხს ეხება. მათ შორის შეიძლება იყოს ინფორმაცია პირდაპირ კონვეიერზე აღმოჩენილ პროდუქტის დეფექტებზე ან გასაგზავნად გამზადებულ პროდუქტში. ყოველივე ეს ექვემდებარება მკაცრ აღრიცხვას და კონტროლს. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის მწარმოებლურობაზე პირდაპირ ზრუნვას ნაკლები ყურადღება ექცევა, რადგან ეს უკანასკნელი გამომდინარეობს სწორედ ხარისხიანი პროდუქციის რეალიზაციიდან. აი, რას ამბობს ამის შესახებ სინგაპურში **სანიო ელექტრონიკის** წარმომადგენელი: „მე არ ვნერვიულობ შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე ჩემს უბანზე, რადგანაც ჩვენი საწარმოო სისტემა ისეთაირად არის მოწყობილი, რომ მწარმოებლურობა ავტომატურად იზრდება. მეორე მხრივ, ჩვენი მთელი ძალები იქეთკენ არის მიმართული, რომ არ დაეუშვათ დეფექტური საქონლის გამოშვება“. ასეთი მიდგომების ფონზე საზღვარგარეთული ფილიალების მიერ გამოშვებული პროდუქცია თავისი მაღალი ხარისხით კონკურენციას უწევს მსოფლიო დედა-კომპანიების მიერ გამოშვებულ პროდუქციას იაპონიაში, რაც ყოველმხრივ არის წახალისებული თავად დედა-კომპანიების მიერ [2].

**ნიშანი მეექვსე:** იდეალური სისუფთავე და წესრიგი საწარმოში

საზღვარგარეთულ ფილიალებში მკაცრი დისციპლინა არის გარანტი იმისა, რომ პროდუქციის ხარისხიც ჯეროვანი იქნება. უცხოეთის ფილიალებში იაპონელე-



ბი წააწყდნენ მუშაობაში ხელისშემშლელ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, კერძოდ, სიგარეტის მწვეველების მიერ დაშვებულ შეცდომებს: პროდუქციის დეფექტების არ შემჩნევა, უყურადღებობა დაძაბული გონებრივი და ფიზიკური შრომის პირობებში, ინტეგრალური სქემების დანაგვიანება და ა.შ. ამის გამო საწარმოო უბნებზე აკრძალულია სიგარეტის მოწვევა და საერთოდ ერიდებიან ასეთი თანამშრომლების აყვანას, რადგანაც კომპანიებში მათი კონტროლი ძვირი ჯდება და თუ გავითვალისწინებთ თანამდევ ჯანმრთელობის პრობლემებს, ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს და ხშირ გაცდენებს, ბუნებრივია, ასეთი თანამშრომლის აყვანა კომპანიისთვის არარენტაბელურია. სინგაპურში **მაცუსიტას** და **სანიოს** ქარხნებში სიგარეტის აკრძალვა ნორმაა. სისუფთავე და წესრიგი საწარმოო უბნებსა და საწყობებში, ქმნის იმ დადებით გარემოს, სადაც ადვილდება კოლექტივის ჯეროვანი მართვა, მაღლდება დასაქმებული პერსონალის პასუხისმგებლობა და შრომისუნარიანობა [3].

იაპონური ფირმების მართვის ზემოთ მოყვანილი მეთოდოლოგიური სპეციფიკური ნიშნების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პერსონალის მართვის იაპონური მეთოდები ცალ-ცალკე არ წარმოადგენს რაღაც უჩვეულო სიახლეს, მაგრამ განსწავლული და მომზადებული მენეჯერების მიერ მათი მეთოდური, გეგმაზომიერი, მიზნობრივ-კომპლექსური გამოყენებით და ოპერატიული მონაცვლეობით მიიღება ის რეზულტატები, რაც ასე წარმატებულს ხდის იაპონურ საწარმოს.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Hideki Iosihara, Yasuhiro Monden. The Japanese Corporation – (1989) – IIE;
2. Hayes R. H. Why Japanese Factories Work (1981). Harvard Business Review;
3. White M., Trevor M. Under Japanese Management, 1983. Heinemann.

**საერთაშორისო ფინანსური ბაზრის  
ფუნქციონირების თავისებურებები**

*მაია გოგონია*

*ეკონომიკის აკად. დოქტორი,  
თსუ-ის მოწვეული ლექტორი*

ფინანსური ბაზრების წარმატებული ფუნქციონირება ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორია. სწორედ აღნიშნული განაპირობებს საკვლევი პრობლემის აქტუალურობას. კვლევის მიზანია გლობალური ფინანსური ბაზრის უმნიშვნელოვანესი სეგმენტების წარმოჩენა მასზე მიმოქცევადი ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებით. დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ამოცანები: 1) ფინანსური ბაზრის ძირითადი სეგმენტების მჭიდრო ურთიერთკავშირის ჩვენება მათზე მიმოქცევადი აქტივების კოტირებით; 2) საერთაშორისო ბაზრის ფუნქციონირების თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა. სტატიაში აღნიშნული საკითხების წარმოჩენის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ მსოფლიო საფონდო, სავალუტო, სასაქონლო, კაპიტალის ბაზრების ძირითადი ტრენდები ურთიერთდაკავშირებულია.

სასაქონლო ბაზრებს, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, კაპიტალის, ვალუტის, აქციების ბაზრებს შორის არსებობს მჭიდრო კორელაციური კავშირი. ფაქტობრივად, ფინანსური ბაზრის ამ სეგმენტების სრულფასოვანი ანალიზი სასაქონლო ბაზრების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია (საკმარისია, ვახსენოთ ინფლაცია – ძირითადი დამაკავშირებელი ძაფი სასაქონლო ფასების დინამიკასა და ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების კურსებს შორის).

სასაქონლო ბაზრების მთელ მრავალფეროვნებაში ნებისმიერი ტრეიდერისათვის აუცილებელია იცოდეს და მუდმივად გაანალიზოს შემდეგი ბაზრები:

- ენერგომატარებლების (პირველ რიგში, ნავთობის);
- ლითონების (პირველ რიგში, ოქროს და სპილენძის);
- სასურსათო საქონლის;
- ბამბის.

ნედლი ნავთობისა და მისი ძირითადი პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების უმეტესობა იდება ამერიკაში, ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე NYMEX და ევროპაში, ლონდონში ნავთობის საერთაშორისო ბირჟაზე, IPE. ამასთან, ვადიანი კონტრაქტების რაოდენობა ამ სახეობის აქტივით გაცილებით მეტია ოპერაციების რიცხოვნობაზე სპოტურ ბაზარზე. ეს დაკავშირებულია, პირველ რიგში, სანავთობო პროდუქტების მრავალფეროვნებასთან და მათ მაღალ ლიკვიდობასთან (საკმარისია ითქვას, რომ ნავთობი ჩამორჩება დადებული კონტრაქტების მიხედვით მხოლოდ ვაჭრობას T-bonds-ებით აშშ).

ნავთობის ბაზარი გადაიქცა სასაქონლო ბაზრის ძალზედ სპეკულაციურ სეგმენტად. ეს დაკავშირებულია, პირველ რიგში, იმ ფაქტთან, რომ ნავთობის მოპოვების ქვოტები განისაზღვრება არა მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით, არამედ – პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით ამ ბაზრის ძირითად მსოფლიო მონაწილეებს შორის (OPEC, დიდი შვიდეულის ქვეყნები და სხვ.). ისევე, როგორც ფინანსური ბაზრის ნებისმიერი ძალზედ სპეკულაციური და ღირებულებით სეგმენტისათვის, დიდი წვლილი ფასწარმოქმნაში ნავთობის ბაზარზე (განსაკუთრებით მოკლევადიან პერსპექტივაში) შეაქვს ბაზრის მონაწილეების მიერ უპირატესობის მინიჭებას, რაც მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება არა იმდენად იმით, როგორ ცვლილებებს ელოდებიან ისინი მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობაში, არამედ – ამ ბაზარზე მსხვილი ფინანსური ჯგუფების ვაჭრობის სტრატეგიებით (რომლებიც, რა თქმა

უნდა, ითვალისწინებენ მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობას, მაგრამ, თავის ინტერესებში).

ახალი ტექნოლოგიების განვითარება შესაძლებელს გახდის ენერგომატარებლების მოპოვების მოცულობის გაზრდას და მათი მარაგების შენახვის მეთოდების სრულყოფას. მეორე მხირვ, ნავთობი წარმოადგენს ყველაზე გამოღევად მსოფლიო ენერგეტიკულ რესურსს. მრავალრიცხოვანი წყაროს შეფასებით (რომლის პოვნა იოლია ინტერნეტით), დარჩა მისი რამდენიმე ათეული წლის მარაგი, ამიტომ, ამ თვალსაზრისით, უფრო სავარაუდოა, რომ ნავთობის ფასი შეიძლება გაიზარდოს (ბუნებრივია, აუცილებელი მაკორექტირებელი ცვლილებებით).

ნავთობის ფასების დინამიკა ხშირად უსწრებს საქონლის უმეტესობის ბაზრების დინამიკას. ამიტომ, ნავთობის ბაზრის გუდლასმითი ანალიზი ხშირად ნათელს ჰფენს ფინანსური ბაზრის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტების ქცევას.

ლითონების ბაზრების ფუნდამენტალური ანალიზი არსებითად განსხვავდება ენერგომატარებლების ბაზრების ანალიზისაგან. ნავთობის შემთხვევაში ცნობილია რამდენი იქნება მოხმარებული – დაახლოებით იმდენივე, რამდენიც წინა წელს. აქ ძირითადი პრობლემაა ქვოტების გადანაწილება მის მოპოვებაზე OPEC-ის წევრი ქვეყნების მიერ, აგრეთვე – ბუნებრივი პირობები. ლითონებთან ყველაფერი სხვაგვარადაა, იმდენი შეიძლება აწარმოონ, რამდენიც საჭიროა, ხოლო რამდენია საჭირო – უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ოქრო თამაშობს გადამწყვეტ როლს, როგორც ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის დამაკავშირებელი ელემენტი.

ოქროს ბაზარი სულ უფრო მიმზიდველი ხდება ინვესტორებისა და სპეკულანტებისათვის. ოქროს ფლობას არ მოაქვს კუპონური ან სხვა საპროცენტო გადასახდელები, ამიტომ, მისი კურსი, უფრო გაიზრდება საპროცენტო განაკვეთების შემცირებისას. ოქრო შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც

ინვესტირების საიმედო ხერხი ინფლაციაზე მზარდი ზეწოლისას. ოქროს ბაზარზე ოპერირებენ ფინანსური დილინგისა და ამ ბაზრის მონაწილეების მოტივაციისა და მამოძრავებელი ძალების მცოდნე უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალები. ამასთან, ის ხასიათდება ინვესტორთა შედარებით მცირე რაოდენობით, ამიტომ, ოქროს კურსზე არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ცალკეულ პიროვნებებსაც.

ოქროს ბაზრის გამოკვლევა, ისევე, როგორც ნავთობის ბაზრისა, გვეხმარება, უკეთ გავიგოთ სხვა უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტების ქცევა: აქციების, ობლიგაციების და აშშ დოლარის. ეს ორი მთავარი ფაქტორის შედეგია: 1) ოქროს ბაზარი ძალზე ფაქიზად რეაგირებს ამ აქტივების კურსების ცვლილებაზე, 2) ოქროს კურსის დინამიკა ხშირად წინ უსწრებს საქონლის უმეტესობის ბაზრების დინამიკას. მაგალითად, აშშ დოლარის კურსის ცვლილება თითქმის ერთდროულად იწვევს ტენდენციების ცვლას ოქროს ბაზარზე საპირისპირო მიმართულებით, ეს კი, საბოლოო ანგარიშით, სასაქონლო ფასების საერთო დონეზე აისახება. ამიტომ, ოქროს ბაზრის გულდასმითი გამოკვლევა ფინანსური ბაზრის სხვა უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტების ქცევის პროგნოზირების საშუალებას იძლევა. საშუალოვადიან საინვესტიციო პერიოდებზე ოქროს ბაზარი და კაპიტალის ბაზარი, როგორც წესი, მოძრაობს სხვადასხვა მიმართულებით, ამასთან, კაპიტალის ბაზარი 2-3 კვირით უსწრებს ოქროს ბაზარს.

ფინანსური დილინგის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია ოქროს ბაზრის ურთიერთქმედება როგორც მთლიანად საფონდო ბაზართან, ასევე, ოქროსმომპოვებელი კომპანიების აქციებთან, რაც პოტენციურად შესაძლებელს ხდის მივიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ოქროს ბაზრის ევოლუციის პერსპექტივების თაობაზე, და ამით, დავაპროგნოზოთ ბაზრის სხვა მნიშვნელოვანი სეგმენტების განვითარებაც. ოქროს ბაზარი სასაქონლო ბაზრების წინმსწრები ინ-

ლიკატორია.

სპილენძი დედამიწის უმნიშვნელოვანესი სანედლეულო რესურსია. სპილენძზე კონტრაქტების უმეტესობა ასევე იდება ვადიან ბაზრებზე: აშშ-ში – COMEX-ზე (ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟა – Commodity Exchange) და ლონდონში LME-ზე (London Metal Exchange). სპილენძი გამოიყენება ძირითადი სასაქონლო ინდექსების უმეტესობის გაანგარიშებისას. ეს ბაზარი საკმაოდ მაღალი ვოლატილობისაა და ხასიათდება როგორც სპეკულაციური. ბევრი ტრეიდერი აღნიშნავს, რომ სპილენძის ბაზარი ადვილად ექვემდებარება ტექნიკურ ანალიზს.

სპილენძის საკურსო დინამიკიდან გამომდინარე, შეიძლება ნათლად მივაკვილოთ (დავაკვირდეთ) ზრდისა და რეცესიის ფაზებს მსოფლიო ეკონომიკაში, რაც იმით არის განპირობებული, რომ სპილენძი ფართოდ გამოიყენება თანამედროვე წარმოების ყველა ძირითად დარგში: ელექტრონიკაში, საავტომობილო მშენებლობაში, ბინათმშენებლობაში და ა.შ. ეკონომიკური ზრდის ფაზაში მოთხოვნის დონე სპილენძის ბაზარზე ნარჩუნდება საკმაოდ მაღალ დონეზე, რაც წარმოადგენს ხარების განწყობის მიზეზს ამ ბაზარზე. ეკონომიკური ზრდის ტემპების კორექციისას, მოთხოვნა სპილენძზე მცირდება და ამ ბაზარზე დომინირებენ დათვები. დაბალი ფასები სპილენძზე ადასტურებენ პროგნოზებს ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებისა და რეცესიის შესაძლო ფაზის დადგომაზე.

ფორმალურად, სპილენძის ბაზარი მიეკუთვნება კლასიკურ „Commodity“-ს, მისი ანალიზით საქონლის ფასისა მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე. ამ თეორიის თანახმად, აუცილებელია, შეფასდეს შემავალი ნაშთები, ერთობლივი წარმოებისა და მოხმარების მოცულობები, სპილენძით ვაჭრობის მსოფლიო სიმძლავრე, გამომავალი ნაშთები წლის ბოლოსათვის და მონაცემთა ისტორიული რიგების აპროქსიმაციის ბაზაზე შეიძლება შეფასდეს ამ საქონლის

## მანია ბოზოხია

---

ნამდვილი ფასი. ასეთ ანალიზს ატარებენ სპილენძისთვისაც, მაგრამ მისი მნიშვნელობა სწორედ ამ საქონლისთვის გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა ტრადიციული საქონლებისთვის.

სპილენძის ბაზრის მთავარი თავისებურება არის ის, რომ მასზე პერმანენტულად ყალიბდება სიტუაცია, რომელიც შესაძლებელს ხდის თავისუფლების გარკვეული ხარისხით, ფასებით მანიპულირებას მისი მონაწილეების განსაზღვრული მსხვილი ჯგუფის მიერ. ამიტომ, ბაზარი განისაზღვრება უკვე არა იმდენად ფუნდამენტური ფაქტორებით, რამდენადაც ამ ფინანსური ჯგუფების ვაჭრობის სტრატეგიებით.

იმ ტრეიდერის მუშაობის ხარისხი, რომელიც ოპერირებს სასაქონლო ბაზრების ფინანსური ინსტრუმენტებით, შეიძლება შეფასდეს მისი პორტფელის შემოსავლიანობის შედარებით შეპირისპირებული ინდექსის შემოსავლიანობასთან, რომელიც მსგავსი საქონლების ნაკრებს წარმოადგენს.

სასაქონლო ბაზრების ყველაზე ცნობილი ინდექსებია:

1. Goldman Sachs Commodities Index
2. a) Goldman Sachs Spot Index;
3. Commodity Research Bureaus Futures, CRB;
4. Foodstuffs Spot Index CRB:
5. a) Raw Industrials Spot Index CRB
6. b) Journal of Commerce Industrial Materials Price Index, JOC;
7. Reuters.

ინდექსში Goldman Sachs Commodities Index, GSCI, რომელიც შემუშავებულ იქნა 1991 წელს ნიუ-იორკის მსხვილი საბროკერო ფირმის Goldman Sachs-ის მიერ, შედის 18 საქონელი დომინანტით ენერგომატარებლებისა, მარცვლეულის (ხორბალი) და შინაური პირუტყვის (პროპორციით, დაახლოებით 50:25:15). ეს პროპორცია შეიძლება გადაიხედოს საბაზრო კონიუნქტურიდან გამომდინარე.

ინდექსი Journal of Commerce Industrial Materials Price Index,



JOC ეფუძნება 18 სამრეწველო მასალის ფასს. ის შეიქმნა კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული, საერთაშორისო ეკონომიკური ციკლების გამოკვლევების ცენტრის (CIBCR) მიერ და ყოველდღიურად ქვეყნდება 1986 წლიდან. მასში შედის საქონლის შემდეგი ჯგუფები: ნავთობპროდუქტები, ლითონები, ტექსტილი და რიგი სხვა საქონელი. ეს ინდექსი მუშავდებოდა ინფლაციური პროცესების წინმსწრები ინდიკატორის შექმნის მიზნით.

ინდექსი Reuters გამოითვლება 17 პირველადი საქონლის ფუნტ სტერლინგებში გამოხატული ფასების საფუძველზე, რომელიც შეწონილია მათი ხვედრითი წონის მიხედვით საერთაშორისო ვაჭრობაში.

ფინანსური შუამავლობის (financial intermediation) განვითარებასთან ერთად გაჩნდა დიდი მრავალფეროვნება ფინანსური აქტივებისა, ანუ ფინანსური ინსტრუმენტებისა – აქციები, ობლიგაციები, გირავნობის სიგელები, ურთიერთფონდები, REPO გაროგებები. ეს აქტივები იყიდება (ივაჭრება) საფონდო ბაზრებზე. თანამედროვე ფინანსური სისტემა განტოტვილი ქსელია, რომელშიც სხვადასხვა ტიპის საფინანსო დაწესებულებები ვაჭრობენ მრავალფეროვანი ფინანსური აქტივების დიდი რაოდენობით სპეციალიზებულ ფინანსურ ბაზარზე [1, გვ. 94].

ფიქტიური კაპიტალი კონცენტრირდება როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე ბანკებსა და სხვა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში.

ბანკების მაქსიმალური საინვესტიციო საქმიანობა შესაძლებელია ფინანსური ბაზრის მრავალწყობიანი სისტემის დროს. მრავალწყობიანობა ლოგიკურად კონკურენციის განვითარების შედეგია, რამდენადაც იგი ფინანსური რესურსების ოპტიმალური გამოყენების პრობლემას გადაწყვეტს. სწორედ ფინანსური ბაზრის მრავალწყობიანობა ზღუდავს და აჩერებს კრიზისულ მოვლენებს [2, გვ. 299].

უახლოეს დრომდე აშშ-ს საფონდო ბაზარი უმსხვილესი იყო მსოფლიოში, მაგრამ ბოლო წლებში შეინიშნება სხვა ქვეყნების ფინანსური ბაზრების სწრაფი განვითარება. ამერიკელი ინვესტორები ახლა ინტერესდებიან არა მხოლოდ დოუ-ჯონსის ინდექსით, არამედ, აგრეთვე საზღვარგარეთის საფონდო ბაზრების აქციების კურსების ინდექსებით, როგორცაა Nikkei 225 Average (ტოკიო) და Financial Times Stock Exchange 100-Share Index (ლონდონი) [3, გვ. 66].

შეიძლება გამოვეყოთ ფასიანი ქაღალდების რამდენიმე მსხვილი საერთაშორისო ბაზარი:

- ევროპის ბაზარი, რომელსაც ცენტრები აქვს ლონდონში, ციურხში, მაინის ფრანკფურტში, პარიზსა და მილანში;

- ჩრდილოამერიკული ბაზარი ფინანსური ცენტრით ნიუ-იორკში;

- შორეული აღმოსავლეთის ბაზარი, რომლის ფინანსური ცენტრებია ტოკიოში, სინგაპურსა და ჰონგ-კონგში.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინტერნაციონალიზაცია ნიშნავს იმას, რომ ეროვნული კაპიტალი სცდება ქვეყნების საზღვრებს, ყალიბდება ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზარი. ასეთ გლობალურ ბაზარზე ყველგან და შეუსვენებლად ვაჭრობენ ტრანსეროვნული კომპანიების ფასიანი ქაღალდებით. გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალად გვევლინება ტრანსეროვნული კომპანიები და ბანკები. ეროვნულ სახელმწიფოებს უფრო მეტი ანგარიშის გაწევა უხდებათ მათთვის ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენისათვის ბრძოლაში. ფინანსური გლობალიზაცია ტრანსეროვნული კომპანიების საერთაშორისო ინვესტიციების შედეგად გადაიქცა. ამ პროცესში ხდება სახელმწიფოს ინსტიტუტის „დევალვაცია“, რომელიც მრავალი ათწლეულის მანძილზე სისტემაწარმომქმნელი ორგანიზაციული სტრუქტურა იყო [4, გვ. 377].

ბირჟაზე აქციების შესყიდვით ხორციელდება კონტრო-

ლის ფორმირება და გადანაწილება სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფებს შორის. დამოუკიდებელი ბროკერების გამოდევნა მსხვილი საბროკერო კომპანიების, საინვესტიციო ბანკების და ბანკირთა სახლების მიერ, ხოლო ფასიანი ქაღალდების პაკეტების ინდივიდუალური მფლობელებისა – კოლექტიურების მიერ, ნიშნავს ბირჟის მონოპოლიზაციის შემდგომ პროცესს [5, გვ. 265].

ფინანსური დილინგის პოზიციიდან მთავარ ინტერესს ნავთობის ბაზრის კორელაციური გამოძახილისა მოვლენებზე ფინანსური ბაზრის სხვა სეგმენტებზე, წარმოადგენს საკითხი, შეიძლება თუ არა, ვაკვირდებით რა ფასების საკურსო დინამიკას თამასუქების ან ობლიგაციების ბაზრებზე, მივიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ნავთობის ბაზრის ევოლუციის პერსპექტივებზე. ობლიგაციების ბაზრის ტექნიკური ანალიზი მისი შემობრუნების ან კორექციის საკვანძო პერიოდებში, შეიძლება დახმარებოდა ტრეიდერებს ნავთობის ბაზარზე მისი შემდგომი ევოლუციის პროგნოზირებაში.

თუმცა საფონდო ბაზრის კორელაციური გამოძახილი კაპიტალის ბაზრის მოვლენებზე იდეალურისგან შორსაა, სასარგებლოა თვალი მივადევნოთ ორივე სეგმენტის დინამიკას. ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები ერთი სეგმენტის დინამიკაში, დროთა განმავლობაში, მეორე სეგმენტზეც აისახება. ამასთან, შენიშნულია, რომ XX საუკუნის 80-იან წლებში არსებობდა ხანგრძლივი პერიოდები კაპიტალის ბაზრის მიერ საფონდო ბაზრის დასწრებისა. მაგალითად, აშშ სახაზინო ობლიგაციების ფასებმა დაიწყო ფსკერის ტესტირება 1981 წლის სექტემბერში, ხოლო აქციების ბაზარმა – მხოლოდ 1982 წლის აგვისტოში, ანუ 11-თვიანი დაყოვნებით. საფონდო ბაზრის დაცემას 1987 წლის ოქტომბერში წინ უძღოდა T-bond-ების კოტირებათა დაცემა ამავე წლის აპრილში (ამ შემთხვევაში დაყოვნება – 6 თვე).

აშშ-ს საფონდო ბაზრის პოტენციური დაცემის თავიდან

აცილება შეუძლია მხოლოდ ფსს-ს ეფექტიანი და მოქნილი პოლიტიკით რეცესიიდან ქვეყნის ეკონომიკის გამოყვანისა.

2000 წლის ნოემბრიდან ფსს-ში დაისახა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შერბილების ტენდენცია (რეფინანსირების განაკვეთების შემცირება და ა.შ.), რაც გახდა მიზეზი გრძელვადიანი ხარების ტრენდის აღმოცენებისა კაპიტალის ბაზარზე. ბაზარი ფორექსი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა სახაზინო ობლიგაციების ამ დინამიკას ღრმა მაკორექტირებელი დაცვით 2001 წლის იანვრამდე. მნიშვნელოვანი ცვლილებები კაპიტალის ბაზარზე მეტყველებს იმაზე, რომ მალე მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები ბაზარზე FOREX.

ფულადი ბაზარი არასდროს ყოფილა მკაფიოდ გამოხატული შიგა ბაზარი. ნაციონალური ქვეყნის საბანკო საპროცენტო განაკვეთების საშუალებით ტრანსეროვნული კორპორაციები გადიოდნენ და გადიან საერთაშორისო ფულად ბაზარზე, დროებით თავისუფალი სახსრების განთავსების ან მოკლევადიანი სესხის მიღების მიზნით. რამდენადაც სამეურნეო საქმიანობის წარმოებისათვის და ინვესტიციებისათვის საჭიროა სხვადასხვა ვალუტა, კორპორაციები ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების მეშვეობით ცდილობენ თავისი ოპერაციების რისკების მინიმიზებას უცხოური ვალუტის მოზიდვით. ამიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანია, საპროცენტო განაკვეთებსა და ვალუტების გაცვლით კურსებს შორს კავშირის გარკვევა. ფინანსური ბაზრის ეფექტიანობის გამო, რეალური საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით ტოლია, მაშინ, როცა ნომინალური საპროცენტო განაკვეთები სავალდებულოა იყოს განსხვავებული, რადგან ყოველი ქვეყნისათვის დამახასიათებელია ინფლაციის თავისი ინდივიდუალური ტემპი. თანახმად მეიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიისა (purchasing power parity theory), მსოფლოში შეინიშნება მკაცრი შესაბამისობა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისა ორ ქვეყანას შორის მათი ინფლაციის ტემპების გრადიენტით.

ეს ფაქტი ფულადი ბაზრის და ბაზრის FOREX კორელაციური კავშირების გამოვლინებაა. ეს ორი ბაზარი მკაცრად რომ არ კორელირებდეს ურთიერთშორის, იარსებებდა შესაძლებლობა მოგების მიღებისა რისკის გარეშე ვალუტების კონვერტაციით, ვიყიდით რა ფინანსურ ინსტრუმენტებს ფულად ბაზარზე ქვეყნისა უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით და გაყიდით სხვა ქვეყნის ფულად ბაზარზე უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთებით. აწმყოში გლობალური ფინანსური ბაზრისათვის დამახასიათებელია საპროცენტო განაკვეთების პარიტეტი (interest rates parity): სპოტური და ფორვარდული კურსები და საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ქვეყანაში მკაცრად ურთიერთდაკავშირებული. ეს პარიტეტი ეფუძნება ეფექტიანი ბაზრის თეორიას. მოსალოდნელი შემოსავლიანობა (რისკის გათვალისწინებით) სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ბაზრის ექვივალენტური ფინანსური ინსტრუმენტებისა ტოლია.

სწორედ ფულადი და სავალუტო ბაზრების მკაცრი კორელაციის პირობები გამორიცხავს ფინანსური ბაზრის ამ ორ სეგმენტს შორის არბიტრაჟის განხორციელების შესაძლებლობას.

თუ შევადარებთ სახაზინო თამასუქების ინდექსის კურსს და დოლარის ინდექსის კურსს, შეინიშნება უკუდამოკიდებულება ფინანსური ინსტრუმენტების საკვლევი კურსებს შორის და ამას აქვს საკმაოდ მარტივი ახსნა: მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ზრდა წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შედეგს და იწვევს თამასუქებზე ფასების შემცირებას. დროის ასეთ ინტერვალში დოლარის კურსი, როგორც წესი, იზრდება. ამგვარად, ნიშნადი ცვლილებები სათამასუქო ბაზარზე იმაზე მეტყველებს, რომ მალე დაიწყება ძლიერი ცვალებადობა ბაზარზე FOREX (ფორექსი).

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ახალი ინსტრუმენტია მრავალრიცხოვანი წარმოებული ფასიანი ქაღალდი. ვადი-

ანი ბაზარი გლობალური ფინანსური ბაზრის განუყოფელი ნაწილია. ფიუნქრსების, ოფციონების და სვოპების ბაზრები მოიცავს პრაქტიკულად ფინანსური ბაზრის ყველა ძირითად აქტივს.

დაბოლოს, გვინდა შევნიშნოთ, რომ ფინანსური ბაზრის ყველა სეგმენტი, ადამიანთა საქმიანობის დინამიკურად განვითარებადი დარგია, რომელიც ახალი ცოდნისა და უახლესი ტექნოლოგიების აკუმულირებას ახდენს.

### **Characteristics of Functioning of International Financial Market**

**M. Gogokhia**

Successful functioning of financial markets is important factor to reach high tempo of economic growth. The article presents the most important segments of financial market with main financial instruments circulated there. Intercommunication of the world securities, exchange, commodity and capital markets is displayed.

### **გამოყენებული ლიტერატურა**


1.Роджер Лерой Миллер, Дэвид Д. Ван-Хуз. Современные деньги и банковское дело, Москва, Инфра-М., 2000;

2.კოზანაძე ირ., საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001;

3.Фредерик С. Мишкин. Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков, Москва – Санкт-Петербург – Киев, 2006;

4.ქოქიაური ლ., შონია ნ., ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თბლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008;

5.Деньги, кредит, банки, под. ред. Е.Ф. Жукова, Юнити, Москва, 2011.



**სიური ოქრუაშვილი**  
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

საბანკო სისტემა საბაზრო ინფრასტრუქტურის ყველაზე აუცილებელი და ერთ-ერთი ურთულესი სფეროა, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს პრაქტიკულად ეკონომიკის ნებისმიერ დარგზე. ეს ფაქტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს მაგალითზე. საქართველოს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების პროცესებში ჩართვა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა და განვითარება, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროგრამების წარმატებით განხორციელება შეუძლებელია მყარი საბანკო სისტემის გარეშე. უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკის განვითარების უდიდესი წილი სწორედ საბანკო სექტორზე მოდის, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საბანკო სექტორის მნიშვნელობას მთლიანად ჩვენი ქვეყნისათვის და მეტად აქტუალურს ხდის აღნიშნული საკითხის შესწავლის აუცილებლობას.

საქართველოს საფინანსო შუამავლების თითქმის 99%-ს საბანკო სექტორი მოიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსური რესურსების მობილიზება და მისი საინვესტიციო რესურსებად გარდაქმნა უპირატესად საბანკო ინსტიტუტების, და არა ფასიანი ქაღალდების ბაზრის, მეშვეობით ხდება. სავარაუდოდ, ასეთი ვითარება საქართველოში უახლოესი

წლების განმავლობაში მკვეთრად არ შეიცვლება. შესაბამისად, საბანკო სისტემას ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების თვალსაზრისით უახლოეს მომავალშიც უმთავრესი როლი დაეკისრება.

საქართველოს ეროვნული ბანკი, ძირითადად, იყენებს მონეტარული პოლიტიკის შემდეგ ინსტრუმენტებს: რეფინანსირების სესხები, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონები, მთავრობის ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები (ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები), მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები[7].

საქართველოს ეროვნული ბანკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა[5, გვ.125]. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის – ფასების სტაბილურობის – შესრულებას. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა გულისხმობს მთლიანად საფინანსო სისტემის წინაშე არსებული და მოსალოდნელი რისკების განსაზღვრას და მის შემცირებას.

თუ შევადარებთ ბანკების მიერ მოზიდულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ორ ტენდენციას – ვადიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობის შემცირებასა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების ზრდას, ცხადია, რომ ეს, ერთი მხრივ, რესურსების მოზიდვასა და ლიკვიდობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და, მეორე მხრივ, რესურსების გაძვირებასა და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესებაზე მიუთითებს.

ცნობილმა ამერიკელმა პროფესორმა გრეგორი მენქიუმ შეიმუშავა ფულის მულტიპლიკატორის ფორმულა:  $m=1/$



$R \cdot 100\%$ , სადაც,  $m$  არის ფულის მულტიპლიკატორი, ხოლო,  $R$  - ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დაწესებული მინიმალური რეზერვების ნორმატივი, რომელიც გაიანგარიშება კომერციული ბანკების მოზიდული ანაბრების საშუალო დეკადური ნაშთის მიხედვით.

როგორც ფორმულიდან ჩანს, ფულის მულტიპლიკატორსა და მინიმალური რეზერვების ნორმატივს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა, ანუ რაც მეტია ნორმატივი, მით ნაკლებია ფულის მულტიპლიკატორი. ამ შემთხვევაში ფულის მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, კომერციულ ბანკში ანაბრებზე განთავსებული ფულადი რესურსების სხვა ბანკებში განთავსება რამდენჯერ შეიძლება განხორციელდეს.

ამასთან, მინიმალური რეზერვების ნორმატივი არის ერთგვარი ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს ეროვნული ბანკი რომელ პოლიტიკას ანიჭებს უპირატესობას – იაფი ფულის თუ ძვირი ფულის პოლიტიკას.

ივლისის ცენტრალურმა ბანკმა საერთოდ გააუქმა მინიმალური რეზერვების ნორმატივი, იაპონიაში აღნიშნული ნორმატივი კომერციული ბანკის საშუალო დეკადური ნაშთის მხოლოდ 0,01%-ს შეადგენს, საერთაშორისო საბანკო სექტორში კი 8%-ს არ აღემატება. საქართველოში მინიმალური რეზერვების ნორმატივი 1996 წლის თებერვლამდე შეადგენდა 20%-ს, თებერვლიდან აგვისტომდე – 18%-ს, აგვისტოდან 1997 წლის სექტემბრამდე – 15%-ს, 1997 წლის სექტემბრიდან 1998 წლის ნოემბრამდე – 12%-ს, 1998 წლის ნოემბრიდან 2004 წლის ივლისამდე – 16%-ს. 2004 წლის ივლისში მინიმალური რეზერვების ნორმატივი შემცირდა 13%-მდე. ამასთან, თუ მანამდე ხდებოდა უცხო ვალუტაში განთავსებული ანაბრების თანხის ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა შესაბამისი კურსით და მინიმალური რეზერვების ფონდში არსებული ნორმატივის მიხედვით განთავსება, 2004 წლის 1 ივლისს განხორციელდა ნორმატივის დივერსიფიკაცია, ეროვნულ

ვალუტაში განთავსებულ ანაბრებზე ნორმატივი განისაზღვრა 9%-ით, ხოლო უცხო ვალუტაში განთავსებულ ანაბრებზე – 4%-ით. 2012 წლის 6 იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ ანაბრებზე ნორმატივი გაეზარდა 10%-დე, ხოლო უცხო ვალუტაში განთავსებულ ანაბრებზე ჯერ 10%-მდე, შემდეგ კი – 15%-მდე.

თუ ჩვენს მიერ შესწავლილ მაჩვენებლებს შევუდარებთ, საერთაშორისო საბანკო სისტემაში მოქმედ ნორმატივებს, დავრწმუნდებით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ატარებს ძვირი ფულის პოლიტიკას.

განვიხილოთ რა გავლენას ახდენს ეროვნული ბანკის ძვირი ფულის პოლიტიკა ფინანსურ და ეკონომიკურ სექტორზე. თუ ინგლისის კომერციული ბანკები საერთოდ არ განათავსებენ არც ერთ გირვანქა სტერლინგს ანაბრებზე დაბანდებული თანხიდან ცენტრალური ბანკის მინიმალური რეზერვების ფონდში, იაპონიის კომერციული ბანკები ყოველ 100 ათას იენზე მხოლოდ 10 იენს განათავსებენ, ხოლო საქართველოს კომერციული ბანკები ვალდებულია 100 ათას ლარზე განათავსონ 10 ათასი ლარი და 100 ათას დოლარზე 15 ათასი დოლარი. ასეთი მაღალი ნორმატივი კომერციული ბანკის ხელმძღვანელობას აიძულებს მის განკარგულებაში დარჩენილი საკრედიტო რესურსები უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით გასცეს, რაც თავის მხრივ, იწვევს კრედიტის დახმარებით დამზადებული პროდუქციის თვითღირებულების გაზრდას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავოს ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალური რეზერვების ნორმატივის საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მოქმედ ნორმატივებთან მი-

ახლოვებას და ძვირი ფულის პოლიტიკის იაფი ფულის პოლიტიკით შეცვლას.

მსოფლიოს მასშტაბით ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ მთელი საფინანსო კრიზისის მიზეზი აშშ-ის ეკონომიკაა და ის არის ყველა უბედურების წყარო. ერთი მხრივ, თითქოს ფინანსური ბუშტის სათავე იქ იყო, მაგრამ სინამდვილეში ბენეფიციარი მთელი მსოფლიოა! აშშ გამოსავალს ეძებს, თუმცა, ეკონომიკაში უზარმაზარი თანხების გადასხმის მიუხედავად, საშველი არ ჩანს, მეტიც – თანდათან ძლიერდება შთაბეჭდილება, რომ უფრო და უფრო ღრმად ეფლობა ჭაობში.

აბსურდული სიტუაციაა, როცა ცენტრალურ ბანკებში ფული თითქმის უფასოა, ბანკები კი კრედიტებს არ გასცემენ. აშშ დიდი საბანკო კრიზისისათვის მოლოდინშია. ეკონომიკაში ისეთი ახალი და მნიშვნელოვანი კატეგორია გაჩნდა, როგორცაა „ნდობა“ – მომხმარებლის, მეანაბრის, კლიენტის, ბანკის, საერთოდ ინვესტორის.

მდგომარეობამ მსოფლიოში უფრო დრამატული ელფერი შეიძინა, რაც საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებისაკენ გვიბიძგებს. ცალსახაა, რომ კრიზისი საბანკო სექტორიდან საწარმოო სექტორში გადავიდა! მართალია, საქართველოში საბანკო სფეროს სიტუაცია ჯერ საგანგაშო არ არის, თანაც მსოფლიო საბანკო კრიზისი ძალას ახლა იკრებს და შეუძლებელია საქართველოს და განვითარებად ქვეყნებამდე არ მოაღწიოს[11].

აშშ-ის მსოფლიოს ნომერ პირველმა ბანკმა “სითი ბანკმა” გასული წლის თებერვალში დიდი დანაკარგები განიცადა და სახელმწიფოსგან დამატებითი დახმარება დასჭირდა. ის 7%, რომელიც ადრე ბაილაუთის სანაცვლოდ სახელმწიფოს პრივილეგირებული აქციების სახით შესთავაზა, ჩვეულებრივ აქციებში გადაცვალა, რამაც სახელმწიფოს წილი ამ ბანკში 37% – მდე გაზარდა. ექსპერტები ვარაუ-

დობენ, რომ ეს ბოლო დახმარება არაა და “სითი ჯგუფს” ყველაფერი ჯერ კიდევ „წინ აქვს“. დაიწყო ბანკების ნაციონალიზაცია, ეს პროცესი საბანკო სფეროში თვისებრივად ახალი ეტაპია, რაც მსოფლიო საბანკო სისტემის კრიზისის მხოლოდ დასაწყისია.

მსოფლიოში მიმდინარე კრიზისი საფინანსო სტრუქტურების კრიზისია. რა იყო კრიზისის გამომწვევი მიზეზი – საფინანსო ბაზარი და საფინანსო ინსტიტუტები, თუ იპოთეკა? მთავარია, კრიზისის ანატომიისა და ისტორიის გაგება, რომელიც იპოთეკურ კრიზისად მოინათლა. მაშინ აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ საპროცენტო განაკვეთი 6,5%-დან 3,5%-მდე რამდენიმე თვეში შეამცირდა, ხოლო შემდეგ 1%-მდე. იმ პერიოდში აშშ-ის საბანკო სექტორს აღან გრინსპენი ხელმძღვანელობდა, რომელმაც იაფი ფული გამოუშვა და მისი მიმოქცევით სამშენებლო ბიზნესში ცნობილი მდგომარეობის აღმოცენებას შეუწყო ხელი. ყველა კრედიტის აღების ცდუნების წინაშე იდგა, რაც ბანკებსა და მთლიანად ეკონომიკას ხელს აძლევდა, რადგან მათ ზრდის უფრო მაღალი ტემპი სჭირდებოდათ. ეს იყო ერთგვარი შეჯიბრი მშპ-ის ზრდაშია, რომელშიც ყველა მონაწილეობდა. ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების ზრდა ბიზნესმენებსა და ბანკირებს არ მოსწონდათ, რადგან ისინი მაღალი კაპიტალიზაციისა და მოგების ზრდის სურვილით იყვნენ შეპყრობილნი, ტოპ-მენეჯმენტი კი მაღალ ბონუსებს ხარბდებოდა. მათ, სპეციალური პროდუქტების შექმნის გზით, ბაზარზე მოთხოვნის ხელფონური ზრდა დაიწყეს: მუდმივად მცირდებოდა საკრედიტო ორგანიზაციების სტანდარტები დაგირავებული ქონების მიმართ და ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ აშშ-ში იპოთეკურ კრედიტს გირაოს გარეშეც კი გასცემდნენ. რა ხდებოდა ამ დროს საქართველოში? საქართველოს საბანკო სისტემა ხასიათდებოდა კრედიტზე ფიქსირებული პროცენტით და გირაოს სახით საკ-

მაოდ მაღალი უზრუნველყოფით. თუმცა, საეჭვოა იმ კუთხით, რომ კრედიტის გაცემისას გიროში ჩადებული 200 ათასი დოლარის ღირებულების საცხოვრებელი ან სხვა ფართი დღეს შესაძლოა 100 ათასი დოლარიც არ ღირდეს. ამ სახის პრობლემა ქართულ საბანკო სექტორში უდავოდ არის. რაც შეეხება მცოცავი პროცენტის სისტემას, ის საქართველოში დღემდე არ ფიგურირებდა, მხოლოდ ბოლო დროს დაიწყო რამდენიმე ბანკმა ამ პრეცედენტის დაშვება. საპროცენტო განაკვეთი უნდა შეიცვალოს, თუმცა, საკმაოდ პრობლემური და საშიში იქნება, რადგან გაძვირებული საკრედიტო რესურსის გამო, ბანკები გაცემულ სესხებზე პროცენტის გაზრდას ცდილობენ. ეს იურიდიულად გაუმართავ გარემოებად მიგვაჩნია და თუ ეროვნული ბანკი ამ საკითხს სერიოზულად არ მიუდგება, შესაძლოა კრიზისის დაწყების დეტონატორად იქცეს.

აშშ-ის ბანკები ბინძური აქტივებისა და სარისკო იპოთეკური სესხებისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ, რისთვისაც მათი ტრანსფორმირება უზრუნველყოფილ ვალდებულებებში მოახდინეს. სინთეზური პროდუქტი ისეთ ფულად ნაკადებს აერთიანებდა, რომელიც ათასობით იპოთეკური სესხისაგან შედგებოდა, ერთიან კონად იკვრებოდა და ობლიგაციის საფუძველს უზრუნველყოფდა. უმსხვილესი ტრანშეები უპირატესი განადღების უფლებით სარგებლობდა და ამიტომ მაღალი რეიტინგით ფასდებოდა. მათი მოცულობა მთელი კალათის 80%-ს შეადგენდა, ხოლო დანარჩენი 20% ყველა რისკს თვითონ კისრულობდა და მათზე შემოსავლიანობაც მაღალი იყო. მსგავსი დივერსიფიკაციის მიზანი რისკების შემცირება იყო. სინამდვილეში, ეს ტოქსიკური ნარჩენები მსოფლიოს მასშტაბით გროვდებოდა და მოასწავებდა იმ კრიზისს, რომელიც ახლა ბოზოქრობს. სეკურიტიზაციის მანია იპოთეკური კრედიტით არ მთავრდებოდა, ის დერივატივებს გადაედო და ჰეჯირების პროცესი მოიცავდა.

გაჩნდა სინთეტიკური პროდუქტი—„კრედიტ დეფოლტ სვოპ“.

ბანკის მმართველებს საქართველოშიც საკმაოდ მაღალი შემოსავლები აქვთ, მათი ხელფასები მნიშვნელოვნად აღემატება რიგითი თანამშრომლის ხელფასებს, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელი ფაქტია. ამ კრიზისმა გამოააშკარავა, რომ ბანკის მენეჯერს არ აქვს მიღებული ანაზღაურების შესაბამისი რისკი. ეს არის ადამიანების კასტა, რომელიც აქციონერებს ავიწროებს, მათი მნიშვნელოვანი მოგება ყალიბდება აქციების კურსით. მათი მოტივაციაა, რაც შეიძლება მაღალი ბრუნვის მაჩვენებელი, არნახული მოთხოვნა-მიწოდების ხელოვნური მასშტაბების ჩამოყალიბება და მისი შესაბამისი ბონუსები.

ბოლო 15-წლიან პერიოდს შეგვიძლია მენეჯერების დიქტატურის ეპოქა ვუწოდოთ. მსოფლიოში მწვავედ დგას მესაკუთრეებსა და არამესაკუთრეებს შორის დამოკიდებულების პრობლემა.

საქართველოში მრავალმა ბანკმა მშენებლობის წარმოება ინსაიდერული კოეფიციენტების რღვევით დაიწყო, რითაც პრობლემები შეექმნა. როცა კაპიტალი უფასურდება, ხდება ფირმის გაუფასურებაც, ქონება გადაზღვეულია კომერციული ბანკების მიერვე დაარსებულ სადაზღვევო კომპანიებში. სასესხო ვალდებულებების სეკურიტიზაციის მანიამ მთელი მსოფლიო მოიცვა, მისი წყარო აშშ გახდა. იგი მთელი მსოფლიოს ინვესტორებს იოლი ფულის შოვნის ცდუნებით იზიდავდა. მილიარდობით დოლარის ინვესტიციები სხვადასხვა კომპანიაში შეედინებოდა. დღეს ყველას უჩნდება კითხვა — სად წავიდა ამდენი ფული? პასუხი ძალიან მარტივია — ამ სქემით მომუშავე საფინანსო ორგანიზაციებში დასაქმებული მენეჯერების ბონუსებში.

2000 წლიდან ბახარზე გაჩნდა ჰეჯ-ფონდები, საიდანაც საფუძველი ჩაეყარა დღევანდელი კრიზისის ეპოქას. შეიქმნა ჰეჯ-ფონდები, რომლებიც სვოპ-ოპერაციებზე სპეციალიზდ-

ბოდნენ და მოქმედებდნენ როგორც არალიცენზირებული სადაზღვევო კომპანიები. მათი შემოსავალი იყო სინთეტიური პროდუქტებიდან მიღებული საკომისიოები. ხშირად, ასეთი ჰეჯ-ფონდები ფიქტიურად მუშაობდნენ, ვინაიდან (როგორც ქართული ბანკების შემთხვევაში), როცა კომერციული ბანკი სადაზღვევო კომპანიის 100%-იან წილს ფლობს და გაცემულ კრედიტს აზღვევს, ხოლო მისი დაუბრუნებლობის ან დაგირავებული ქონების განადგურების შემთხვევაში რისკი არ ნაწილდება და ზარალს ანაზღაურებს მხოლოდ ბანკი, ანუ ფული მისი აქტივიდან გადის. ფიქტიური იყო ჰეჯ-ფონდების არსებობაც, რომლებიც გადაზღვევის შედეგად, ბონუსის მიღების მიზნით, ხშირად ფუნდებოდა თვით ბანკის მენეჯმენტის ან მათთან დაახლოებული პირების მიერ არ ხდებოდა რეალური რისკების დაზღვევა. ამ ტიპის კონტრაქტების მთლიანი მოცულობა 42,3 ტრლნ. დოლარს აღწევდა, ხოლო აშშ-ში საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია იგივე პერიოდისთვის 18,5 ტრლნ. დოლარს შეადგენდა – თითქმის 2,5-ჯერ ნაკლებს. ამავე პერიოდისთვის (რომ არაფერი ვთქვათ ბოლო პერიოდზე, როცა აშშ-ის საგარეო ვალი 10 ტრლნ. გახდა) აშშ-ის საგარეო ვალი 4,5 ტრლნ. დოლარს აღწევდა.

თანამედროვე კრიზისი თავის წინამორბედებისგან მკვეთრად განსხვავდება. მას არ აქვს ე.წ. სპეციალიზაცია, თუმცა, ბევრი მეცნიერი და ეკონომისტი მას იპოთეკურ კრიზისს უწოდებს. გარკვეულწილად, ეს სინთეტიკური ინსტრუმენტებით გამოწვეული კრიზისია, მაგრამ რეალურად არის მთელი მსოფლიო ეკონომიკის პრობლემა, ვინაიდან ფინანსური რესურსი, რომლის სინთეზიც კრეატიულობის კუთხით მოხდა, რეალურ ეკონომიკაში გამოიყენებოდა. ის, რომ კრიზისი დაიწყო მანქანათმშენებლობაში, მშენებლობაში, სავაჭრო სფეროსა და საერთოდ წარმოებაში – ამ ყველაფრის ლოგიკური შედეგია.

დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დაკრედიტების პრობ-

ლემბა. ბანკებს ლიკვიდური სახსრები გაუჩნდათ (მათ შორის, საქართველოშიც), მაგრამ მოსახლეობის მიმართ ნდობის დაკარგვამ პროცედურა გაართულა და პროცენტი გაზარდა. ევროპაში დეფლაციის ზრდის ტემპის გამო, მოსახლეობას ურჩევნია ხვალ დახარჯოს ფული და იაფად იყიდოს საქონელი, ვიდრე დღეს. ამ ტენდენციამ გააჩინა ე.წ. მომხმარებლის მოლოდინის პრობლემა, რაც ბაზრის შეკუმშვის მიზეზი ხდება[11].

ქართული ბანკები ბაზარზე აღარ აქტიურობენ, დაბანდებებს აღარ ახორციელებენ და სესხების ამოღებას ახდენენ. როგორც ექსპერტები განმარტავენ, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში რეცესიაა, ეკონომიკა განგრებულია. ექსპერტთა ნაწილის აზრით, ბანკების წმინდა მოგება შესაძლოა კვლავაც შემცირდეს, რადგან აქტივობის ზრდა მოსალოდნელი არ არის. ასეთ ვითარებაში საინტერესოა აქვს თუ არა საქართველოს საბანკო სისტემას პრობლემებთან გამკლავების რეალური ბერკეტები. არსებული რეცესიის გამო ჩვენი მოსახლეობის შემოსავალი დღითი დღე იკლებს. კომერციული ბანკების პრობლემურ მევაღეთა რაოდენობა თითქმის ყოველდღიურად იზრდება. „კრედიტინფოს“ მონაცემებით, ე.წ. „საბანკო შავ სიაში“, გასულ წელთან შედარებით, 8 ათასით მეტი ადამიანი მოხვდა და დღეს კრედიტინფოში 150 ათასზე მეტი პრობლემური კლიენტია დაფიქსირებული[11].

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ეტაპზე განვითარებადი ქვეყნების საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი სფერო საფინანსო ბაზრების განვითარებაა.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შედეგად გაიზრდება საფინანსო სისტემის მდგრადობა. ბანკებს გაუადვილდებათ რესურსების მოპოვება-განთავსება, რაც ხელს შეუწყობს ლიკვიდობის მენეჯმენტის გაუმჯობესებას; სახელმწიფოს საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად მიეცემა მცირე დანახარჯებით თანხ-



ების მოზიდვის საშუალება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას; საქართველოს ეროვნულ ბანკს საშუალება მიეცემა გამოიყენოს ღია ბაზრის ოპერაციები მონეტარული რეგულირებისათვის, რაც ეფექტიანი და ნაკლებად ხარჯიანი მონეტარული პოლიტიკის საფუძველი გახდება. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი გაააქტიურებს ოპერაციებს ღია ბაზარზე, მეორად ბაზარზე განახორციელებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ყიდვა- გაყიდვისა და რეპო (უკურეპო) ოპერაციებს[6]. ასეთი ტიპის ოპერაციების საწარმოებლად საქართველოს ეროვნული ბანკი მოახდენს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირებას სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების მეორად ბაზარზე და საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ მთავრობის სასესხო დავალიანების სექიურიტიზაციის (იგულისხმება არსებული დავალიანების გადაფორმება ფასიან ქაღალდებად) მეშვეობით, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისა და მონეტარული პოლიტიკის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი გამოუშვებს სადეპოზიტო სერთიფიკატებს.

საბანკო სექტორის განვითარების ძირითადი შედეგი საქართველოს ეკონომიკაში მისი როლის არსებითად ამღვლევა, ფინანსური მდგრადობის გამყარება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა იქნება. აღნიშნული, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საბანკო სისტემის დაცვას როგორც შიგა, ასევე გარე უარყოფითი მაკროეკონომიკური შოკებისაგან. ამასთან, საქართველოს საბანკო სექტორის ფინანსური პარამეტრები თანდათანობით გაუთანაბრდება იმ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საბანკო სისტემის მაჩვენებლებს, რომლებმაც თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში უკვე მიაღწიეს სერიოზულ წარმატებებს.

მოსალოდნელია, რომ საბანკო სექტორის ძირითადი მაჩვენებლების (აქტივები, კაპიტალი, კრდიტები, დეპოზიტე-

ბი) მატების ტემპი გაუსწრებს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპს. ბანკები შეინარჩუნებენ და განამტკიცებენ წამყვანი ფინანსური შუამავლების როლს[6].

წარმოდგენილი სტრატეგიის განხორციელების შედეგად გაიზრდება საზოგადოების ხვადასხვა ფენის ნდობა საბანკო სექტორის მიმართ, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დანაზოგების აკუმულირებას ბანკებში და მათ ინვესტიციებად გარდაქმნას.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად, აუცილებელია, საქართველოში შეიქმნას ანაბრების დაზღვევის კორპორაცია, რომელიც დააზღვევს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დანაზოგებს.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიის წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს საბანკო მომსახურების სექტორის გაფართოებას, მსხვილი მრავალპროფილიანი ბანკების, ცალკეულ მომსახურებაზე (სამომხმარებლო დაკრედიტება, იპოთეკა, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება) ორიენტირებული საბანკო დაწესებულებებისა და საანგარიშსწორებო და არასაბანკო სადეპოზიტო-საკრედიტო ორგანიზაციების ოპტიმალურ თავსებადობას. საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიის მიზანია საქართველოში ისეთი საბანკო სისტემის ფორმირება, რომელიც საკუთარ კლიენტებს საბანკო მომსახურების უნივერსალურ კომპლექსს შესთავაზებს. ოპტიმალური და ჯანსაღი კონკურენციის პრინციპებზე დაფუძნებული საბანკო სექტორი გახდება საინვესტიციო რესურსების აკუმულირების მყარი ბაზისი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ ზრდას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოხდეს მარკეტინგის სრულყოფა კომერციულ ბანკში. კლიენტი ნებისმიერი კომპანიის უმნიშვნელოვანესი აქტივია! ბიზნესისა და კონკურენციის მუდმივი დინამიკური განვითარების პირობებში, მსოფლიო

და ქართული მოწინავე ბანკები სულ უფრო მეტს ზრუნავენ არსებული აქტივების უკეთ გამოყენების გზებზე. მსხვილი ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ სტრატეგიულად მომგებიანი აქტივების შექმნას, მათ გონივრულ გამოყენებას, შენარჩუნებასა და განვითარებას.

ნებისმიერი მოწინავე კომერციული ბანკის „ტოპ მენეჯერის“ დღის წესრიგში საკვანძო ადგილი უჭირავს ისეთ თემებს, როგორცაა: ფულადი სახსრების, უძრავი ქონების, ადამიანისეული რესურსების, იმიჯის მართვა. მენეჯმენტის მეცნიერებაში შედარებით ახალია შეხედულება, რომ კომპანიის ლოიალური კლიენტები ისეთივე მნიშვნელობის შემოსავლიანი აქტივია (თუ არა უფრო მნიშვნელოვანი), როგორც ზემოთ ჩამოთვლილი „კლასიკური“ რესურსები.

თავისთავად, კლიენტების ბაზის სტრატეგიულად შემოსავლიან აქტივად აღიარება საკმაოდ ადვილია—მის „აქტივობაში“ ან „სტრატეგიულობაში“, ან „შემოსავლიანობაში“ ექვსი შეტანა საკმაოდ რთულია.

კლიენტების ბაზის სტრატეგიულ აქტივად „აღიარება“ მისი მართვის საჭიროებაზე დაგვაფიქრებს. ცხადია, კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკუთრება ბედის ანაბარა არ უნდა დარჩეს და ყველა დონის მენეჯმენტის ყოველდღიური საზრუნავი უნდა იყოს. ისიც ცხადია, რომ ეს აქტივი ხარისხიან შეფასებას, დაგეგმვასა და განვითარებას საჭიროებს. ადვილი წარმოსადგენია, რა ბედი ეწევა კომერციულ ბანკს, რომლის მენეჯმენტიც გაუმართავია, მაგალითად, ფინანსურ აქტივებს არ გააჩნია სრულფასოვანი ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ვერ გეგმავს შემოსავლებს, ხარჯებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას, ან უბრალოდ ვერ ხვდება ამ საკითხების მნიშვნელობას. ლოგიკურად, ასეთ მდგომარეობაშივე უნდა აღმოჩნდეს ბანკი, რომელიც ვერ მართავს კლიენტებთან გრძელვადიან და მომგებიან ურთიერთობას.

საკითხის მნიშვნელობის გააზრებამ გამოიწვია მენეჯ-მენტის პრაქტიკაში ახალი ტერმინის – customer relationship management (crm) – შემოღება. crm სტრატეგია (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სტრატეგია) გულისხმობს დღევანდელი მდგომარეობიდან დასახულ მიზნამდე მისვლის საუკეთესო გზას. შესაბამისად, ამ სტრატეგიის ჩამოყალიბება გულისხმობს სამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს:

1. დღევანდელი მდგომარეობა – სად ვართ?
2. სტრატეგიული მიზნები – სად მივდივართ?
3. სტრატეგია – როგორ ვიმოქმედოთ?

თუმცა, ამ სამი ამოცანის გადაწყვეტა საოცრად რთული ამოცანაა. ქართული ბანკების უმეტესობას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს კლიენტების ფინანსურ მდგომარეობაზე, მომგებიანობის თვალსაზრისით. უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქართული კომერციული ბანკები თითქმის არ იცნობენ თავის მომხმარებლებს. საბოლოო ანგარიშში crm სტრატეგიის არ არსებობა კომერციული ბანკის პრიორიტეტებისა და რესურსების არასწორ განაწილებას იწვევს:

- მარკეტინგის რესურსის დიდი ნაწილი ხშირად ისეთი კლიენტების მოზიდვას ხმარდება, რომლებიც პირველივე შესაძლებლობისას შეიცვლიან ბანკს, უკეთეს საფასო შემოთავაზებაზე;

- „უყურადღებოდ” რჩებიან კლიენტები, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ მოცემული ბანკის განვითარებას, შემოსავალსა და მოგებას;

- მუშაობენ ბევრ ისეთ კლიენტთან, რომელიც ბანკის მოგებას არ ზრდის;

- საფასო კონკურენცია რჩება კლიენტების შენარჩუნების ერთადერთ ინსტრუმენტად, რაც მომგებიანობას ამცირებს და კომერციულ ბანკს ასუსტებს.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ყველა კლიენტი ერთ-

ნაირი არ არის. ბანკი და თითოეული კომპანია თავის კლიენტებს უნდა იცნობდეს და მათ „დამსახურების მიხედვით“ უნდა ექცეოდეს, ანუ სწორად ანაწილებდეს რესურსებს.

როგორც აღვნიშნეთ, უნდა ვიცოდეთ „ვინ ვინ არის“, ვინ არის სამიზნე კლიენტი, პოტენციური კლიენტი, მყიდველი, კლიენტი, მხარდამჭერი, პარტნიორი, ადვოკატი.

მიგვანნია, რომ ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით:

- უნდა ვიცოდეთ „ვინ ვინ არის“, რათა, სწორად განავანაწილოთ რესურსები. ერთ-ერთი ბოლო კვლევის თანახმად, მხარდამჭერები, ადვოკატები და პარტნიორები ყველა წარმატებული ბანკის მოგების 80%-ს უზრუნველყოფენ;

- უნდა მოგერიდოთ დაბალშემოსავლიან და უპერსპექტივო კლიენტებს. თუ ჩვენი ურთიერთობა კლიენტთან შემდეგ საფეხურებზე არ გადადის, სჯობს მასზე მინიმალური რესურსები დაიხარჯოს [2].

საბანკო სისტემის საქმიანობის გამჭვირვალობის ამაღლების მხარდასაჭერად საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს საკუთარი საინფორმაციო რესურსების ოპერატიულად განთავსებას ინტერნეტ-სივრცეში. საქართველოს ეროვნული ბანკის ელექტრონული მედიაგამოცემების აქტიური მომხმარებლებია ბეჭდვითი და ელექტრონული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, საბანკო სექტორი და ამ სფეროთი დაინტერესებული პირები. დაგეგმილია ყოველთვიური ელექტრონული და ბეჭდვითი დაიჯესტების ინგლისურენოვანი ვერსიის გავრცელება საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებსა და საფინანსო ინსტიტუტებში; საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემების გავრცელების არეალის გაფართოება კავკასიის მასშტაბით და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით, უახლოესი პერიოდის სტრატეგიულ მიმართულებად განიხილება საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანის ერთობლივი

საბანკო ბიულეტენის გამოცემა, სადაც აისახება სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს საბანკო სექტორის საფინანსო მაჩვენებლები. ასეთი სიახლე გზამკვლევის ფუნქციას შეასრულებს როგორც საქართველოს, ასევე მთელი რეგიონის საბანკო-საფინანსო მაჩვენებლებით დაინტერესებული ინვესტორებისათვის[6].

უცხოური გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებით, აუცილებელია სწორად გაგანალიზოთ რამდენად მისაღები და საჭიროა იგი საქართველოს საბანკო სექტორისათვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გოგოხია მ. ეროვნული(ცენტრალური) ბანკების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ №2, თბ:2013;
2. ლაფაჩიშვილი ა. საქართველოს საბანკო სისტემის ფორმირების პროცესის ფინანსური წინააღმდეგობრივი ხასიათი, თბ; 2004;
3. ოქრუაშვილი ც. კომერციული ბანკის მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი, თბ; 2009;
4. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., გამომცემლობა ”პდპ”. 2002;
5. ცაავა გ. საბანკო საქმე. თბ; 2005;
6. საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია 2009-2013  
წლებისთვის:
7. <http://www.nbg.gov.ge/>
8. <http://www.mof.ge/>
9. <http://www.statistics.ge>
10. <http://www.banksandfinance.ge>
11. <http://www.geoeconomics.ge>

**ინფლაციისა და ფასების ღონის  
თარგეთირების საკითხისათვის**

*სალომე ბაქრაძე*

*ივანე ჯავახიშვილის თსუ-ის დოქტორანტი*

ინფლაციის თარგეთირება საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიაა. იგი საქართველოში 2009 წელს დაინერგა და მიზნობრივ მანქვენებლად ინფლაციის 6%-ია აღებული. ინფლაციის თარგეთირება აქტუალური და თანამედროვე სტრატეგიაა, რადგან ინფლაციის ცვალებადობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში რეალური ინფლაცია წლების მანძილზე საკმაოდ მაღალ ნიშნულზე იყო, რამაც განაპირობა ისეთი სტრატეგიის შემოღება, როგორცაა ინფლაციის თარგეთირება.

საერთოდ, მონეტარული პოლიტიკის ძირითადი სტრატეგია ინფლაციის თარგეთირებაა, რომლის მთავარი მიზანია ინფლაციის სასურველი ღონის შენარჩუნება. მონეტარული პოლიტიკის ამ პრაქტიკამ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მოიცვა. ქვეყნებმა, რომელთაც შემოიღეს ინფლაციის თარგეთირება 1990-იან წლებში, მიაღწიეს რეალურ ეკონომიკურ ზრდას და ფასების სტაბილურობას. მათ შორისაა ავსტრალია, კანადა, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, ახალი ზელანდია და სხვა. მას შემდეგ, მონეტარული პოლიტიკის ეს სტრატეგია არც ერთ ქვეყანას არ შეუცვლია [1, გვ. 1-3].

ინფლაციის თარგეთირებისას ცენტრალური ბანკი

## **სალომე ბაქრაძე**

იყენებს იმ ინსტრუმენტებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ეკონომიკისათვის სასურველი ინფლაციის დონის მიღწევა. ინფლაციის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ინფლაციის მოლოდინია, შესაბამისად, ცენტრალური ბანკის მიზანი სწორედ ინფლაციის მოლოდინის ჩამოყალიბებაა. რეალურ ცხოვრებაში, ინფლაციის მოლოდინი, რაც დროული და სასარგებლო ინფორმაციის წყაროა, გადამწვევტ როლს თამაშობს მონეტარულ პოლიტიკაში.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ინფლაცია ბევრ ქვეყანაში შემცირდა და უცვლელი დონეც კი შეინარჩუნა, თუმცა, ეკონომისტები და პოლიტიკოსები არ ჩერდებიან ამ ერთ იდეაზე და მიიჩნევენ, რომ ადეკვატური პოლიტიკის გასატარებლად სხვა მიდგომებიც არსებობს. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი მიდგომაა ფასების დონის თარგეთირება. მაგალითად, კანადის ბანკმა აქტიურად განიხილა ინფლაციის თარგეთირების ალტერნატივად ფასების დონის თარგეთირება 2011 წელს. ფასების დონის თარგეთირებისას ცენტრალური ბანკი იყენებდა მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტს, რათა მიეღწია წინასწარ გამოცხადებული კონკრეტული ფასების ინდექსისათვის საშუალოვადიან პერიოდში. ამის საპირისპიროდ, ინფლაციის თარგეთირებისას ცენტრალური ბანკი ცდილობდა წინასწარ განსაზღვრული ინფლაციის მიღწევას, რაც, თავის მხრივ, საშუალოვადიან პერიოდში ფასების დონის ცვლილებას განაპირობებდა [3, გვ. 35-36].

ცენტრალური ბანკის ძირითადი მიზანი ფასების სტაბილურობაა. მაგალითად, ფედერალური სარეზერვო აქტის თანახმად, აშშ-ის მონეტარული პოლიტიკის



ძირითადი მიზანია „მაქსიმალური დასაქმება, ფასების სტაბილური დონე და ზომიერი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან პერიოდში“ [3, გვ. 37-39]. ფაქტობრივად, ფასების სტაბილურობა ფასების უცვლელ დონეს ნიშნავს. თუმცა, თანამედროვე ცენტრალური ბანკები პრაქტიკაში ფასების სტაბილურობას ძირითად მიზნად არ მიიჩნევენ. ამის ნაცვლად, ცენტრალური ბანკის წარმომადგენლებმა ფასების სტაბილურობა განსაზღვრეს როგორც უფრო მრავალმხრივი მიზანი. ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილმა თავმჯდომარემ პაულ ვოლკერმა (Paul Walker) და ალან გრინსპანმა (Alan Greenspan) ფასების სტაბილურობა მაკროეკონომიკურ ბუნებას მიაკუთვნეს, სადაც ინფლაცია მომხმარებელთა და მწარმოებელთა გადაწყვეტილებებში ძირითად ფაქტორად არ განიხილება. სხვა ცენტრალური ბანკები ფასების დონის სტაბილურობას განიხილავს როგორც „დაბალი და სტაბილური“ ინფლაციის დონეს. გარდა ამისა, ზოგიერთი ბანკი, ფასების დონის სტაბილურობას მიიჩნევს, როგორც ინფლაციის თარგეთს კონკრეტული ფასების ინდექსისათვის. მაგალითად, ინგლისის ბანკი ფასების დონის სტაბილურობას განსაზღვრავს ინფლაციის თარგეთით, რომელსაც მთავრობა წლიური 2-პროცენტოანი ინფლაციით ადგენს სამომხმარებლო ფასების ინდექსში.

ფასების დონის თარგეთირებისას ცენტრალური ბანკი აცხადებს ნელა განვითარებად ან ფასების უცვლელ დონეს. ფასების დონის თარგეთირების განმასხვავებელი მახასიათებელია ის, რომ პოლიტიკოსები ვალდებული არიან ფასების დონის წარსული შოკების ანაზღაურებით მიაღწიონ მიზნობრივ დონეს. ფასების დონის თარგეთირება იწვევს ინფლაციის ცვალებადობას მოკლევადიან პერიოდში, თუმცა,

ფასების დონის სიზუსტეს განსაზღვრავს გრძელვადიან პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ ინფლაცია ყოველთვის უნდა შემცირდეს, არსებობს მიზეზები, რის გამოც პოლიტიკოსები ცდილობენ ინფლაციის დონის ნიშნულის ნულს მაღლა შენარჩუნებას:

1. რეალური ინფლაციის დონის ზუსტად გაზომვა თითქმის შეუძლებელია და ამიტომ, ინფლაცია რეალური ინფლაციის დონის გადაჭარბების ტენდენციით ხასიათდება;

2. იმ შემთხვევაში, როცა ინფლაცია ერთნიშნა ციფრს არ აღემატება, ფირმებისთვის რეალური ხელფასის შემცირება, ნომინალური ხელფასის შემცირების გარეშე, უფრო მარტივია, მაშინ როცა ეკონომიკური ვარდნის პირობებში დასაქმების მხარდაჭერა აუცილებელია;

3. უარყოფითი ინფლაციის დონე – დეფლაცია, უფრო მაღალი დანახარჯებით ხასიათდება, ვიდრე ანალოგიური ინფლაციის დონე, ამიტომ გვთავაზობენ ინფლაციის დაბალ დონეს, რაც ფასების დაბალ დონეს უზრუნველყოფს.

საბოლოო ანგარიშით, ძალიან დაბალი ინფლაციის პირობებში, მოკლევადიანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეიძლება მიუახლოვდეს ნულს. იმის გამო, რომ პოლიტიკოსები მეტად ვერ შეამცირებენ მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთს, ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ნულს დაბლა არ დაეცემა.

ამ მიზეზებით, ფასების დონის თარგეთირება არ გვთავაზობს პოლიტიკოსების მხრიდან ფასების უცვლელი დონის შეზღუდვას. უფრო მეტიც, პოლიტიკოსები ხშირად გვთავაზობენ ფასების ისეთი დონის თარგეთს, რომელიც ნელ-ნელა იზრდება. ამგვარად, ფასების დონის თარგეთირებისას

ინფლაციის საშუალო დონე დაბალია, მაგრამ დადებითი. ამ დაბალი საშუალო ინფლაციით, მომხმარებლებს და მწარმოებლებს ფასების მომავალი დონის ზუსტი განსაზღვრა შეეძლება. ამით ისინი სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებენ იმ საკითხებზე, რომელთა პროგნოზირებაც სჭირდებათ, განსაკუთრებით ეს შეეხება დანაზოგებსა და ინვესტიციებს, რადგან მათ მომავალი 20-30 წლის ფასების დონის პროგნოზირება შეეძლება.

შვედეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ფასების დონის თარგეთირება შემოიღო. ეს ექსპერიმენტი 1931 წლის სექტემბერში დაიწყო და მეორე მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. ფასების დონის თარგეთირება ორმა მიზეზმა განაპირობა. პირველია ეკონომიკური ფაქტორი - ძლიერი დეფლაცია, რომელიც 1920-იან წლებში დაიწყო და დეპრესიის შემოტევა 1930-იან წლებში. დეპრესიამ საბოლოოდ უარყო ოქროს სტანდარტი და ჩამოაყალიბა მონეტარული პოლიტიკის თანმიმდევრული სტრატეგია. 1928-1931 წლებში საბითუმო ფასები 25%-ით, ხოლო სამომხმარებლო ფასები – 9%-ით შემცირდა. 1929 წლიდან 1931 წლამდე სამრეწველო პროდუქცია 21%-ით, ხოლო რეალური შემოსავალი – 9%-ით შემცირდა. უმუშევრობის დონე, რომელიც 1930 წელს 10% იყო, 1933 წლისათვის 25%-მდე გაიზარდა. შეედურმა კრონამ სპეკულაციური დარტყმა განიცადა 1931 წლის 19 სექტემბერს, მაშინ როცა ინგლისის ბანკმა შეწყვიტა ფუნტის ოქროში კონვერტირება. ეკონომიკური მდგომარეობისა და საერთაშორისო მონეტარული ურთიერთობების გაუარესებამ, შვედეთის მთავრობა აიძულა გაეტარებინა რიგი ღონისძიება [1, გვ. 3-5].

1930-იან წლებში ფასების დონის თარგეთირების

## **სალომე ბაქრაძე**

შემოდება შვედეთში, ეკონომისტ-პოლიტიკოსების ინიციატივით მოხდა. ვიკსელმა თავის ეკონომიკურ ნაშრომებში, ფასების დონის სტაბილიზაცია მონეტარული პოლიტიკის ძირითად განმსაზღვრელად წარმოადგინა. გამოჩენილმა შვედმა ეკონომისტებმა, კასელმა და ჰეკშერმა, ვიკსელის მოსაზრებები გაიზიარეს. 1931 წლის 27 სექტემბერს, მაშინ როცა შვედეთმა ოქროს სტანდარტი უარყო, ორივე ეკონომისტი ურჩევდა ფინანსთა მინისტრს, ფასების დონის თარგეთირება მონეტარული პოლიტიკის ძირითად განმსაზღვრელად შემოეღო. ოქროს სტანდარტიდან ფასების დონის თარგეთირებაზე გადასვლას, დიდი ანალიზი არ დასჭირვებია, გადაწყვეტილება 48 საათში მიიღეს.

შვედეთში ფასების დონის თარგეთირებამ 1933-1934 წლებში მდგრად ეკონომიკურ გავნითარებას შეუწყო ხელი. ფასების დონის ინდექსი სამიზნე ღირებულების გარშემო 3 პროცენტული პუნქტით მერყეობდა 1936 წლამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ფასების დონე 1930-იან წლებში საკმაო სტაბილურობით ხასიათდებოდა, საბოლოოდ, მასზე მაინც უარი ითქვა, რაც განპირობებული იყო ორი მიზეზით:

1. შვედეთის ეკონომიკის დეპრესიიდან გამოსაყვანად ფასების დონის თარგეთირება საუკეთესო სტრატეგია არ იყო;

2. კეინზიანურმა პარადიგმამ, რომელშიც უპირატესობა ენიჭება მოთხოვნას, ოპტიმისტური შეხედულება წარმოქმნა მთავრობის როლის ზრდაზე მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში.

### **რატომ ფასების დონის თარგეთირება?**

ფასების დონის თარგეთირება, ინფლაციის თარგეთირებასთან შედარებით, მეტ სარგებელს გვთავაზობს.

ინფლაციის თარგეთირება გვეხმარება ინფლაციის სტაბილიზაციაში, თუმცა, მომავალი ფასების დონის მანვენებელი გაურკვეველია. ფასების დონის თარგეთირება კი ამ გაურკვეველობას ამცირებს. ფასების დონის თარგეთირების კიდევ ერთი დადებითი თვისებაა ის, რომ მას წარმოების მოცულობისა და ინფლაციის სტაბილურობის მიღწევის მეტი უნარი აქვს. განსაკუთრებულად დაბალი ინფლაციის მქონე გარემოში, სადაც ნომინალური განაკვეთი ნულს უახლოვდება, ფასების დონის თარგეთირება ხელს უწყობს დადებითი დონის ინფლაციის მოლოდინს. თავის მხრივ, ეს ინფლაციის მოლოდინი, შეინარჩუნებს უარყოფით რეალურ საპროცენტო განაკვეთს, რაც ასტიმულირებს საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძობიარე დანახარჯებს და ეკონომიკის გაჯანსაღებას უწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ ფასების დონის თარგეთირება, ინფლაციის თარგეთირებასთან შედარებით, სარგებელს ვეთავაზობს, შესაძლოა მისი გარკვეული ნაკლოვანებებიც წარმოჩინდეს. ეს ნაკლოვანება ყველაზე მეტად განპირობებულია იმით, რომ ფასების დონის თარგეთირება პრაქტიკაში გამოყენებული არაა (თუ არ ჩავთვლით 1930-იანი წლების შეგდეთის მაგალითს), რაც თავის მხრივ, პოლიტიკოსებისათვის გამოწვევაა. შედეგად, ცენტრალური ბანკი არ შემოიღებს ფასების დონის თარგეთირებას მანამ, სანამ არ გამოიკვლევს მას ძირფესვიანად და არ მიიჩნევს, რომ ეს აუცილებელია მონეტარული პოლიტიკისათვის.

ინფლაცია „ძვირადღირებულია“. ცენტრალურ ბანკებს და მითუმეტეს ფედერალურ სარეზერვო სისტემას, მარტივად შეუძლია შექმნას დროებითი და პოლიტიკურად პოპულარული ეკონომიკური აღმავლობა ინფლაციის

წარმოქმნით. ამით მყარ შედეგს ვერ მივიღებთ, რადგან ეკონომიკური მდგომარეობა არარეალურია, ამას ფასებზე ინფლაციის ზრდით წარმოქმნილი სიგნალები ადასტურებს. ასეთ პირობებში, ანგარიშსწორების დღე მალე დგება და არსებული სიტუაციის გამოსწორებაც საკმაოდ რთულია. ფასების სტაბილურობის შედეგების რეალური შეფასება, უფრო მეტად დაბალი საპროცენტო განაკვეთისა და სტაბილური ფინანსური ბაზრების შემთხვევაშია შესაძლებელი. ინფლაცია წახალისებს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, მომავალი ნაკლებად საიმედო იქნება.

**ფასების დონის თარგეთირება ინფლაციის თარგეთირების წინააღმდეგ.** ფასების თარგეთირება უფრო მეტად აერთიანებს სამომხმარებლო კალათის ფასების ინდექსს, ვიდრე რომელიმე ერთ კონკრეტულ საქონელს, როგორც იყო ვერცხლი ან ოქრო. ფასების სტაბილურობის ორი ძირითადი ნაირსახეობა არსებობს. ერთ-ერთია ფასების დონის სტაბილურობა. ამ შემთხვევაში, თუ სამომხმარებლო კალათა \$100-ის ღირებულებისაა, ფასების დონის თარგეთირების დროს, ცენტრალური ბანკი ეცდება შექმნას მეტი ან ნაკლები ფული ისე, რომ კალათის ღირებულება ყოველთვის ახლოს იყოს \$100-თან. თუ ინფლაცია კალათის ღირებულებას გაზრდის \$105-მდე, ფასების დონის თარგეთირების პირობებში, ცენტრალური ბანკი, კალათის ღირებულებას მაინც \$100 დოლარამდე შეამცირებს, რამაც შესაძლოა დეფლაცია გამოიწვიოს [4, გვ. 4-6].

ფასების სტაბილურობის მეორე მნიშვნელოვანი სახესხვაობაა ინფლაციის დონის სტაბილურობა. ინფლაციის თარგეთი აწესებს ინფლაციის სპეციალურ დონეს, რომელიც ჩვეულებისამებრ დაბალია და წლის განმავლობაში 1-3%-ს

შეადგენს. ძირითადი განსხვავება ინფლაციის თარგეთობასა და ფასების დონის თარგეთობას შორის არის ის, რომ ინფლაციის თარგეთობის დროს, ინფლაციის დონე ნაკლებად რყევადია მოკლევადიან პერიოდში, ვიდრე ფასების დონის თარგეთობის დროს. ამ მოვლენას ფიშერი ფასების დონის თარგეთობის ყველაზე დიდ ნაკლად მიიჩნევს. [5, გვ. 3]. გარდა ამისა, ინფლაციის თარგეთობა წარსულზე არ რეაგირებს. ინფლაციის თარგეთობის მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ ის არ თხოვს ცენტრალურ ბანკს, მიმდინარე წლის თარგეთის ნიშნულის გადაცილების გამო, მომავალ წელს შეცდომის „გამოსასწორებლად“ შექმნას ეკონომიკური მდგომარეობის დამაზიანებელი დეფლაცია. თუმცა, ინფლაციის თარგეთმა შესაძლოა დაუშვას ნელი ზრდა, სადაც ფასების დონე შესაძლოა გაიზარდოს ნელა, მაგრამ მუდმივად.

ფასების დონისა და ინფლაციის თარგეთობის განსაზღვრა შესაძლოა ბევრი გზით. ეს დამოკიდებულია სხვადასხვა სახეობის სამომხმარებლო კალათასა და იმ დროის პერიოდებზე, როცა დასახელებულ თარგეთს უნდა მიაღწიონ. თარგეთის დაწესების ბევრი სხვა გზაც შეიძლება არსებობდეს. თარგეთი ცენტრალურ ბანკს შესაძლოა დაუწესოს აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ორგანოებმა ან ცენტრალურმა ბანკმა თვითონ დაიწესოს თავისთვის. თუ თარგეთს ვერ მიაღწიეს, ყველაზე დიდი ჯარიმა რეპუტაციის შემცირება იქნება. გარდა ამისა, აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ორგანოებმა შესაძლოა ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი და სამეთვალყურეო საბჭო მთლიანად დაითხოვოს.

2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის

მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინფლაციის თარგეთირების დროს წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც საშუალოვადიან პერიოდში უნდა შენარჩუნდეს. ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი და შემდგომ მტკიცდება პარლამენტის მიერ.


გრძელვადიან პერიოდში ფასების ცვლილებების სასურველ დონედ საქართველოში განიხილება წლიური ინფლაცია 3%-ის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ინფლაციის მაღალი დონე, რაც მწარმოებლურობის ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს უკავშირდება. განვითარების არსებულ ეტაპზე, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში, 2012–2014 წლებისთვის, 6%-ს შეადგენს, 2015 წლისათვის კი – 5%-ს. დროთა განმავლობაში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, ეროვნული ბანკი ეტაპობრივად შეამცირებს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს 3%-მდე [10].

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს წინასწარ ცხადდება საშუალოვადიანი პერიოდისთვის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი – ეკონომიკისათვის სასურველი ინფლაციის დონე. ინფლაციის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ინფლაციის მოლოდინია, შესაბამისად ეროვნული ბანკის მიზანს სწორი ინფლაციის მოლოდინის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამიტომ, ეროვნული ბანკი მისი საქმიანობის გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ერთ-ერთ უპირატესობას



მისი გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს, ვინაიდან წინასწარ დადგენილი ერთი მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი და შეიქმნას მოლოდინები მონეტარული პოლიტიკის მიმართულების შესახებ.

**საშუალოწლიური ინფლაციის დონისა და დინამიკის (ყოველი მომდევნო წლის დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან შედარებით) მაჩვენებლები [10]**



ინფლაციის თარგეთირების ამოქმედებამდე ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ეყრდნობოდა მონეტარულ თარგეთირებას, რაც ფულის მასის სასურველი ზრდის ტემპის მიღწევას გულისხმობს. მონეტარული თარგეთირების პირობებში ეროვნული ბანკი იყენებდა ფულის მასას, როგორც შუალედურ რგოლს, ინფლაციის სარეგულირებლად. ამ რეჟიმის პირობებში, ინფლაციის თარგეთირებისგან

განსხვავებით, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სტაბილური კავშირი ფულის მასასა და ინფლაციას შორის. თუმცა, პრაქტიკაში ფულზე მოთხოვნა ცვალებადია (განსაკუთრებით გადახდის ახალი საშუალებებისა და საბანკო სისტემის სწრაფად განვითარების პირობებში), რაც ცვლის კავშირს მონეტარული აგრეგატების ზრდასა და ფულის ზრდას შორის და წარმოიშევა თარგეთის - ფულის მასის ზრდის ტემპის მუდმივი გადახედვის საჭიროება. შესაბამისად, აქტიური მონეტარული პოლიტიკის შემთხვევაში, ფულის მასის საოპერაციო თარგეთად გამოყენება არაეფექტიანია.

გრაფიკზე წარმოდგენილია საშუალოწლიური ინფლაცია და დეკემბრის ინფლაცია წინა წლის დეკემბერთან შედარებით, 2003 წლიდან 2013 წლამდე. 2013 წლის მონაცემები არაა დაზუსტებული, ასევე საერთოდ არ გვაქვს 2013 წლის დეკემბრის თვის მონაცემი. როგორც გრაფიკზე ჩანს, დღევანდელი დღის მდგომარეობით საქართველოში დეფლაციაა. რეალობა კი სხვა რამეზე მეტყველებს, ქვეყანაში ფასები საგრძნობლად იწვეს, მითუმეტეს წინა საახალწლო პერიოდში. ამას ემატება გაუფასურებული ლარის კურსი. როგორც ვხედავთ, ინფლაცია არც ფულის მასის თარგეთირების და არც ინფლაციის თარგეთირების დროს სასურველ ნიშნულს არ აღწევს, რაც ძირითადად მთავრობის არაადეკვატური პოლიტიკითაა გამოწვეული. ქვეყნები, რომელთაც ინფლაციის თარგეთირება შემოიღეს, სტაბილური ფასების დონით ხასიათდებოდნენ, შესაბამისად, მათ კარგ რეალურ ეკონომიკურ ზრდას მიაღწიეს.

საქართველოს ეროვნულ ბანკს არ აქვს შემუშავებული არანაირი ალტერნატიული გზა ინფლაციის შესაჩერებლად.

მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქვეყანაში ინფლაციის თარგეთირებამ სასურველ შედეგს მიაღწია, საქართველოში ამას ვერ ვახერხებთ, თუმცა, ჯერ კიდევ გვაქვს დაპირებები, რომ 2015 წლისთვის ინფლაციის მაჩვენებელი 5%-მდე დავა. [10]

დასასრულ, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა საქართველოში ინფლაციის თარგეთირების ალტერნატიულ გზად განგვეხილა ფასების დონის თარგეთირება. როგორც აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარეებმა განაცხადეს, ფასების სტაბილურობა მაკროეკონომიკური ბუნების მატარებელია, სადაც ინფლაცია მომხმარებელთა და მწარმოებელთა გადაწყვეტილებებში ძირითად ფაქტორად არ განიხილება. თანაც, ფასების დონის თარგეთირებისას, ინფლაციის საშუალო დონე დაბალია, მაგრამ – დადებითი. ამ დაბალი საშუალო ინფლაციით, მომხმარებლებს და მწარმოებლებს მომავალი ფასების დონის ზუსტი განსაზღვრა შეეძლება. ამით ისინი სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებენ იმ საკითხებზე, რომელთა პროგნოზირებაც სჭირდებათ, განსაკუთრებით ეს შეეხება დანაზოგებსა და ინვესტიციებს, რადგან მათ მომავალი 20-30 წლის ფასების დონის პროგნოზირება შეეძლება. მითუმეტეს, რომ ინვესტიციებსა და შესაბამისად მიღებულ დანაზოგებს საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

---

---

## Inflation and price-level targeting Issue

*S. Bakradze*

The paper examines intercommunication between price-level and inflation target. There are shown advantages and disadvantages of price-level and inflation targeting, which are supported by examples.

The most countries of the world achieving price-level stability by inflation targeting at the last decade of the XX century. Price-level targeting was used only once in Sweden, 1931. While Inflation targeting, the inflation rate is less fluctuated in the short-term, though the future price-level rate is less certain. While price-level targeting inflation is changeable in the short-term, though the price-level is more certain in the long-term.

When we use price-level targeting the average of inflation is low, but positive. By this low average inflation, consumers and producers can determine the exact rate of the future price-level. By this action they will take the right decision about those issues which they need for forecasting. It's especially important for savings and investments, because they will be able to forecast the price-level for the next 20-30 years.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Alfred V Guander, Price Stability through Price-Level Targeting or Inflation Targeting?, New Zealand, 2011;
2. Claes Berg, Lars Jonung, Pioneering Price Level Targeting: The Swedish Experience 1931-1937, SSE/EFI Working Paper Series in Economics and Finance No 290, Sweden, 1998;
3. E. Kadusic, P. Bojovic, A. Zgalj, Critical Analysis of Inflation and

- 
- Price Stability in Monetary Policy, International Conference on Financial Management and Economics, IPEDR vol.11, IACSIT Press, Singapore, 2011;
  4. George A. Kahn, Beyond Inflation Targeting: Should Central Banks Target the Price Level?, Kansas City, 2010;
  5. Jim Saxton, Price Stability And Inflation Targets: A Legislative History, Joint Economic Committee, Longworth House Office Building, Washington DC, 2004;
  6. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
  7. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
  8. [www.house.gov/jec/](http://www.house.gov/jec/)
  9. [www.kansascity.fed.org](http://www.kansascity.fed.org)
  10. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
  11. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)

---

---

**ქურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიის  
წარმოშობის და გამოქვეყნების წესი**

1. ქურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

2. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიხსნე), რეკომენდაციები.

3. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 11 შრიფტით ნაბეჭდი ტექსტის 15 გვერდს.

4. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-დან 1500-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

5. რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ვეზემპლარად, ელვერსიასთან ერთად( MS word, ქართული სტატია შრიფტით AcadNusx, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - Times New Roman).

6. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

7. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევი პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბო-

---

ლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი.

ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5, გვ.41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

8. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

9. სტატიას, რომელიც არ პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, რედაქცია არ მიიღებს

10. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს – ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

საკონტაქტო ტელეფონები:  
2 30 36 68; 2 30 40 78;  
599 24 77 47; 599 10 38 16  
e-Mail: ebf.journal@tsu.ge

---

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი